ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 171 (12 546) 23 ივლისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 16 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## მხიარული თამაში, ტელევიზორი და იღბალი

ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან

»»» 2

## ამ სევდას ვერასოდეს გავიძარვებ

ინტერვიუ რაულთან

»»» 8-9






LA STAMPA.it

## მოსალოდნელი რომანი ბებერ ქალბატონთან

# იუვენტუსს ლევან მჭედლიძე სურს

»»» 2






# სოფელ რუნავიკის გუნდიდან დინამოს გოლი ამან გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# მჭედლიძე იუვენტუსში?

## ქართველი ფორვარდი ინტერსაც სურს, ბაიერნსაც და ვერდერსაც...

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** კლუბს იცვლის. მისი გადაბირებით რამდენიმე ცნობილი გუნდია დაინტერესებული. "იუვენტუსის" მჭედლიძით დაინტერესების შესახებ გუშინ იტალიურმა წყაროებმაც დაწერეს.

*"ქართველ ფორვარდ ლევან მჭედლიძის დამატება "იუვენტუსს" სურს", -* წერს ტურინული გაზეთი "ლა სტამპა".

"ემპოლიდან" ქართველი ფორვარდის წასვლის სურვილს კი მეორე იტალიური გამოცემა ახმოვანებს.

*"მჭედლიძემ საქართველოში დაბრუნება ითხოვა. ის სავარაუდოდ "ემპოლიში" აღარ ითამაშებს. ვექვობთ ქართველს დიდხანს მოუწევს უგუნდოდ ყოფნა", -* ეს უკვე ლა ნაციონეს" ინფორმაციაა.

ბუნებრივია, ამ ინფორმაციათა გაცნობის შემდეგ თავად ლევან მჭედლიძესთან დაკავშირება გადავწყვიტეთ.

*"დიახ, ამ ცნობებს ინტერნეტით მეც გავეცანი. თამამად შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩემით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. გუნდის შეცვლას მართლაც ვაპირებ. ვადასტურებ იმასაც, რომ სხვა კლუბებთან ერთად "იუვენტუსთანაც" მიდის მოლაპარაკებები. სხვას ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, იმ სატრანსფერო სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობენ, ამ თემაზე უფრო მეტი გითხრან", -* "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა სამშობლოში მყოფმა ლევან მჭედლიძემ.

უმალ **დავიდე ტორკია** გამახსენდა. იტალიელი აგენტი, რომლის დახმარებითაც თავის დროზე ლევან მჭედლიძე "ემპოლიში" აღმოჩნდა. ტორკია თბილისში არაერთხელაა ნამყოფი. ბოლოს კი გენუაში, იტალია-საქართველოს მატჩამდე შევხვდი და ვესაუბრე.

თუმცა გუშინ დავიდე ტორკიასთან დაკავშირება არ მოხერხდა. შესაბამისად ლევანის ძმასთან, გიორგისთან დარეკვა გადავწყვიტეთ, რომელიც სწორედ ტორკიას სატრანსფერო სააგენტოში მუშაობს. მან უფრო ბევრი გვითხრა ამ თემაზე.

- "ემპოლისთან" ლევანის კონტრაქტი 2010 წელს იწურება. თუმცა მისი გადაბირება რამდენიმე სერიოზულ კლუბს სურს და ჩემს ძმასაც უნდა გუნდის შეცვლა. დაინტერესებული კლუბებიდან ერთ-ერთი მართლა "იუვენტუსია".

**- სხვა რომელ კლუბებზეა საუბარი?**

- "ინტერთანაც" მიდის მოლაპარაკებები... კიდევ 3-4 გუნდია, მაგრამ მათი დასახელებისგან, ამ ეტაპზე თავს შევიკავებდი.

**- ჩვენი ინფორმაციით ლევან მჭედლიძე "ბაიერნისა" და "ვერდერის" ინტერესის სფეროშიცაა...**

- არ უარვყოფ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვნახოთ, როგორ არჩევანს გააკეთებს ჩემი ძმა.


ლევან მჭედლიძე

**- "ემპოლიში" ლევანზე დიდ იმედებს ამყარებენ. რატომ გადაწყვიტა მისამართის შეცვლა?**

- იტალიურ წყაროებში ისიც ეწერა, ლევანს კარგა ხანს მოუწევს უგუნდოდ ყოფნაო. ასე ნამდვილად არაა საქმე. სერიოზული ინტერესია და მალე ლევანი ახალ გუნდში იქნება... იტალიაში მედიის სპეკულაციები და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ხვალ შესაძლოა ისიც დაწერონ "ემპოლისა" და ლევან მჭედლიძეს შორის "შავმა კატამ" გაირბინაო. არანაირი დაძაბული ურთიერთობა არაა. პირიქით, ლევანს "ემპოლიდან" ყოველდღე ურეკავენ და თხოვენ დარჩენას.

**- შენი ძმის ტრანსფერზე ისევ დავიდე ტორკია მუშაობს?**

- ის და ტულიო ტინკი მუშაობენ.

**- ლევანს "ემპოლისთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და გაუშვებს სხვა გუნდში?**

- "ემპოლის" ხელმძღვანელობას ამ საკითხზეც ვესაუბრეთ. მათგან თანხმობა მივიღეთ, რომ ლევანის ტრანსფერს არ შეაფერხებენ.

**- როდის გადაწყდება ლევან მჭდლიძის ახალი გუნდის ვინაობა?**

- შესაძლოა, ივლისშივე დაესვას წერტილი ამ საკითხს, ანაც მაქსიმუმ აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან

# მხიარული თამაში, ტელევიზორი და იღბალი


ალექსანდრე მისულაშვილი

***სამი გოლი და ერთი საგოლე გადაცემა - ასეთია "ნალჩიკის" მცველის, ალექსანდრე ამისულაშვილი ივლისური მონაგარ[illegible] რუსულ პრემიერლიგაში. შეიძლება ითქვას, ამ დროისთვის ამისულაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია რუსეთში, ეროვნულ ნაკრებში კი თითქმის წელიწადია, არ გამოუძახებიათ. ამისულაშვილი ქართულმა საფეხბურთო მილეთმა 2000 წელს გაიცნო, როცა ის ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელი იყო. მერე ალეკო თბილისი "დინამოში" გადავიდა და მაშინდელი "დინამოს" დამრიგებელი გივი ნოდია მასზე ამბობდა, მომავალი კალაძეაო. ეს პირობითი ნათქვამი იყო, თუმც ამისულაშვილი მართლაც ეფექტურად თამაშობდა - დაცვაშიც ძლიერი გახლდათ და შეტევაშიც ეხმარებოდა გუნდს. 22 წლის მცველი შეუმჩნეველი არ დარჩენია კიევის "დინამოს" და თავისთან მიიწვია. ამისულაშვილის კიევური კარიერა წარმატებული ვერ გამოდგა, თუმც ახლა ეს ვილას ახსოვს - ალეკოს რუსეთში ძალიან კარგი მცველის სახელი აქვს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც არაერთხელ მოხვდა. მიმდინარე პრემიერლიგაში ყველაზე მეტი საჰაერო ორთაბრძოლაც მან მოიგო. ამისულაშვილს გუშინ დავურეკეთ ნალჩიკში.***

- ახლა ყველაფერი ნორმალურად მიმდის, ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი შესაძლებლობების ასი პროცენტია, თუმც გოლების გატანას კი მოვუხშირე.

**- როგორც უნდა იყოს, ახლა საკმაოდ წარმატებული ფეხბურთელი ხარ რუსულ პრემიერლიგაში და ამ გადმოსახედიდან როგორ უყურებ "კიევის "დინამოში" გატარებულ პერიოდს?**

- თავიდან მართლაც ვერ წაშივიდა საქმე კარგად, რასაც არაერთმა ფაქტორმა განაპირობა. ახალი გარემო, კონკურენცია, მწვრთნელის სუბიექტური შეხედულება და ფსიქოლოგიური მომენტი - ყველაფერი ეს ერთმანეთს დაემთხვა. კიევიდან "დნეპროში" გამანათხოვრეს, მერე "დინამოში" დავბრუნდი და უკვე წინ წავიწიე, ნორმალურად ვგრძნობდი თავს და ძირითადშიც ვთამაშობდი. შემდეგ გამანათხოვრეს "ტავრიაში", საიდანაც რუსეთში წამოვედი. "ნალჩიკში" ჯერ იჯარით ვიყავი და შარშან გამომისყიდეს, ყაბარდოულ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს.

**- რა არის მთავარი, რის გამოც "ნალჩიკში" წარმატებით ათამაშდი?**

- როცა ფეხბურთელს მწვრთნელი დიდ ნდობას უცხადებს, ეს ძალიან ბევრ ნიშნავს. გარდა ამისა, "ნალჩიკი" ძალიან კარგი კოლექტივია.

**- რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ ბოლო ტურში "ზენიტს" 4:3 მოუგეთ. ძალიან უჩვეულო და საინტერესო მატჩი გამოდგა, რომელშიც გადამწყვეტი გოლი გაიტანე...**

- ვფიქრობ, "ზენიტი" ახლა რუსეთის საუკეთესო გუნდია და ერთ-ერთი საუკეთესო რომ არის ევროპაში, უეფას თასის მოგებითაც დაამტკიცა - ლამაზ,შემტევ ფეხბურთს თამაშობს. პირველ ტაიმში საკუთარ კარში შევაგდე ბურთი და 10-15 წუთი დაბნეული ვიყავი, მეორე ტაიმში კი შეცდომა გამოვასწორე და "ზენიტს" გავუტანე. საერთო ჯამში მხიარული თამაში გამოვიდა.

**- ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. რამდენად იგრძნობა ეს ნალჩიკსი და სართოდ რუსეთში?**

- მესამე წელია რუსეთში ვარ და არასდროს მიგრძვნია რაიმე ზეწოლა ქართველობის გამო, ანტიქართულ განწყობას ვერც ნალჩიკში ვგრძნობ და ვერც მთელ რუსეთში. რეალობა ერთია და მეორე ის, რასაც ტელევიზორში ვუყურებთ: პოლიტიკა ფეხბურთთან არაფერ შუაშია - ბრაზილიელი ხარ, რუსი თუ ქართველი, საქმეს კარგად თუ ვერ აკეთებ, აქ არავინ გაგაჩერებს.

**- ეროვნულ ნაკრებში ბოლოს შარშან, 31 ივნისს ითამაშე ლუქსემბურგთან. რა მოხდა იმ შეხვედრაში ისეთი, რომ იმის აქეთ ნაკრებში აღარ დაგიძახეს?**

- ერთი ტაიმი ვითამაშე, მაშინაც ნორმალურ ფორმაში ვიყავი, რამდენიმე წელია, კარგ სათამაშო კონდიციაში ვარ, უბრალოდ, ახლა გოლები გავიტანე და როგორც იტყვიან, იღბლიანი პერიოდი მაქვს. ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ეროვნულ გუნდში თამაში და არც მე ვარ გამონაკლისი.

**- ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან ან ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ შეგხმიანებია?**

- არა, არავის დაურეკავს.

**- როგორ ფიქრობ, მცველისთვის რა არის რუსული პრემიერლიგის ძირითადი სპეციფიკა?**

- ტაქტიკურად მაღალ დონეზე უნდა იყო მომზადებული, მცველის ერთი პოზიციური შეცდომაც კი, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს გუნდს. "ნალჩიკში" ორ პოზიციაზე მიწევს თამაში - ან დაცვის ცენტრში, ან მარცხენა ფლანგზე.

**- პრემიერლიგის ბოლო ტურში "კრილიას" 1:1 რომ ეთამაშეთ, გოლიც გაიტანე და იან კოლერიც კარგად ამოკეტე - რთული გამოდგა მისი მეურვეობა?**

- კოლერს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაღალი და ჯანიანი კი არის, მაგრამ ორთაბრძოლებში ერთი ბურთიც ვერ მოიგო.

**- "ნალჩიკის" საშინაო მატჩებზე რამდენი მაყურებელი დადის?**

- 15-20 ათასი, ფეხბურთი აქ ძალიან უყვართ. ახლა მეხუთე ადგილზე კი ვართ, თუმც ჩვენი მთავრი მიზანია, საუკეთესო ათეულიდან ქვევით არ ჩამოვიდეთ.

**- შეიძლება ითქვას, რომ კიევის "დინამოს", "დნეპრის" , "ტავრიის" და "შინიკის" შემდეგ ალეკო ამისულაშვილმა საკუთარი თავი "ნალჩიკში" იპოვა?**

- მასეა, "ნალჩიკში" ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. კიევის "დინამოში" საქართველოს ჩემპიონატიდან მივედი და ეს შეცდომა იყო - ასეთ დონის გუნდში ასეთი დონის ჩემპიონატიდან არ უნდა მიხვიდე, მაგრამ ისიცაა, როცა ასეთი შანსი გაგიჩნდება, უარის თქმა გიჭირს. ფეხბურთში ბევრი ნიუანსია და ბევრი რამ გამართლებაზეცაა დამოკიდებული.

დავით თავართქილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური დავით მაისურაძე, ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე. ნომრის მორიგე რედაქტორი დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

## ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

**რუნავიკი-დინამო**
(ფარერები) (საქართველო)

**1:0**

22.07. ტორსჰავნი. გუნდადალური
120 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:3**

1:0 ჰალგრიმი (16)

რუნავიკი: კნუდსენი, პანდუროვიჩი, ო. ჰანსენი, დავიდსენი, ე. ჰანსენი, ლოკინი, სტანკოვიჩი, პეიჩიჩი (იაკობსენი), დალბუდი (ა. ოლსენი), ელტორი, პოტიომკინი (იაკობსენი).

დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, ინწკირველი, ნერგაძე, ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი (ჯიშკარიანი), ფირცხალავა (კრშკო), ვაწაძე (ქანთარია).

*სათადარიგოები:* ლორია, თომაშვილი.

არბიტრი: ტერო ნიემინენი (ფინეთი)

### მატჩის შემდეგ




დინამოელთა დამრიგებელ რაინერ ცობელს ტორსჰავნში ნუხელ რომ შევეხმიანეთ, დანა პირს არ უხსნიდა, თუმც კომენტარზე უარი არ უთქვამს.

*- კარგია ის, რომ მომდევნო ეტაპზე გავედით. თუმცა ცუდი და გულდასაწყვეტია, რომ წავაგეთ. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ. კატასტროფულ მოედანზე მოგვიწია თამაში. ხელოვნური საფარი ბეტონივით იყო და შესაბამისად ტრავმის ალბათობა ძალზედ დიდი გახლდათ. საერთოდ, ასე არ უნდა ხდებოდეს, მეტოქემ საქმის კურსში არ ჩაგვაყენა, არ გვითხრა, რომ ხელოვნურსაფარიან მოედანზე მოგვიწევდა თამაში. გაშვებული გოლი გიორგი ნერგაძის შეცდომას მოჰყვა. შესვენებაზე ფეხბურთელები შევაფუცხუნე. მეორე ნახევარი კარგად ვითამაშეთ. ფრეც შეგვეძლო და მოგებაც, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ.*

დავით ცაბაძე



# ფარერელმა მეთევზეებმა გუშინ ანქესი მოისროლეს და საქართველოს საუკეთესო გუნდს გამოსდეს

## რუნავიკმა ევროსარბიელზე აქამდე ფრე რა იყო, ის არ იცოდა და ისტორია თბილისის დინამოთი შეიქმნა

## ზესტაფონი vs ბორჯომი



ილია კოკაია

## დავით გელაშვილი:
# კოკაია აფერისტია!

"ზესტაფონი" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრულ "დიორ ეტოსთან" საპასუხო მატჩისთვის ემზადება. შეხვედრა 31 ივლისს ზესტაფონში გაიმართება და ფეროელებს უნდოდათ, ერთკვირიან შეკრებაზე გადასულიყვნენ ბორჯომში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და შეიძლება ითქვას, სკანდალამდეც კი მივიდა საქმე.

"ზესტაფონის" პრესსამსახურმა გვითხრა, "ბორჯომმა" თავისი სტადიონის იჯარაში არარეალური თანხა მოგვთხოვა და ძალიან დასანანია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ხელშეწყობის ნაცვალად სულ სხვა რამე მივიღეთ ბორჯომელებისგანო. "ზესტაფონში" ზუსტად არ გვითხრეს, თუ რა თანხა მოსთხოვა "ბორჯომმა", ის კი მოგვახსენეს, თანხა შეურაცხმყოფელიაო.

ბორჯომული სტადიონი ხელოვნურსაფარიანია და კლუბს ეკუთვნის, კლუბი კი - ქალაქის გამგეობას. ცხადია, დავინტერესდით, რა თანხა მოსთხოვა ბორჯომმა" "ზესტაფონს" და უთანხმოებას რა მიზეზი და საფუძველი ჰქონდა. "ზესტაფონმა" ამ კონფლიქტში "ბორჯომის" ყოფილი პრეზიდენტი **დავით გელაშვილი** ახსენა და სწორედ მას დავუკავშირდით.

- თანახმა ვარ იმაზე, რომ ყველაფერი აფიშირებული გახდეს. ორი წლის წინათ, როცა მე ვიყავი "ბორჯომის" პრეზიდენტი, "ზესტაფონმა" ათი დღე ივარჯიშა ჩვენს სტადიონზე და კლუბისთვის ორი ათასი ლარი უნდა გადაეხადა. ეს ვალი დღემდე მართებს "ზესტაფონს". ახლა კი "ბორჯომმა" ორჯერადი ვარჯიშისთვის დღეში 150 ლარი მოსთხოვა "ზესტაფონს" და ვფიქრობ, ეს სავსებით მისაღები ფასია, მაგრამ როგორც კი "ზესატფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** გაიგო, რომ ძველი ვალიც იყო გადასახდელი, გუნდისთვის დაჯავშნული სასტუმროდან გაიწვია თავისი კლუბი. ყოველივე ამაზე ასეთ კომენტარს გავაკეთებდი - კოკაია აფერისტია - გვითხრა "ბორჯომის" ექსპრეზიდენტმა გელაშვილმა.

დავით თავართქილაძე

# სომხებს და სიცხეს ერთად უნდა ვებრძოლოთ

კვიპროსის ჩემპიონი „ანორთოსისი" დღეს ერევანში „არარატის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ **ნიკოს ფრუსოსის** მიერ გატანილი პენალტის წყალობით „ანორთოსისმა" კვიპროსში 1:0 იმარჯვა. იმ შეხვედრაში მეორე ტაიმში შეცვალეს **კლიმენტი ნიტაიშვილი. თემურ ქეცბაიას** გუნდი ერევანშია და მატჩისთვის საშინელ ხვატში ემზადება, ჰოდა 40 წლის ქართველი მწვრთნელიც შეფიქრიანებულია: „ჩვენ ამ დაპირისპირების გამარჯვებულის ვინაობა საშინაო მატჩშივე უნდა გამოგვევლინა, ამის ბევრი შანსიც გვქონდა, მაგრამ ვერ შევძელით. ამიტომ, საგზურის მოპოვება ერევანში გვმართებს. ძალიან გაგვიჭირდება, რადგან სომხეთში დიდი სიცხეებია, თამაში კი ნაშუადღევსაა დანიშნული. ფეხბურთელები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რაიმე შეცდომა არ დაუშვან და გუნდი გასაჭირში არ ჩააგდონ".



თემურ ქეცბაია

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტორპედო 2008. ინტერვიუ კახა კარანაძესთან

# ქუთაისში მწვრთნელი ფედერაციის რჩევით დანიშნეს

## კახა კარანაძე: უმაღლესში გადასვლას ჯერ ვერ შეგპირდებით



მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინათ ქუთაისში ახალი საფეხბურთო კლუბი „ტორპედო 2008“ ჩამოყალიბდა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში იასპარეზებს. ქუთაისური გუნდის მთავარ მწვრთნელად ბევრისათვის უცნობი სპეციალისტი კახა კარანაძე დაინიშნა, რომელსაც გუშინ სალორიის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით...

**- ბატონო კახა, თავდაპირველად თქვენს შესახებ გვიამბეთ. „ტორპედო 2008“-ში დანიშვნამდე სად მუშაობდით და რა სამწვრთნელო გამოცდილება გიმაგრებთ ზურგს?**

- ფეხბურთელობისას საბჭოთა კავშირის 17 და 18-წლამდე ნაკრებების კაპიტანი ვიყავი. „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილი ვარ და იმ პერიოდში 1981-1982 წლებში თბილისის „დინამოს“ დუბლებში ვთამაშობდი. შემდეგ მძიმე ტრავმა მივიღე და ჩემი კარიერა სასურველი გზით აღარ განვითარდა. ძირითადად ქვედა ლიგის გუნდებში: სამტრედიის „ლოკომოტივში“, ბათუმის „დინამოში“ და გორის „დილაში“ ვთამაშობდი. 22 წლის ასაკში კი მუხლი მძიმედ დავიზიანე და იძულებული გავხდი ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. სამწვრთნელო კარიერა „ნორჩ დინამოში“ დავიწყე, შემდეგ თბილისის „თბილისის“ ახალგაზრდულ გუნდში ნოდარ ხიზანიშვილთან ერთად ვმუშაობდი. მაშინ ჩვენთან ვიტალი დარასელია უმცროსი და რატი ალექსიძე იყვნენ. ძალიან კარგი ბიჭები გვყავდა, მაგრამ მალე ყველაფერი აირია და მათთან მუშაობა არ დაგვცალდა. 1996-98 წლებში გერმანიაში, კიოლნის ბავშთა გუნდებში ვმუშაობდი. 1999 წელს კი რუსთავში გაიოზ დარსაძის თანაშემწედ დავინიშნე. „ტორპედო 2008“-ის მთავარ მწვრთნელად დანიშვნამდე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ნაკრები გუნდების გაფართოებული საბჭოს წევრი ვიყავი.

**- საინტერესოა, როგორ მოხდა „ტორპედო 2008“-ში თქვენი დანიშვნა?**

- ქუთაისური გუნდის ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელის მოძებნაში დახმარება სთხოვა. ისინი ახალგაზრდა, პატიოსან, კომპეტენტურ და ნეიტრალურ ადამიანს ეძებდნენ, რომელიც ახალი გუნდის დაკომპლექტებას მოახერხებდა. ფედერაციამ ქუთათურებს ჩემი კანდიდატურა შესთავაზა, რისთვისაც მათი მისამართით მადლობის მეტი რა მეთქმის. ქუთაისური ფეხბურთის ტრადიციებიდან გამომდინარე ეს შემოთავაზება ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო და „ტორპედო 2008“-ში მუშაობას სიამოვნებით დავთანხმდი.

**- ვინ იქნებიან თქვენი თანაშემწეები?**

- ჩემთან ერთად ქუთაისში ჩამოვიდა ოთარ რუხაძე, რომელიც წარსულში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო. მას ბევრ გუნდში უმუშავია და დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს. გვჭირდება კიდევ ერთი ახალგაზრდა, პატიოსანი და იმედისმომცემი მწვრთნელი, რომელსაც ადგილობრივი კადრებიდან შევარჩევთ.

**- ახალი გუნდის ჩამოყალიბება და მისი დაკომპლექტება ურთულესი პროცესია. ამ მხრივ თქვენთან რა ვითარებაა?**

- რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს ფეხბურთელთა შერჩევა. გუნდში თამაშის სურვილი 130-მდე ფეხბურთელმა გამოთქვა. „სალორიის“ ბაზაზე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან მოიყარეს თავი, მათ შორის იყვნენ „ტორპედოს“ ყოფილი მოთამაშეებიც. ამათგან 24 ფეხბურთელი შევარჩიეთ, რომელთაგანაც ოთხი მეკარეა. აქცენტი ძირითადად ადგილობრივ ახალგაზრდებზე გავაკეთეთ. სელექციას კიდევ გავაგრძელებთ და იმედია ბრძოლისუნარიან გუნდს ჩამოვაყალიბებთ.

**- ფეხბურთელებით კმაყოფილი ხართ, თუ მათგან უკეთეს დონეს მოელოდით?**

- სიმართლე რომ გითხრათ, რამდენიმე მოთამაშის გამოყოფა შეიძლება, მაგრამ უმეტესობასთან სერიოზული მუშაობაა საჭირო

**- საუბარია, თითქოს „ტორპედო 2008“ ამ სეზონშივე უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამის შესაძლებლობა?**

- ჯერ კიდევ ფეხბურთელების შერჩევის პროცესში ვართ, ჩვენი მეტოქეები კი უკვე დიდი ხანია ემზადებიან და ამხანაგურ შეხვედრებსაც მართავენ. ასეთ ვითარებაში პირველივე სეზონში უმაღლესში გადასვლას ვერავის შევპირდებით, ვეცდებით ეტაპობრივად ჩამოყალიბდეს ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომელიც ახლო მომავალში ქართულ ფეხბურთში თავის სიტყვას იტყვის.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან



როცა ტორპედოს არგომარი სპონსორობდა, საქართველოს ჩემპიონი სამჯერ გახდა და ევროსარბიელიც დააგემოვნა

თასის გათამაშება. წილისყრა

# 32 ორ ზონად დაიყო და დაწყვილდა

## ზუგდიდური დერბის მოლოდინში

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის "ყაზბეგის" გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩების წილისყრა გაიმართა. ამ ეტაპზე გათამაშება ორ, დასავლეთ და აღმოსავლეთის ზონებადაა დაყოფილი. მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები 1 და 2 აგვისტოს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 4 და 5 აგვისტოს გაიმართება. დასავლეთი და აღმოსავლეთის ზონების მიხედვით წილისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:

**დასავლეთი**

"მესხეთი" (ახალციხე) - "კოლხეთი" (ფოთი) - **2 და 5 აგვისტო**

"მგლები" (ზუგდიდი) - "ბაია" (ზუგდიდი) - **1 და 4 აგვისტო**

"გორჯომი" - "სამტრედია" - **1 და 4 აგვისტო**

"სპარტაკი" (ცხინვალი) - ოზურგეთი **1 და 4 აგვისტო**

"მადაროელი" (ჭიათურა) - "ტორპედო 2008" (ქუთაისი) - **1 და 4 აგვისტო**

"მეშახტე" (ტყიბული) - "გურია" (ლანჩხუთი) - **1 და 4 აგვისტო**

"მერანი" (მარტვილი) - "კოლხეთი" (ხობი) - **1 და 4 აგვისტო**

**აღმოსავლეთი**

"ოლიმპი" (რუსთავი) - "ჰერეთი" (ლაგოდეხი) - **1 და აგვისტო**

"ამერი" (თბილისი) - "კახეთი" (თელავი) - **1 და 4 აგვისტო**

"სიონი" (ბოლნისი) - "ნ/დინამოელი" (თბ.) - **1 და 4 აგვისტო**

"ლოკომოტივი" (თბილისი) - "დუშეთი" - **1 და 4 აგვისტო**

"გაგრა" - "თბილისი" - **2 და 5 აგვისტო**

"მერანი" (თბილისი) - "ჩიხურა" (საჩხერე) - **1 და 4 აგვისტო**

ამ წყვილებში გამორჩეული შეხლა ალბათ "მგლებისა" და "ბაიას" ზუგდიდური დერბი იქნება.

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები 18 საათზე დაიწყება, საპასუხო კი 17 საათზე. 6 აგვისტოს, პროფესიული ფეხბურთის ოფისში, მერვედფინალის წილისყრა 13 საათზე გაიმართება. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ თასის გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაერთვებიან თბილისის "დინამო", "ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია" და "ბათუმი".

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

# დემეტრაძემ დუბლებში გაიტანა



კიევის "არსენალის" ქართველ ფორვარდ **გიორგი დემეტრაძეს** "მეთოფეთა" თავკაცები ძირითადში რომ აღარ ათამაშებენ, ახალი ამბავი არაა. ჩვენებურს გუნდში ვარჯიშის უფლებასაც არ აძლევდნენ, თუმცა როგორც ჩანს, ვითარება ნელ-ნელა იცვლება. უკრაინული წყაროების ინფორმაციით, გიორგი დემეტრაძე "არსენალის" დუბლებში გამოჩნდა. "მეთოფეთა" რეზერვისტებმა "ჩერნომორეცის" დუბლები 6:2 დაამარცხეს. დემეტრაძე მეორე ტაიმის შუაწელს გამოჩნდა მოედანზე და გოლის გასატანად ნახევარი ტაიმიც ეყო - მატჩის მიწურულს საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

დავით ცაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# იმედია, ეროვნულში დამტოვებენ

## სეგრტმა სასტუმრო დაჯავშნა და ლეგიონერები მოინახულა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი პეტარ სეგრტი "დინამოსა" და "რუნავიკის" მატჩს დაესწრო და იმავე საღამოს გაემგზავრა თბილისიდან. მან ჯერ სლოვაკეთში მყოფი "ვიტ ჯორჯია" მოინახულა, მერე კი უნგრეთში ჩავიდა და "დიორთან" "ზესტაფონის" მატჩს დაესწრო. საინტერესოა, თუ რა აზრისაა ქართული გუნდების ევროტურნირებში თამაშზე სეგრტი, რომელიც ეროვნული ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატია. გარდა ამისა, ის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორიცაა. ერთი სიტყვით, სეგრტს გუშინ იტალიაში დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.



პეტარ სეგრტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას ვერ ელევა

- ჩვენი გუნდების თამაშით აღფრთოვანებული ვარ. ზესტაფონელებმა ბოლომდე იბრძოლეს. განსაკუთრებით, ახალგაზრდა ფეხბურთელების, დაუშვილის, ძარიას, ლობჟანიძის თამაშს გამოვყოფდი. საიმედოდ ითამაშა მეკარე კვასხვაძემ.

ამჟამად ქართული გუნდები გაახალგაზრდავების გზაზე დგანან. ამ ფონზე, ევროტურნირებში ახალგაზრდა ფეხბურთელების წარმატებული და გამორჩეული თამაში კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე დგას. უნგრეთში ჩასვლამდე ტრნავაში ჩაველდი და მატჩამდე "ვიტ ჯორჯია" ვნახე. ვფიქრობ, ჩემი მისვლით ფსიქოლოგიურად მაინც გავამხნევე ვიტელები.

უეფას თასზე ჩვენი გუნდების გასვლითი მატჩების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებთან და კლუბში მათ მწვრთნელებთან მქონდა საუბარი.

**- თბილისიდან გამგზავრებამდე"დინამოს" მატჩსაც დაესწარით...**

- ჩვენს ჩემპიონს სუსტი მეტოქე ჰყავდა, რომლის დამარცხება სტუმრადაც შეუძლია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ 3:0-ის შემდეგ, გუნდმა მეტი გოლის გატანა ველარ შეძლო. "დინამო" ამ ბარიერს გადალახავს, აი მერე კი რთული მატჩები ელის "პანათინაიკოსთან".

**- რამდენადაც ვიცი, უნგრეთში ნაკრებთან დაკავშირებით იყავით ჩასული...**

- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს სწორედ უნგრეთი უმასპინძლებს, სადაც მოვინახულე ის სტადიონი, სადაც ჩვენს 17-წლამდელებს მოუწევს მატჩების გამართვა. გარდა ამისა, სავარჯიშო მოედნებიც დავათვალიერე და შევიგულე. საბოლოო გადაწყვეტილება კი 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებთან ერთად მივიღებთ. ჩაველდი უდინეშიც და ჩვენი ეროვნული გუნდისთვის ვნახე სტადიონი, სადაც იტალია-საქართველოს მატჩი გაიმართება. სავარჯიშო მოედანიც შევარჩიე და სასტუმრო"ბესტ ვესტერნში" ნომრებიც დავჯავშნე.

**- კი მაგრამ, თქვენ ხომ 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ....**

- კი, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამასთან ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ვარ. შესაბამისად, ჩემი ვალდებულებაა ნაკრები გუნდებისთვის სტადიონების, სავარჯიშო მოედნების მონახულება-შერჩევა, სასტუმროს დაჯავშნა, ასევე, ლეგიონერებზე ინფორმაციების შეგროვება.

**- ლეგიონერებიდან ვინ ნახეთ?**

- კახა კალაძესთან მილანში ვაყავი, "მილანელოზე" ვარჯიშს დავესწარი, მერე კი ვესაუბრე. მას ტრავმა ჰქონდა, ოპერაციას გადაურჩა და მისი ახლანდელი მდგომარეობა მაინტერესებდა. გარდა ამისა, "აუგაბურგის" ამხანაგურ მატჩს დავესწარი და ოთარ ხიზანეიშვილის თამაში ვნახე. მატჩის შემდეგ კი ოთართან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ხიზანეიშვილი თუ როგორ გრძნობს თავს ახალ გუნდში... დავესწრები "შალკეს" თამაშს, ლევან კობიაშვილსა და ლევან ყენიას ვნახავ. "შტურმის" საკონტროლო შეხვედრასაც მივადევნებ თვალს, გიორგი შაშიაშვილთან და ილია კანდელაკთანაც მექნება საუბარი.

**- ეროვნული ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატი ხართ. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე თქვენთან თუ ჰქონდა საუბარი?**

- ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ და თუნდაც რიგითმა გულშემატკივარმა კარგად იცის საქმისადმი ჩემი მიდგომა, ჩემი მუშაობა - ნაკრები გუნდების ფეხბურთელებთან სპორტულის გარდა, პატრიოტულ მოტივებზეც მაქვს ხოლმე საუბარი. ჩემი მიზანი და ოცნებაა, ეროვნული ნაკრები 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდეს და იმედი მაქვს, საშუალება მომეცემა, ამ ოცნების რეალობად გადაქცევისთვის ვიბრძოლო. ეს საკითხი კი ფედერაციაში, აღმასკომის გადასაწყვეტია. თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღებამდე მოისურვებენ ჩემთან სანაკრებო თემაზე საუბარს, სიამოვნებით დავეთანხმდები. ეროვნულ ნაკრებთან მიმართებაში ჩემეული ხედვა მაქვს, თუნდაც კონტინგენტზე ვთქვათ...

**- იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, თქვენეულ ხედვაში რას გულისხმობთ?**

- ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა თაობისა და გამოცდილი ფეხბურთელების კარგი სინთეზი უნდა მოხდეს. ასე ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება.

**დავით ცაგაძე**

---

U 19. ამხანაგური მატჩი. საქართველო-რუმინეთი

# რუმინეთისთვის მზადება დაიწყო

## სვანაძეს სანაკრებო დებიუტი ელის



ხვალ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები რუმინელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცის პოსტზე, ზაურ სვანაძისთვის ეს პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩია. ჭაბუკთა ნაკრები გუშინ ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" მოსამზადებელ შეკრებაზე გადავიდა. სვანაძემ და მისმა შტაბმა რუმინელებთან მატჩისთვის 26 ფეხბურთელი შეარჩიეს:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე, გიორგი ლოსაბერიძე (ორივე დინამო), ბუთა კოტრიკაძე (გაგრა)

მცველები: გიორგი გეთიაშვილი, ლევან კაკუბავა (ორივე დინამო), გიორგი სარაჯიშვილი (ოლიმპი), ცოტნე ბუკია (ზესტაფონი), ილია სორდია (ვიტ ჯორჯია), გიორგი გურაბანიძე (ნორჩი დინამოელი), ბადრი ტეტუნაშვილი (გაგრა), ლევან ტყებუჩავა (მეშაქრე).

ნახევარმცველები: ირაკლი კანდელაკი, ვაჟა ნემსაძე, ნიკოლოზ ჯიშკარიანი (ყველა დინამო), გიორგი სალარიძე (ორბები), თემურ შონია (ოლიმპიკი), ლაშა საცერაძე (ზესტაფონი), ლევან სეთურიძე (გაგრა), თორნიკე თარხნიშვილი (სპარტაკი), ირაკლი ხუციძე (ამერი), ირაკლი კვეკვესკირი (დინამო2, მოსკოვი, რუსეთი).

თავდამსხმელები: ზვიად ქანთარია (დინამო), გიორგი იჩქითი (დილა), ერეკლე ფილია, მიხეილ ხოკერაშვილი (ორივე გაგრა), მიხეილ როსტიაშვილი (ვიტ ჯორჯია).

აქვე იმასაც გამცნობთ, რომ ამ 26 ფეხბურთელიდან, ორი ჯერ არ არის "ბასაზე" - ნახევარმცველი ნიკოლოზ ჯიშკარიანი და თავდამსხმელი ზვიად ქანთარია თბილისის "დინამომ" რუნავიკთან"საპასუხო მატჩისთვის ფარერებზე თან იახლა და სამშობლოში დღეს გამოემგზავრებიან.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში ნოემბრის ბოლოს აქვს მატჩები - მეტოქეებად ჩეხეთის, კვიპროსისაა და დანიის ნაკრებები გვეყოლება. ჯგუფურ ტურნირს, საიდანაც ელიტრაუნდში ორი გამარჯვებული გადის, კვიპროსი უმასპინძლებს.

*"ჩვენ მარტის დასაწყისში შევუდექით ახალი გუნდის ჩამოყალიბებას. ასისტენტებთან ერთად სამი თვის განმავლობაში ვაწარმოებდი სელექციას. რეგიონები შემოვიარეთ. საკონტროლო მატჩები თბილისის გარდა ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისსა და ბათუმში გავმართეთ. სულ 120 მატჩს დავესწარით. დღეისათვის ეს კონტინგენტი გვყავს შერჩეული,მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით და გამორჩეული ჭაბუკების მოძიებას გავაგრძელებთ.*

*ერთი კვირის წინათ რუსთავში, "ოლიმპთან" ამხანაგური მატჩში 0:1 დავმარცხდით.*

*ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპამდე მოსამზადებლად კიდევ სამი თვე გვაქვს და ეს პერიოდი ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ.*

*რუმინეთთან ეს ორი ამხანაგური მატჩი ჩვენი გუნდისთვის კარგი გამოცდა იქნება. ფეხბურთელები საერთაშორისო გამოცდილებას შეიძენენ",* - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ.

საქართველო-რუმინეთის 19-წლამდელთა ამხანაგური მატჩი ხვალ თბილისში "ამერის" სტადიონზე 18 საათზე დაიწყება. ამ თამაშს ეროვნული კატეგორიის არბიტრი მალხაზ მაისურაძე გაუძღვება. მისთვის, არბიტრის რანგში ეს გამოსათხოვარი მატჩი იქნება. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მალხაზ მაისურაძე გარკვეული პერიოდის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს მსაჯთა დამკვირვებლის რანგში მოევლინება. ამ გუნდებს შორის მეორე ამხანაგური შეხვედრა კი 26 ივლისს გორში, თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე 18 საათზე გაიმართება.

**დავით ცაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და მაფია

# სპეცოპერაცია რომში

## ლაციოს ყოფილ ფორვარდ კინალიაზე დაპატიმრების სანქცია გაიცა


კლაუდიო ლოტიტო და ჯორჯო კინალია

ისევ იტალია და ისევ სკანდალი. ნეაპოლური მაფიის ყველაზე გავლენიანი, "კამორას" სახელით ცნობილი დაჯგუფება "ლაციოს" ყიდვას ცდილობდა. ამისთვის, "კამორა" მესამე პირებს იყენებდა. რაც შეეხება ფულის წარმომავლობას, ბუნებრივია, როცა მაფიაზეა საუბარი, ეს ფული სუფთა ვერ იქნება. "კამორამ" ის ათასგვარი ძალადობისა თუ შანტაჟის გზით დააგროვა...

გუშინ, რომის პოლიციამ ბრძანება გასცა ოპერაციის დაწყებაზე, რომლის კოდური სახელწოდება იყო "მოტეხილი ფრთები". ოპერაციის შედეგად, დაპატიმრებულია 10 კაცი, რომელთაგან ორი - შვეიცარიისა და უნგრეთის მოქალაქეა. მაგალითად, უნგრელი **ზოლტან შლივაცი** 2007 წელს საბირჟო მაქინაციებისთვის გაასამართლეს, თუმც მალევე გაათავისუფლეს. სინდიკატი "კაზალეზის" სახელწოდებით მოქმედებდა და საცეცები სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა.

პოლიციამ საქმე აღძრა ჯერ კიდევ 2006 წლის ზაფხულში, როცა "ლაციოს" პრეზიდენტმა **კლაუდიო ლოტიტომ** "ულტრასებისგან" (ფანების რადიკალური დაჯგუფება) მუქარის წერილები მიიღო. "ბიანკოჩელესტეს" ბოსმა სამართალდამცველებს მიმართა. სინიორ კლაუდიოს სპეციალური დაცვა გამოუყვეს. "ულტრასები" ითხოვდნენ, ლოტიტოს კლუბის აქციები მიეყიდა კონსორციუმისთვის, რომელსაც "ლაციოს" ყოფილი ფორვარდი **ჯორჯო კინალია** ხელმძღვანელობდა. ცნობისთვის, კინალია 1969-დან 1976 წლამდე იცავდა რომაული კლუბის ღირსებას (209 მატჩი, 108 გოლი) და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა (14 მატჩი და 4 გოლი "სკუადრა აძურაში"). ამის შემდეგ კინალია ნიუ-იორკის "კოსმოსში" გადაბარგდა და 1983 წლიდან, დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, იქვე დასახლდა...

პერიოდულად, კინალია რომშიც ცხოვრობდა. იქ ბრძანდებოდა იმ დროსაც, როცა მისი სახელით "ულტრასები" ლოტიტოსგან კლუბის გაყიდვას ითხოვდნენ. პოლიციამ სწორად აილო კვალი, თუმც "ლაციალეს" ყოფილმა მოთამაშემ სამართალდამცველებს ამერიკაში გაასწრო. მანამდე, ერთ-ერთი რომაული ვიზიტისას, კინალია პირადად შეხვდა ლოტიტოს. მან პრეზიდენტს შესთავაზა, "ლაციოს" ტექნიკური სპონსორი გამხდარიყო ფარმაცევტული კომპანია "გედეონ რიხტერი", რაც ამ უკანასკნელმა მაშინვე კატეგორიულად უარყო. როგორც ჩანს, რაღაც აფერას ჰქონდა ადგილი. რომის პროკურატურამ კინალიას დაპატიმრების სანქცია გუშინ გასცა.

"კაზალეზი", რომელსაც კინალია აკონტროლებდა, "ლაციოს" ჯერ კიდევ 2004 წელს დაუკავშირდა, როცა კლუბის ყოფილ პრეზიდენტ **სერჯო კრანიოტის** მფლობელობაში მყოფი "ჩირიო" გაკოტრდა და "ლაციალეს" მესაკუთრე ლოტიტო გახდა. საინტერესოა, რომ "ბიანკოჩელესტეს" გარშემო მაფიოზების გააქტიურება, რატომღაც, ლოტიტოს ეპოქას ემთხვევა...


ფლორან მალუდა

რომა

# მოდის მალუდა?

## ოფიციალური შეთავაზება მუტუს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ფლორან მალუდა** "რომას" უახლოვდება. იტალიურ სააგენტოებს თუ ვენდობით, გარიგება ამ კვირის ბოლოსთვის გაიჩარხება. დაცვის ხაზის გასაძლიერებლად, "ჯალოროსიმ" **ჯონ არნე რიისე** და **სიმონე ლორია** იყიდა, წავიდნენ **ამანტინო მანსინი** ("ინტერი") და **ლუდოვიკ ჟიული** ("პარი სენ ჟერმენი"). ამ უკანასკნელზე რა მოგახსენოთ და, მანსინი ნამდვილად დიდი დანაკლისია. "რომას" ქომაგები ხმაურიანი ტრანსფერის მოლოდინში არიან და მალუდა სწორედ ის ფიგურაა, "ოლიმპიკო" კმაყოფილი რომ უნდა დარჩეს.

აქამდე, მთავარი ობიექტივი **ჟულიო ბაპტიშტა** იყო. რომაელებს სურდათ, რომ "რეალის" ფორვარდი არენდით წაეყვანათ, მაგრამ მადრიდში ქვა ააგდეს და თავის შეუშვირეს - მხოლოდ სრულყოფილი ტრანსფერი და ისიც 11 მილიონ გირვანქადო. კაცმა რომ თქვას, მანსინის პირდაპირ ალტერნატივად **ლუჩანო სპალეტის** უფრო მალუდა უნდა აწყობდეს. 28 წლის გარემარბს "ჩელსიში" საქმეები ვერ აეწყო. არადა, ერთი წლის წინათ, "ლიონს" მასში 20 მილიონი ევრო მიუთვალეს...

იტალიის ვიცე-ჩემპიონს ამ შემთხვევაშიც იჯარაზე უჭირავს თვალი. მართალია, ამ ტიპის გარიგება არც "არისტოკრატებს" ეხატებათ გულზე, მაგრამ ეტყობა, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მალუდა არ სჭირდება. ჰოდა, რატომ უნდა უხადონ ხელფასი ფეხბურთელს, რომელიც უმეტეს დროს სკამზე გაატარებს? ამავე დროს, "ჩელსიში" იმაზეც ფიქრობენ, რომ ფრანგი იქნებ მომავალში დაგვჭირდესო. აქედან გამომდინარე, "სტემფორდ ბრიჯისთვის" განათხოვრების ოპერაცია, შეიძლება, უფრო მისაღები აღმოჩნდეს.

"კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, "რომამ" გუშინ უკვე ოფიციალურად შეატყობინა "ჩელსის", რომ მალუდას გადაბირება სურს. ამას გარდა, დღე-დღეზე ლონდონში ჩასვლას აპირებს "ჯალოროსის" სატრანსფერო გურუ **დანიელე პრადე**, რომელიც "არისტოკრატ" კოლეგა **პიტერ კენიონთან** ერთად, ტრანსფერის დეტალებს ჩაუჯდება. იტალიელთა სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფრანგს ლონდონის დატოვება სურს, რის სანაცვლოდაც სიამოვნებით ითამაშებდა სერია A-ში. და თუ "ჩელსიმაც" თავი გაიგიჟა, "რომა" იძულებული გახდება, დაახლოებით 13 მილიონი ევრო გადაიხადოს. მაგრამ გადაიხდის კი?

გუშინ ჭორებს წერტილი დაესვა და "რომამ" ოფიციალური შეთავაზებით მიმართა "ფიორენტინას", **ადრიან მუტუს** შეძენის თაობაზე. ეს ამბავი ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა **პანტალეო კორვინომ** დაადასტურა. მართალია, ფინანსურ მხარეზე ჩინოსანს არაფერი უთქვამს, მაგრამ პრესამ საიდანღაც გაარკვია, რომ "ჯალოროსიმ" "ფიორენტინას" 15.8 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ხოლო უშუალოდ მოთამაშეს წლიურად 2.5 მილიონი. იმავე კორვინოს სიტყვებით, "ვიოლა" მზადაა, განიხილოს რომაული წინადადება და ყველაფერი მისაღები იქნა, 30 წლის რუმინელს მწვანე შუქი აუნთოს.

ბარსელონა

# ტრეზეგე სათვალავში


დავიდ ტრეზეგე

როგორც ამბობენ, **დავიდ ტრეზეგეს** ტურინული მომავალი ჯერაც ბურუსითაა მოცული, მიუხედავად იმისა, რომ ფორვარდი აზარტით შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას. თითქოს, "იუვენტუსს" მის მიმართ პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს. გასულ სეზონში "ტრეზეგოლმა" 20-ჯერ აილო მეტოქეთა კარი და მეორე წრე რომ არ ჩაეგდო, უთუოდ ბომბარდირის მანტიასაც მოირგებდა. წესით, ასეთ ფორვარდს გუნდიდან არ უნდა უშვებდნენ. მაგრამ, შეიძლება, თავად ტრეზეგეს სურდეს წასვლა.

მიზეზი? ალბათ, **კარვალიო ამაურის** ფაქტორი. "პალერმოს" ყოფილ ფორვარდს ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვს. და რატომაც არა? დაუჯერებელია, **კლაუდიო რანიერის** ის რეზერვისთვის ეყიდა. ამაურის ტრანსფერზე "ბებერი ქალბატონი" ბარე ორი წელია მუშაობს. გარიგება შარშანაც მზად იყო, მაგრამ ბოლო მომენტში თავად ფეხბურთელმა არჩია "პალერმოში" დარჩენა.

ამ ზაფხულსაც გაიწელა მოლაპარაკებები, მაგრამ უკვე სიცილიელთა პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** გამოისობით. საბოლოოდ, "იუვემ" მასში 11 მილიონი ევრო გადაიხადა. და რა უნდა ქნას ახლა რანიერიმ? უეჭველია, რომ ტრეზეგეს, ამაურისა და **ალესანდრო დელ პიეროს** შორის ერთ-ერთი სასტარტოში ვერ მოხვდება. "სინიორას" თავკაცი რთულ სიტუაციაშია. კაპიტანს გარეთ ვერ დატოვებს, ვერც ამაურის... მაშ, ტრეზეგეს? ვინ იცის...

როგორც ჩანს, ფრანგი მეგოლე პრობლემებს ელოდება და თავად ცდილობს აბარგებას, თან "ბარსაც" აქტიურობს. როგორც მთავარი კატალონიური გამოცემა "სპორტი" წერს, **ჟოან ლაპორტას** ტრეზეგესთვის 25 მილიონი ევრო აქვს გამზადებული.

ამავე დროს, "ბლაუგრანას" **დიდიე დროგბაც** უნდა. შესაძლოა, ტრეზეგე სათადარიგო ვარიანტიც იყოს იმ შემთხვევისთვის, თუ დროგბა "ინტერში" წავა. არც ის არის გამორიცხული, "ბარსას" ახალი თავკაცი **პეპ გვარდიოლა** თავდასხმაში ფრანგული დუეტის პერსპექტივითაა მოხიბლული. ტრეზეგე და **ტიერი ანრი** ყოველთვის კარგად უგებდნენ ერთმანეთს. გარდა საფრანგეთისა ნაკრებისა, მათ ერთად ჯერ კიდევ "მონაკოში" უთამაშიათ...


ანტონიო კაბრინი

დავიწყებული კაცი

# კაბრინი: იუვენტუსმა ქუჩაში დამაგდო

აბა, როგორ გკითხოთ, **ანტონიო კაბრინი** გახსოვთ-თქო? ვიცით, რომ გახსოვთ, მაგრამ "იუვენტუსმა" საშვილიშვილოდ დაივიწყა. გადარეულია კაცი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, "კალჩოსა" და ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მარცხენა მცველი, განთქმული თავისი რეიდებით...

"იუვენტუსში" ის 1976-დან 1989 წლამდე თამაშობდა. ამ დროის განმავლობაში "ბელანტონიომ" ("ლამაზი ანტონიო", როგორც ტიფოზებმა შეარქვეს) "ბებერი ქალბატონის" მაისურით 450 მატჩი ჩაატარა, მოიგო 6 სკუდეტო, ჩემპიონთა, უეფას, თასების მფლობელთა და საკონტინენტთაშორისო თასები... მოკლედ, დამსახურებული კაცია დიდი "იუვეს" მდიდარ ისტორიაში...

კაბრინიმ ფეხბურთს თავი 1991 წელს დაანება და მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ვერ ვიტყვით, რომ წარმატებული დამრიგებელი გამოდგა. მისი ხელით გაწვრთნილ "არეცოს", "კროტონეს", "პიზასა" და "ნოვარას" ხელშესახები მიღწევები რომ არ ჰქონიათ, არც ამის შეხსენება გჭირდებათ, ალარაფერს ვამბობთ სირიის ეროვნულ ნაკრებზე, რომელიც მისი ბოლო ნავსაყუდელი იყო.

50 წლის კაბრინი დღესდღეობით უმუშევარია. იტალიაში არ აღმოჩნდა ყველაზე უსახელო კლუბიც კი, თუნდაც მოყვარულთა ლიგაში, რომ მისი სამსახურით დაინტერესებულიყო. გასაგებია, რომ ის არ არის წარმატებული მწვრთნელი, მაგრამ...

...მაგრამ, განა "იუვენტუსს" არ შეეძლო, თავისი ერთ-ერთი ლეგენდის დასაქმება? ეს უკლავს გულს ყველაზე მეტად. რატომღაც, "ქალბატონმა" მას დახმარების ხელი არ გაუწოდა. აი, რას ამბობს კაბრინი "სტამპასთან" ინტერვიუში:

"სირიის ნაკრებიდან თებერვალში წამოვედი. დავტოვე პოსტი განა იმიტომ, რომ წარმატებები არ მქონდა, არამედ იმიტომ, რომ არ შემეძლო იმ საშინელ ქაოსში მუშაობა. ამის მერე, მქონდა რამდენიმე შეპირება იტალიური კლუბებისგან, მაგრამ, როგორც ვატყობ, არავის ვუნდივარ. სამწუხაროდ, აგენტებს შორის მეგობრები არ მყავს. ერთადერთი, ვინც "იუვენტუსიდან" შემეხმიანა, რობერტო ბეტეგა იყო. სხვები დღემდე ჩუმად არიან. ფაქტობრივად, ჩემმა კლუბმა ქუჩაში დამაგდო. დააკვირდით, მარკო ტარდელიც გაუშვეს. არ ვიცი, რა ხდება. ახლა, ნახეთ "მილანი": სილვიო ბერლუსკონი ყოველთვის პოულობს ადგილს ძველი, დამსახურებული მილანელებისთვის. "იუვენტუსს" კარიერის 13 წელიწადი შევწირე. ხშირად მითამაშია იმ სიტუაციაშიც კი, როცა ტრავმირებული ვიყავი. კლუბის ინტერესებისთვის საკუთარი ჯანმრთელობით ვრისკავდი, მაგრამ... როგორც ხედავთ, ტურინში მადლობის გადახდა არ იციან".

მოკლედ, ასეა საქმე. ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ კაბრინიმ იტალიის ნაკრებში 73 მატჩი ჩაატარა და მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე ითამაშა. და ბარემ, ისიც გავიხსენოთ, რომ 1982 წელს, "სკუადრა აძურასთვის" ტრიუმფალურ სამუნდიალო ფინალში, კაბრინიმ 11-მეტრიანი ვერ გაიტანა...

გვერდი მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. არგენტინა

# მესი ოლიმპიადაზე მიდის

წუხელ, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის ინტერნეტ-გვერდზე პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე წასასვლელი გუნდის შემადგენლობა გამოქვეყნდა. სიის სათავეში **ლეო მესის** სახელი და გვარი ფიგურირებდა. მოგეხსენებათ, არგენტინელი ვარსკვლავის გარშემო დიდი აჟიოტაჟი იყო ამტყდარი. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ითქვა, რომ ლეო ოლიმპიადაზე მიდიოდა, მაგრამ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ ერთი ამბავი ატეხა და იმდენს მიაღწია, რომ მესი კატალონიაში ჩავიდა. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი "ბარსას" პრეტემპორადის ეგიდით შოტლანდიაში გაჰყვა. ბრიტანეთში მან ამხანაგური შეხვედრა უნდა გამართოს. ჯერ ბარსელონაში ჩასვლით და შემდეგ შოტლანდიაში გაფრენით ერთი შეხედვით ცხადი გახდა, რომ მესის პეკინში წასვლა გამოირიცხა. "ბარსას" გულშემატკივრები დამშვიდდნენ. მათ შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ წუხელ ყველაფერი თავიდან დაიწყო. არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მესი უახლოეს საათებში თვითმფრინავში ჩაჯდება და იაპონიას გაემგზავრება. ამომავალი მზის ქვეყანაში არგენტინის ოლიმპიური გუნდი ინტენსიური მზადების კურსს გადის. მესისაც, რა თქმა უნდა, სავარჯიშოდ ელოდებიან. არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის სპორტული დირექტორის თქმით, ლეოს პეკინში თამაში გადაწყვეტილი საქმეა. სამხრეთამერიკელი "ბარსელონასთან" ყოველგვარ კომპრომისს გამორიცხავს და აცხადებს, რომ ნებისმიერ ნაკრებს აქვს მისი ქვეყნის მოქალაქის გამოძახების უფლება.

**ხოსეპ გვარდიოლამ** ჯერ კიდევ არ იცის, შეძლებს თუ არა პრეტემპორადის განმავლობაში მესისთან მუშაობს. "ბარსელონას" ლეო ორმაგად სჭირდება, რამდენადაც მალე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის გამართვა მოუწევს. "ბარსა", რა თქმა უნდა, უპირობო ფავორიტია, მაგრამ თუ გვარდიოლა წამყვან მოთამაშეებს ერთმანეთის მიყოლებით დაკარგავს, სასწაული შეიძლება მოხდეს. მოსალოდნელი პრობლემებით შეშფოთებულმა **ჟოან ლაპორტამ** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, **ჟაკ როგს** დაურეკა და დახმარება სთხოვა. ფრანგი ფუნქციონერისგან მან ბუნდოვანი პასუხი მიიღო. ბატონმა როგმა "დიარიო ასის" კორესპონდენტს ის განუცხადა, რაც ლაპორტასთვის პირად საუბარში უთქვამს, იმ გუნდებს, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდისთვის ემზადებიან, პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, თუმცა ამა თუ იმ ნაკრების შემადგენლობის დაკომპლექტება ჩვენი საქმე არ არისო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ როგი ამ კონფლიქტს ვერ მოაგვარებს. ბევრად უკეთესი იქნება, საქმეში ფიფა ჩაერიოს. სხვათა შორის, ოლიმპიადა ფიფას ოფიციალურ კალენდარში არ ფიგურირებს. აქედან გამომდინარე, "ბარსელონა" სულაც არ არის ვალდებული, დათმობაზე წავიდეს და მესი ნაკრებში გაუშვას. ეს კატალონიელთა კეთილი ნების საქმეა, თუმცა ყოველდღე ვრწმუნდებით, რომ "ბარსას" ხელმძღვანელებს "ალბისელესტეს" მესვეურების მიმართ არანაირი კეთილი ნება არ ამოძრავებთ.


ლეო მესი არგენტინის მთავარი იმედი იქნება

საკუთარი უფლებების დასაცავად ჟოან ლაპორტა მოლაპარაკებებს ორი მიმართულებით აწარმოებს. ის ჯერ არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის უმაღლეს ხელისუფალ პირებს დაუკავშირდა და განუმარტა, რომ "ბარსა" არ არის ვალდებული, მესი გაათავისუფლოს. მან ოკეანისგაღმელ კოლეგებს პირდაპირ უთხრა, ფაქტის წინაშე დაყენება არ გეკადრებათ, როგორც მინუმუმ ჩვენთან უნდა დაგერეკათ და გაგეფრთხილებინეთო. მას შემდეგ, რაც ლაპორტა დარწმუნდა, რომ არგენტინელებისგან სიკეთეს არ უნდა ელოდეს, ფიფას ოფიციალური საჩივრით მიმართა. სხვათა შორის, ესპანური გიგანტის პრეზიდენტმა უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს მისივე კანონმდებლობა შეახსენა, სადაც მართლაც შავით თეთრზე წერია, რომ ფიფა კლუბებს ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთელების მივლინებას არ ავალდებულებს. სენიორ ჟოანმა ფიფას მესვეურებისგან აქტიური მუშაობა და "ბარსას" კანონიერი ინტერესების დაცვა მოითხოვა. მისი უახლოესი თანაგუნდელის, **ჩიკი ბეგირისტაინის** თქმით, სხვა დრო და სხვა გარემო რომ იყოს, სამხრეთამერიკელებს პრობლემას არ შეუქმნიდნენ და მესის ულაპარაკოდ გაუშვებდნენ, მაგრამ "ბარსელონა" ხომ პრინციპული საჩემპიონთა-ლიგო დაპირისპირებებისთვის და პრიმერა დივიზიონის მორიგი სეზონისთვის ემზადება. უდავოა, "ბარსას" ლიდერის ფუნქცია სწორედ მესიმ უნდა შეასრულოს. ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ლეომ წინასასეზონო მზადება თანაკლუბელებთან ერთად გაიაროს.

ამ მართლაც წონადი არგუმენტის მიუხედავად, არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია არ ცხრება და კვლავ ჯიუტად აცხადებს, რომ მესი პეკინის სტადიონებზე ითამაშებს. "ალბისელესტეს" 18-კაციანი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - ოსკარ უსტარი (ხეტაფე), სერხიო რომერო (ალკმაარი);

**მცველები** - პაბლო საბალეტა (ესპანიოლი), ესეკილ გარაი (რეალი), ლუსიანო მონსონი (ბოკა ხუნიორსი), ფედერიკო ფასიო (სევილია), ნიკოლას პარეხა (ანდერლეხტი);

**ნახევარმცველები** - ხავიერ მასკერანო (ლივერპული), ფერნანდო გაგო (რეალი), ხოსე სოსა (ბაიერნი), ევერ ბანეგა (ვალენსია), ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი);

**თავდამსხმელები** - ლიონელ მესი (ბარსელონა), ესეკილ ლავეცი (ნაპოლი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), ანხელ დი მარია (ბენფიკა), ლაუტარო აკოსტა (სევილია), დიეგო ბონანოტე (რივერ პლეიტი).

არგენტინის ნაკრები A ჯგუფში იასპარეზებს. 7 აგვისტოს "ალბისელესტე" კოტ დ'ივუარს შეხვდება, 10-ში ავსტრალიას, 13-ში კი სერბეთის დამარცხებას შეეცდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბრაზილია

# დუნგას რობინიო გამოაკლდა

## გენერალური რეპეტიცია ვიეტნამში შედგება

**რობინიო** ოლიმპიადაზე არ ითამაშებს. მადრიდის "რეალი" ფეხბურთელის პეკინში გამგზავრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. თავდამსხმელს საზარდული აწუხებდა. გუშინდელი სამედიცინო შემოწმებისას გაირკვა, რომ მდგომარეობა იმაზე საგანგაშოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. პეკინში თამაშის შემთხვევაში, რობინიოს მდგომარეობა უკიდურესად გართულდება. ფეხბურთელმა იძულებითი შვებულება აიღო. ინგლისელი მიმომხილველების ცნობით, შვებულების შემდეგ, ბრაზილიელი ვარსკვლავი მადრიდში, შეიძლება, აღარ დაბრუნდეს. მას "ჩელსი" ეპატიჟება. რობინიოს აბარგებას წინასწარმეტყველებს ესპანური პრესაც. "დიარიოს ასის" ცნობით, რობინიომ მადრიდელებს აუწყა, რომ ინგლისში წასვლა სურს.

ჯერჯერობით, რობინიო სამეფო კლუბის წევრია. ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობა "რეალს" აკრიტიკებს. ბრაზილიელთა ექიმმა **ლუიშ ალბერტო როსანმა** რობინიოს ტრავმის შესახებ, რასაკვირველია, იცოდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ფეხბურთელი ოლიმპიადამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებდა. ბრაზილიელები უკმაყოფილებას ვერ მალავენ. მათი აზრით, მადრიდელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რობინიო ოლიმპიადის მიღმა დარჩენილიყო. "რეალი" ამ განხცადებას არ ეთანხმება. მადრიდელები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელისათვის საუკეთესო გამოსავალი მადრიდში დარჩენა და ინტენსიური მკურნალობაა. სამეფო კლუბი მას უსწრაფესი გამოჯანმრთელებისათვის ყველა პირობას შეუქმნის.

უკმაყოფილოა რობინიოც. სამედიცინო შემოწმების შემდეგ მან ჟურნალისტებს სულ რამდენიმე სიტყვა უთხრა: *"ვწუხვარ, რომ პეკინში ვერ მივემგზავრები, მაგრამ ეს "რეალის" გადაწყვეტილებაა და მე მას უნდა დავემორჩილო."* რობინიოს აგენტმა **ვაგნერ რიბეირომ** მიმომხილველებს აუწყა - დიდი ხანია, ჩემი კლიენტი ასეთი დამწუხრებული, არ ყოფილა. ასე უხასიათოდ უკანასკნელად მაშინ ვნახე, როდესაც ფულის გამოძალვის მიზნით მისი დედა გაიტაცესო.


დიეგო ოლიმპიადაზე წავა, რობინიო მადრიდში დარჩება

"რეალი" ახალი სეზონისათვის პორტუგალიის ქალაქ ალგარვეში ემზადება. რობინიო ალგარვეში არ ჩასულა. ის ოლიმპიადისათვის ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა. მადრიდელთა კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, ფეხბურთელი ესპანეთის დედაქალაქში ჩაფრინდა და ექიმებს გაესინჯა. ექიმების დიაგნოზი მისთვის არასახარბიელო იყო. ბრაზილიელთა თავკაცმა **კარლოს დუნგამ** რობინიოს ნაცვლად კრუზეიროელი შემტევი ნახევარმცველი **რამირესი** გამოიძახა. ეს უკანასკნელი 21 წლისაა. რამირესი ნაკრებში მიწვევამ ისე გაახარა, რომ საბრალოს კინაღამ გული გაუჩერდა.

რობინიოსაგან განსხვავებით, კლუბებმა ხელი ვერ შეუშალეს **დიეგოსა** და **რაფინიას**. "ვერდერისა" და "შალკეს" ვარსკვლავებმა კლუბების წინააღმდეგობა არად ჩააგდეს და ბრაზილიელთა შეკრებაზე გაემგზავრნენ. ისინი ოლიმპიადაზე აპირებენ თამაშს. გერმანიაში კი მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში დაბრუნდებიან.

"ვერდერის" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** განაცხადა, რომ დიეგოს უმკაცრესი სასჯელი ელის. ნაკრებში გამგზავრებამდე დიეგო ბრემენული კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა. მოლაპარაკებებმა საათნახევარს გასტანა, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა. დიეგო შეეცადა, დაერწმუნებინა "ვერდერი", რომ მისთვის ნაკრებში თამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ფეხბურთელმა ისიც კი განაცხადა - ოლიმპიადაზე რომ არ წავიდე, ეროვნულ ნაკრებში აღარ გამომიძახებენო.

ალოფსმა ისიც განაცხადა, რომ კლუბები ვალდებული არ არიან, 23 წელზე უფროსი ფეხბურთელები ოლიმპიური ნაკრების მატჩებისათვის გაათავისუფლონ. დიეგო ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება. "ვერდერი" საკითხის გარკვევას სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს. ბრემენელებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო მათ სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ ასე მოხდება, "ვერდერი" კატეგორიულად მოითხოვს ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციისაგან დიეგოს გათავისუფლებას და ბრემენში გაგზავნას, თუნდაც პეკინში ოლიმპიური თამაშები იყოს გახურებული.

სანქციების შემოღებას აპირებს "შალკეც". დიეგოსაგან განსხვავებით, რაფინიას კლუბთან დალაპარაკებაც კი არ უცდია. ის უნებართვოდ გაემგზავრა პარიზში, სადაც ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები პირველი შეკრებას მართავს. გელზენკირხენელები "ვერდერს" მიბაძავენ და დახმარებისათვის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანენ სარჩელს. "შალკეს" ხელმძღვანელობას ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ბრაზილიელებმა პეკინისათვის მზადება დაიწყეს. 1 აგვისტოს ვიეტნამის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გაიმართება. შეხვედრას ვიეტნამის დედაქალაქი ჰანოი უმასპინძლებს. ის ოლიმპიადის წინ გენერალური რეპეტიცია იქნება. ვიეტნამში ფეხბურთი ძალიან უყვართ. ამ ქვეყანაში ბრაზილიის ეროვნულ გუნდს მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. ბრაზილიელ ფეხბურთელებს ჰანოიში მოუთმენლად ელოდებიან. მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი დიდი ხანია, გაიყიდა. სტუმრებს ვიეტნამში ჩაჰყავთ **რონალდინიო**. ადგილობრივ ფანებს საფეხბურთო დღესასწაული გარანტირებული აქვთ.

ვიეტნამელები გრანდების სტუმრობით განებივრებულნი არ არიან. 12 წლის წინ ჰანოიში ტურინის "იუვენტუსმა" ითამაშა. იმ ამბებიდან 12 წლის თავზე, ვიეტნამში რონალდინიოსა და ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებს ელოდებიან. დასასრულს, ბრაზილიელთა შემადგენლობას შეგახსენებთ:

**მეკარეები** - დიეგო ალვეში (ალმერია), რენანი (ინტერნასიონალი);

**მცველები** - ილსინიო (შახტარი), რაფინია (შალკე), მარსელო (რეალი), ალექს სილვა (სან პაულუ), ბრენო (ბაიერნი), ტიაგო სილვა (ფლუმინენსე);

**ნახევარმცველები** - ანდერსონი (მანჩესტერ იუნაიტედი), დიეგო (ვერდერი), ერნანესი (სან პაულუ), ლუკას ლეივა (ლივერპული), რონალდინიო (მილანი), ტიაგო ნევესი (ფლუმინენსე), რამირესი (კრუზეირო);

**თავდამსხმელები** - ალეშანდრე პატო (მილანი), ჟო (მანჩესტერ სიტი), რაფაელ სობისი (ბეტისი).

**შალვა ბიბილაშვილი**



არსენა ვენგერი

არსენალი

# არშავინი ან სანტა კრუსი

**ედუარდო და სილვა** ოქტომბრამდე ვერ ითამაშებს. **ემანუელ ადებაიორს** კი "არსენალში" დარჩენა ჯერაც არ გადაუწყვეტია. "მეთოფეებს" თავდასხმაში პრობლემები ემუქრებათ, ამიტომ, **არსენ ვენგერმა** ახალი ფორვარდის შეძენა გადაწყვიტა.

ბრაზილიელ-ხორვატი ედუარდო ვარჯიშის განახლებას აგვისტოში აპირებდა, მაგრამ ექიმებმა მის იმედებს ცივი წყალი გადაასხეს. ფეხბურთელმა საზარელი ტრავმა თითქმის მოიშუშა, მაგრამ სრული დატვირთვით მხოლოდ სექტემბრის მიწურულს შეძლებს ვარჯიშს. მას ახალ სეზონში თვენახევარი-ორი თვე გაუცდება.

ამასობაში, "არსენალი" ვერა და ვერ ახერხებს ტოგოელ ადებაიორთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენა "ბარსელონასა" და "მილანს" სურთ. "მეთოფეებმა" ფორვარდს ახალი კონტრაქტი და გაზრდილი ხელფასი შესთავაზეს. ადებაიორი უფრო მეტს ითხოვს.

ვენგერი მას პირადად შეხვდა. საუბარმა უშედეგოდ ჩაიარა. მოსიე არსენმა იმედი გამოთქვა, რომ ფეხბურთელს შეინარჩუნებს, მაგრამ, ამავე დროს, კლუბის სკაუტებს კვალიფიციური თავდამსხმელის შეძენა დაავალა. "არსენალს" სამი ახალგაზრდა ფორვარდი ჰყავს - **ნიკლას ბენდტნერი, თეო უოლკოტი** და **კარლოს ველა.** "მეთოფეებმა" სასურველი ფეხბურთელების სია ჩამოწერეს. მასში ბლექბერნელი **როკე სანტა კრუსი,** ზენიტელი **ანდრეი არშავინი** და აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარი** არიან.

აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰუნტელაარის ტრანსფერი გამოირიცხა. გასულ უქმეებზე, "აიაქსის" ახალმა თავკაცმა **მარკო ვან ბასტენმა** მას კაპიტნობა უბოძა. ფეხბურთელმა ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. დარჩა სანტა კრუსისა და არშავინის ვარიანტები. რუსი ფეხბურთელი 21.5 მილიონი გირვანქა ღირს. "ზენიტი" უფრო ნაკლებს არ დათანხმდება.

ზაფხულის ტრანსფერებისას "არსენალმა" უკვე ორი ფეხბურთელი გადაიბირა: მარსელელი ნახევარმცველი **სამირ ნასრი** და კარდიფელი მცველი **აარონ რემსი.** ვენგერი გულშემატკივრებს კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას ჰპირდება.

აქვე გეტყვით, რომ ახალი სეზონის დასაწყისში "არსენალს" წამყვანი ნახევარმცველი **ტომაშ როსიცკიც** გამოაკლდება. ეს უკანასკნელი, ტრავმის გამო, ევროპის ჩემპიონატზეც ვერ გაემგზავრა. ის ვარჯიშს სექტემბრის შუა რიცხვებში განაახლებს.

პარი სენ ჟერმენი

# მაკელელეს შემდეგ გალასი და პისარო

"პარი სენ ჟერმენმა" გულშემატკივრებს **კლოდ მაკელელე** წარუდგინა. 35 წლის ნახევარმცველმა ფრანგულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პარიზელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ იწურება. გასულ სეზონში გუნდი სასწაულებრივად გადაურჩა ქვედა დივიზიონში გავარდნას. დირექტორებს შარშანდელის გამეორება აღარ სურთ. საამისოდ, შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო. ნახევარდაცვაში მსოფლიო დონის ფეხბურთელის დამატების შემდეგ, პარიზელები დაცვასა და თავდასხმაზე ზრუნავენ.



ვილიამ გალასი

ფრანგული კლუბი არსენალელ **უილიამ გალასს** ეპატიჟება. გალასი "მეთოფეების" კაპიტანია. ის იქ 2006 წლის ზაფხულში, "ჩელსიდან" გადავიდა. ბოლო დროს გალასმა რამდენჯერმე დაიჩივლა, სხვებზე ნაკლებ ხელფასს მიხდიანო. მისი კვირეული ანაზღაურება 80 ათას გირვანქას შეადგენს, რაც პრემიერლიგის უმთავრესი ვარსკვლავების შემოსავალს საგრძნობლად ჩამოუვარდება. გალასს ულტიმატუმი არ წამოუყენებია, მაგრამ გააკეთა მინიშნება, რომ სიამოვნებით განიხილავდა ახალი კონტრაქტის პირობებს და ხელფასის გაზრდასაც მოაწერდა ხელს. "პარი სენ ჟერმენმა", როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ამ უთანხმოებით ისარგებლოს. თუმცაღა უცნობია, მზად არის თუ არა ფრანგული კლუბი, ტრანსფერის შემთხვევაში გალასს კვირაში თუნდაც იმდენი გადაუხადოს, რამდენსაც ის "არსენალში" დღეს იღებს.

რაც შეეხება თავდასხმას, პარიზელთა ყურადღება "ჩელსის" თადარიგში ჩაკარგულმა **კლაუდიო პისარომ** მიიპყრო. პერუელი ლონდონში გასულ ზაფხულს გადავიდა. მას "ბაიერნთან" კონტრაქტი ამოეწურა, ამიტომ, უკომპენსაციოდ წაიყვანეს. თუ გახსოვთ, პისაროს ტრანსფერი **რომან აბრამოვიჩსა** და **ჟოზე მოურინიოს** შორის უთანხმოებას დაემთხვა. აბრამოვიჩი მოურინიოს სასურველ ტრანსფერებს აღარ აფინანსებდა. მოურინიოს კი თავდამსხმელი სჭირდებოდა და ასეთ გამოსავალს მიაგნო: კონტრაქტი გაუფორმა მას, ვინც ერთი პენსიც კი არ ღირდა. თუ პარიზელები პისაროს წაყვანას მოისურვებენ, რა თქმა უნდა, უფასოდ ვერ გადაიბირებენ, მაგრამ არც ძალიან ძვირის გადახდა მოუწევთ: ლონდონელები მას 5 მილიონ გირვანქად აფასებენ, რაც საფრანგეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბისთვის სავსებით ხელმისაწვდომი თანხაა. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით, ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ რაულთან

# ამ სევდას ვერასოდეს გავიქარვებ

## გონსალეს ბლანკოს ოცნება ესპანეთის ნაკრებში დაბრუნებაა

**რაულისა და ლუის არაგონესის ურთიერთობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ესპანური მედიის მთავარი სასაუბრო თემა იყო. ბევრისთვის გაუგებარი მოტივების გამო, აწ უკვე ევროპის ჩემპიონმა მწვრთნელმა გონსალეს ბლანკოს "სელექსიონის" კარი მიუხურა და უამრავი გულშემატკივარი გადაიკიდა. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ სენიორ ლუისი საკვალიფიკაციო რაუნდის დასრულების შემდეგ, ამპარტავნობას გადააბიჯებდა და რაულს ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანდა. მოლოდინი არ გამართლდა. არაგონესმა "რეალის" კაპიტანი სახლში დატოვა. "სელექსიონმა" მადრიდელთა კუმირის გარეშეც ფანტასტიკურად იასპარეზა და 44-წლიანი პაუზის შემდეგ, კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა...**

**ჩემპიონატის დღეებში და ფინალის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუს" კუმირი არავის გახსენებია. ბუნებრივია, ევროპის თასის მოპოვებით გამოწვეულმა ეიფორიამ დიდხანს გასტანა. ესპანელები ჯილდოს აქეთ-იქით დაატარებდნენ და რაულს მაინც არავინ ახსენებდა... თუმცა "რეალის" კაპიტანი ისეთი ფიგურაა, მუდმივად ჩრდილში ვერ დარჩებოდა და ადრე თუ გვიან სათქმელს მაინც იტყოდა. ასეც მოხდა. გუშინ, მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა...**

> "ყველაფერს გავაკეთებ, რომ სელექსიონში ღირსეულად დავბრუნდე. ეს ჩემი ოცნებაა და დარწმუნებული ვარ, ავისრულებ კიდეც"

**- პირველ ყოვლისა, პრეტემპორადის დაწყებას გილოცავთ. როგორი განწყობით ხვდებით ახალ სეზონს?**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის, თუმცა შვებულება უფრო ხანგრძლივი რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა. რაც შეეხება ახალი სეზონის დაწყებას, როგორც ყოველთვის, მას მოუთმენლად ველი. იმედია, "რეალი" უფრო კარგად ითამაშებს და ჩემპიონთა თასს მეათედ მოიპოვებს. ახლა, ყველა დასვენებულები ვართ. ბუნებრივია, არდადეგებზე ფორმა დავკარგეთ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. პრეტემპორადაზე ინტენსიურად ვიმუშავებთ და სასურველ კონდიციებს დავიბრუნებთ.

**- "რეალზე" საუბარს კიდევ მოვასწრებთ, მანამდე კი ევროპის ჩემპიონატი გავიხსენოთ. მოარული ჭორებით, "სელექსიონის" ჩემპიონობა ისე არ გაგხარებიათ, როგორც ნაკრების ფეხბურთელებს. ამას ბევრი ამბობს...**

- რა უნდა ვთქვა... ვინც ამბობს, რომ "სელექსიონის" ჩემპიონობა არ გამიხარდა, ესე იგი საერთოდ არ მიცნობს. ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად ეგოისტია, მაგრამ როცა საქმე საკუთარ ქვეყანას, ოჯახს, შვილებს ან პროფესიას ეხება, ეგოიზმი გვერდით უნდა გადადო და მარადიულ ღირებულებებს მოუხმო. არ ვიცი, ფინალში გამარჯვების შემდეგ ვის რა ემოცია დაეუფლა, მაგრამ მე თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემი თანამემამულეების ჩემპიონობით უზომოდ გავიხარე. საფინალო სასტვენის შემდეგ გადარეულივით წამოვხტი და მეუღლე ლუდით გავწუწე. შვილი გაკვირვებული მიყურებდა... მე ესპანელი ვარ და ჩემი ქვეყნის წარმატება ყოველთვის მიხარია. რა მნიშვნელობა აქვს, ნაკრებში ვიქნები თუ არა. "სელექსიონის" გამარჯვებები ისტორიაში იწერება. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

**- გული არ დაგწყდათ, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტული ვერ მოიპოვეთ?**

- რა თქმა უნდა. იდიოტი კი არ ვარ, ეს რომ გამხარებოდა. სხვათა შორის, გულდაწყვეტას ახლა უფრო ვგრძნობ, რადგან გამარჯვების პირველ დღეებში, ბიჭების მსგავსად, მეც ეიფორიაში გახლდით... მაგრამ ფინალის შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და ემოციებიც ჩაცხრა. კეკლუცობას არ დავიწყებ და გულწრფელად გეტყვით, რომ ამ სევდას ვერასოდეს მოვინელებ. რას ვიზამთ, არაგონესმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და... ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანა.

**- როდის დარწმუნდით, რომ 23-კაციან განაცხადში თქვენთვის ადგილი არ იქნებოდა?**

- ამის მიხვედრა ძნელი არ იყო. არაგონესმა ტურნირის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ამომაგდო ნაკრებიდან. სასწაული უნდა მომხდარიყო, საკვალიფიკაციო ციკლის გამოტოვების შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე რომ წავსულიყავი.

**- როგორ ფიქრობთ, ლუისმა თქვენი შესაძლებლობები ადეკვატურად ვერ შეაფასა?**

- რომ გითხრათ, არაგონესის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ვამართლებ-მეთქი, მატყუარა ვიქნები. ჩემი აზრით, მან არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ახლა ამაზე საუბარს არანაირი აზრი არ აქვს, მაინც არაფერი შეიცვლება და... მით უმეტეს, არაგონესი გამარჯვებულია და მოგეხსენებათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს სურს, მაგრამ როცა ყველა რესურსს ამოწურავ, რეალობას თვალებში უნდა შეხედო. არ წამიყვანეს და მორჩა. სიმართლე გითხრათ, ნაკრების თამაშების ტელევიზიით ნახვითაც საკმაოდ დიდი სიამოვნება მივიღე.

**- და ამას გულწრფელად ამბობთ?**

- აბსოლუტურად! არ ვამტკიცებ, რომ ტელევიზორთან ჯდომა მოედანზე ყოფნას სჯობია, მაგრამ ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს. თამაშებს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ვუყურებდი. ძალიან მხიარული ატმოსფერო გვქონდა. ვყვიროდით, ვმღეროდით და ბავშვებს ვუხსნიდით, რომ დიდი ერის შვილები არიან. მათი გაფართოებული თვალები არასოდეს დამავიწყდება.

**- ყველაზე მეტად ჩვენი გუნდის რომელი თამაში მოგეწონათ?**

- ფაქტობრივად, ყველა. ძლიერი შთაბეჭდილება დამრჩა საბერძნეთთან მატჩის შემდეგ. იმ შეხვედრაში არაგონესმა მეორე შემადგენლობა დააყენა, მაგრამ გუნდმა მაინც დამაჯერებლად გაიმარჯვა. სწორედ მაშინ ვინახე, რომ "სელექსიონს" ჩემპიონობის უნარი შესწევდა. რომელიმე წამყვან ფეხბურთელს ტრავმა რომ მიეღო, მას სრულყოფილად შეცვლიდნენ. ფაქტია, არაგონესმა გუნდი არაჩვეულებრივად მოამზადა. ყველა ფეხბურთელი ძლიერად თამაშობდა და საერთო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. ძალიან მომეწონა რუსეთთან ნახევარფინალური შეხვედრაც. ჰოლანდიის დამარცხებით, გუუს ჰიდინკის გუნდმა სენსაცია მოახდინა და ესპანეთში მისი ბევრს ეშინოდა კიდეც, და ეს იმის მიუხედავად, რომ ჯგუფურ ეტაპზე მათთვის დიდი ანგარიშით გვქონდა მოგებული. მე პროფესიონალი ვარ და ვგრძნობდი, რომ მეორე თამაშშიც გავიმარჯვებდით. რუსები მეტისმეტად მოტივირებულები იყვნენ, მაგრამ როცა უფრო მაღალი კლასის გუნდი გიპირისპირდება, მარტო მოტივაციით შორს ვერ წახვალ, თანაც, ამ კომპონენტში ჩვენც არ მოვიკოჭლებდით. ბუნებრივია, ფინალიც დაუვიწყარ მოგონებად მექცა. გერმანიას პირწმინდად მოვუგეთ. მართლა გითხრათ, არ მეგონა, თუ ბიჭები ესოდენ რთულ ორთაბრძოლას ასეთი თავდაჯერებით ჩაატარებდნენ. ისინი მხოლოდ ქებასა და პატივისცემას იმსახურებენ.

**- ელოდით "სელექსიონის" ასეთ დამაჯერებელ თამაშს?**

- ნაწილობრივ. შევეცდები, ჩემი მოსაზრება კარგად განვმარტო. მიუხედავად იმისა, რომ არაგონესმა ნაკრებში არ წამიყვანა, მის ღირსებებს, რა თქმა უნდა, არ დავაკნინებ. ლუისი უდიდესი გამოცდილების მქონე მწვრთნელია და ვიცოდი, რომ გუნდს ტურნირისთვის მაქსიმალურად კარგად მომამზადებდა. ოპტიმიზმს ფეხბურთელების შესაძლებლობებიც მიღრმავებდა, მაგრამ მოდით, ვაღიაროთ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრებს გარკვეული პრობლემები ჰქონდა. ერთი შეხედვით, მოედნის ცენტრსა და დაცვაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, უფრო მეტი დრო იყო საჭირო. მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ არაგონესმა და ბიჭებმა მცირე დროში სასწაული მოახდინეს. დიახ, სასწაულია, რომ "სელექსიონი" ნახევარდაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ დამაშობდა. ეფექტურმა შუახაზმა დაცვასა და თავდასხმას საქმე მნიშვნელოვნად გაუადვილა. ინიესტას, ჩავის, სილვასა და სენას ბრწყინვალე თამაში რომ არა, ტორესსა და ვილიას გოლების გატანა გაუჭირდებოდათ. რა თქმა უნდა, ისინი მცველებსაც ეხმარებოდნენ... მოკლედ, არაგონესმა ისტორიულ წარმატებას მიაღწია და კიდევ ერთხელ ვამბობ, ამით უზომოდ ბედნიერი ვარ.

**- ლუისმა დიდი ბედნიერება გვაჩუქა და წავიდა. "სელექსიონში" ახალი ერა იწყება. ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნას როგორ აფასებთ?**

- ჩემი აზრით, ფანტასტიკური გადაწყვეტილებაა. მეც იმათ კატეგორიას განვეკუთვნები, ვინც ფიქრობს, რომ დღესდღეობით დელ ბოსკე ესპანეთისთვის იდეალური მწვრთნელია. ის ლაღი, სანახაობრივი ფეხბურთის მოყვარულია. სხვა შემთხვევაში, ნაკრები სერიოზული ჩავარდნისთვის, ან სულაც ღრმა კრიზისისთვის იქნებოდა განწირული.

**- აშკარაა, დელ ბოსკეს მოსვლით თქვენში იმედმა გაიღვიძა...**

- ცხადია, ახალი მწვრთნელის მოსვლა ჩემს შანსს მნიშვნელოვნად ზრდის, თუმცა გარანტირებული არაფერია. დელ ბოსკეს ამასწინანდელი ინტერვიუ გულდასმით წავიკითხე. როგორც სენიორ ვისენტე ამბობს, ნაკრების კარი ყველასთვის ღია იქნება. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ის არ ტყუის. დელ ბოსკემ იცის ფეხბურთელის ფასი და ისიც მშვენივრად აქვს გაცნობიერებული, რომ მოთამაშისთვის ნაკრებსმიღმა დარჩენა უდიდეს ტანჯვასთანაა დაკავშირებული. ეჭვი არ მეპარება, დელ ბოსკე შანსს მომცემს და მეც, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "სელექსიონში" ღირსეულად დავბრუნდე.

**- დელ ბოსკემ გარკვევით თქვა, გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან და ნაკრებში ძირეულ საკადრო ცვლილებებს არ ვაპირებო...**

- ...და მე კარგად მესმის მისი. დელ ბოსკემ ჩემპიონი გუნდი ჩაიბარა და ახლა შემადგენლობის გადახალისება სისულელე იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესპანეთის ნაკრებში მუდმივად ის ბიჭები ითამაშებენ, რომლებმაც ევროპის თასი გვაჩუქეს. ზოგი ტრავმას მიიღებს, ზოგიც ფორმიდან ამოვარდება... ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

**- რა თქმა უნდა, მაგრამ... რაული ასე ჩასაფრებული უნდა იყოს?**

- ეტყობა, სწორად ვერ გამიგეთ. შეუძლებელია, ერთი და იგივე შემადგენლობამ შეუცვლელად ითამაშოს. დიახ, მე რაული ვარ და წლების წინათ, ნაკრებში მოხვედრის მინიმალური პრობლემაც არ მქონდა, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახლა დაბრუნებისთვის ბრძოლა მიწევს. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სულაც არ მეთაკილება. აუცილებლად დავამტკიცებ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელი ვარ.

**- დელ ბოსკემ ისიც თქვა, მე-7 ნომერი დავიდ ვილიააო...**

- უბრალოდ, ეს ფაქტის კონსტატაციაა. ვილიამ ევროპაზე იმდენად კარგად ითამაშა, მას სულელი თუ შეცვლის. ისევ ერთ თემას ვუტრიალებთ. ჩემი ოცნება ესპანეთის ნაკრებში დაბრუნებაა და დარწმუნებული ვარ, ამ ნატვრას ავისრულებ.

**- ახლა "რეალზეც" ვისაუბროთ. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ყველაზე აქტუალურ თემად კრისტიანო რონალდოს მოსალოდნელი ტრანსფერი იქცა. თქვენ გუნდის კაპიტანი ხართ და როგორ ფიქრობთ, სჭირდება სამეფო კლუბს რონალდო?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა "რეალის" კეთილდღეობაზე ზრუნავს.

**- სულ ეს არის?**

- კრისტიანო რონალდო ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს სჭირდება. არ მგონია, ვინმეს მასთან ერთად თამაში არ უნდოდეს. სხვა საქმეა, რამდენად მოხერხდება ამ ტრანსფერის განხორციელება. პირადად მე, პორტუგალიელის მოსვლა ძალიან გამახარებს, რადგან ეს "რეალის" შანსებს ერთიორად გაზრდის, პრიმერაშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც.

**- შანსებთან ერთად, კონკურენციაც გაიზრდება...**

- და მერე ამაში ცუდს რას ხედავთ? კონკურენციის გაზრდით, გუნდის პოტენციალი მოიმატებს. ძირითადში მოსახვედრად ფეხბურთელები უფრო მეტს იბრძოლებენ. შესაბამისად, ხარისხი და დონე ამაღლდება. ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ კრისტიანო რონალდო მსოფლიო დონის ვარსკვლავია და "რეალს" დიდ სამსახურს გაუწევდა.

**- კიდევ ერთი აქტუალური საკითხი "ჩელსიში" რობინიოს სავარაუდო ტრანსფერია. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, გაუშვებდით?**

- რამდენადაც ვიცი, რობინიოს გაყიდვას არავინ აპირებს. გუშინდელ გაზეთებშიც ეწერა, რომ ბრაზილიელს ხელფასს, ფაქტობრივად, უორმაგებენ და ხელშეკრულებასაც 5 წლით უხანგრძლივებენ. რობინიოს პირადად ვესაუბრე, მაგრამ ჩემთვის არ უთქვამს, "რეალიდან" წასვლა მინდაო. პირიქით, ის ყოველთვის უსვამს ხაზს სამეფო კლუბის გენიალურობას და სრულიად გულწრფელად აცხადებს, ამაზე ძლიერი გუნდი მსოფლიოში არ მეგულებაო.

**- "რეალის" მიზანი ისევ და ისევ სამივე ფრონტზე გამარჯვება იქნება? ისე, ამას, ალბათ, არ უნდა გეკითხებოდეთ...**

- სანამ "რეალი" იარსებებს, მიზნები უცვლელი იქნება. გასული სეზონი არაჩვეულებრივად ჩავატარეთ. სამწუხაროდ, "რომასთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში ბევრი ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები გვაკლდა, თორემ შორს წავიდოდით... თუმცა არა უშავს, ამ დანაკლისს წელს ავინაზღაურებთ. მჯერა, ბევრად უფრო შეთამაშებული და დაბალანსებული გუნდი გვეყოლება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

> არაგონესი გამარჯვებულია და მოგეხსენებათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ






დევიდ ბექჰემი ამერიკელთა უმთავრესი საფეხბურთო ვარსკვლავია

ვარსკვლავი

# ბექჰემის ერთი წელი ამერიკაში

## სტატისტიკის თანახმად, სოკერის მიმართ ინტერესი დღითიდღე მატულობს, მთავარი დამნაშავე ინგლისელი გალაქტიკოა

**დევიდ ბექჰემის** ამერიკული დებიუტიდან ერთი წელიწადი გავიდა. გასული წლის 22 ივლისს, "ჩელსისთან" ამხანაგური მატჩისას, ინგლისელმა "გალაქტიკომ" პირველად მოირგო "ლოს ანჯელეს გალაქსის" მაისურა. მართალია, ბექჰემს სადებიუტო სეზონის ნახევარზე მეტი გაუცდა (ამერიკაში შუა სეზონისას ჩავიდა და მერე მძიმე ტრავმა მიიღო), მაგრამ მიმდინარე გათამაშებაში თითქმის შეუცვლელად თამაშობს. ამერიკელი მიმომხილველები იმ ეფექტის შესახებ საუბრობენ, რომელიც ბექჰემმა ამერიკულ ლიგაზე (MLS) მოახდინა. შარშანდელი უიღბლო სეზონის მიუხედავად, გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შეიძლება. ეს დასკვნები ცალსახად ბექზის ტრანსფერის წარმატებაზე მიუთითებს. ამ გარიგებით ორივე მხარემ ისარგებლა - ბექჰემმა იმით, რომ ასტრონომიულ ხელფასს იხვეჭს, ხოლო ამერიკულმა სოკერმა სტადიონზე გულშემატკივრების რაოდენობა თვალსა და ხელშუა გაზარდა.

ინგლისურმა გამოცემა "დეილი ტელეგრაფმა" ლოს ანჯელესში საკუთარი მიმომხილველი მიავლინა. ის გაკვირვებული დარჩა, როცა იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ სტატისტიკური მონაცემები გააცნო. ციფრები მრავლისმეტყველია: "ლოს ანჯელეს გალაქსის" საშინაო მატჩებზე საშუალო დასწრება 25 513-მდე გაიზარდა. "გალაქსი" სტუმრებს ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარე "ჰოუმ დეპოზე" იღებს. ის 27 ათას გულშემატკივარზეა გათვლილი. ესე იგი, ერთი წლის განმავლობაში კლუბმა ბილეთების რეალიზაციის მაჩვენებელი თითქმის 100 პროცენტამდე აიყვანა, რამაც "გალაქსის" შემოსავლების ზრდას შეუწყო ხელი.

"გალაქსის" გასვლით მატჩებზე საშუალო დასწრება უფრო შთამბეჭდავია - 27 094. კალიფორნიელებმა მეტოქის მოედანზე უკანასკნელი მატჩი გასულ უქმეებზე გამართეს. ისინი "ნიუ იორკ რედ ბულსს" ეწვივნენ (2:2). შეხვედრას ისტრუტერფორდის "ჯაიანთსის" სტადიონმა უმასპინძლა. ტრიბუნებზე 46 754 გულშემატკივარმა მოიყარა თავი, და ეს იმ დროს, როცა "რედ ბულსის" საგულშემატკივროდ, როგორც წესი, 10 ათასი კაცი დაიარება...

**დევიდის სახელს უკავშირდება MLS-ის მატჩებზე ყველაზე დიდი დასწრებაც. რეკორდი იმავე "ჯაიანთსზე", გასულ სეზონში დამყარდა. ბექჰემის ამერიკაში ტრანსფერს იმხელა აჟიოტაჟი ახლდა, ერთი წლის წინათ, ლამის მთელმა ნიუ იორკმა სტადიონზე მისვლა გადაწყვიტა. გაუმართლა იმ 66 237 მაყურებელს, რომელმაც ბილეთის ალება მოასწრო. ამდენი ფანი სოკერის მატჩებს, არც მანამდე და არც მას შემდეგ, არ დასწრებია.** აქ საკლუბო ფეხბურთს ვგულისხმობთ, თორემ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ასევე ამერიკაში გაიმართა, საერთო დასწრების მიხედვით, დღემდე რეკორდსმენად რჩება.

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "რეალის" ყოფილი ვარსკვლავი საკუთარ დამსახურებაზე მოკრძალებით საუბრობს: *"მიხარია, რომ საქმე წინ მიდის, მაგრამ ეს ჯერაც არ არის საკმარისი. ამერიკაში ჩამოსვლისას ვთქვი, რომ აქაური ლიგის განვითარებისთვის ერთი ან ორი წელი საკმარისი არ იქნებოდა. ეს ბევრად უფრო ხანგრძლივი პროცესია. სასურველ შედეგს, დაახლოებით, 5-10 წელი დასჭირდება. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ "გალაქსის" საშინაო მატჩებზე ხალხი ბავშვებთან ერთად დადის. ათი წლის შემდეგ ის ბავშვები 15-16 წლის მოზარდები იქნებიან. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთს შეიყვარებენ, ზოგიერთი ფეხბურთის სექციაშიც ჩაეწერება. სხვები ერთგულად ივლიან სტადიონზე და გაიხსენებენ, რომ პატარაობისას მშობლებს "გალაქსის" თამაშებზე დაჰყავდათ. ფეხბურთის განვითარება შრომატევადი პროცესია. მიზნის მისაღწევად ყველამ ბევრი უნდა იშრომოს. მიხარია, რომ პირველ შედეგებს უკვე ვხედავთ".*

"ლოს ანჯელეს გალაქსი" კომპანია "ანშუტც ენთერთეინმენტ გრუპის" საკუთრებაა. ამ კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი **ტიმ ლივეკეა**. აი, მისი კომენტარი: *"როგორ შეიძლება, ვერ დაინახო ის ეფექტი, რაც ამ ბიჭის (ბექჰემის) ამერიკაში ჩამოსვლას მოჰყვა?"* მინდვრის მიღმა, ბექჰემი სანიმუშოდ იქცევა - ყოველთვის იღიმება, გულშემატკივრებს ავტოგრაფსა და მასთან ერთად სურათის გადაღებაზე უარს არასოდეს ეუბნება. დევიდი ამერიკელი ჟურნალისტების ერთ-ერთი საყვარელი რესპონდენტი გახდა. ინტერვიუებისთვის ის ყოველთვის მზადაა. კმაყოფილია MLS-ის კომისრის თანაშემწე **ივან გაზიდისიც**: *"არ მგონია, სხვა ფეხბურთელს საზოგადოებაზე ამხელა შთაბეჭდილება მოეხდინა. დევიდი ჩვენი უპირველესი ვარსკვლავია".*

გასულ სეზონში "გალაქსი" პლეი ოფშიც კი ვერ გავიდა, სამაგიეროდ, მიმდინარე გათამაშებაში შთამბეჭდავად თამაშობს. 17 მატჩის შემდეგ, **რუუდ გულიტის** გუნდს 23 ქულა აქვს (6 მოგება, 5 ფრე, 6 წაგება) და დასავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილზე იმყოფება. ის სულ რაღაც ერთი ქულით ჩამორჩება "რეალ სოლტ ლეიკს", რომელსაც მასზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. პირადად ბექჰემის ანგარიშზე 5 გოლი და 7 საგოლე გადაცემაა. ბომბარდირთა დავას კი, 12 გოლით, ბექზის თანაგუნდელი **ლენდონ დონოვანი** ლიდერობს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის სუპერთასი

# იურგენმა იურგენი გააბრაზა!

## კლინსმანი კლოპს პრემიერას უმწარებს



ორი იურგენი: კლოპი და კლინსმანი

დღეს, დორტმუნდის "ვესტფალენშტადიონზე" გერმანიის სუპერთასი გათამაშდება - ერთმანეთს ადგილობრივი "ბორუსია" (თასის ფინალისტი) და "ბაიერნი" (გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი) დაუპირისპირდებიან. სუპერთასი გერმანიაში დიდი ხნის განმავლობაში აღარ თამაშდებოდა და წლეულს კვლავ მწვანე შუქი აუნთეს, რადგან სპონსორები გამოჩნდნენ, თუმც მატჩის წინ, "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ორგანიზატორებს, სპონსორებსა და მეტოქეს იმედები გაუცრუა და გაანაწყენა.

გარდა იმისა, რომ თამაშდება გერმანიის სუპერთასი და აქედან გამომდინარე, შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს გახლავთ "ბორუსიის" ახალი მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** ოფიციალური დებიუტი და პრემიერა "ვესტფალენშტადიონზე". შესაბამისად, მას იმედი ჰქონდა, რომ დებიუტი შედგებოდა - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახლა კი გამოდის, რომ სტადიონი მხოლოდ სანახევროდ თუ შეივსება.

საქმე იმაშია, რომ კლინსმანმა განაცხადა, ეს ძალიან პრესტიჟული დუელი კი არის, მაგრამ მინდა, რომ ის გერმანელი ფეხბურთელები, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს, ამჯერად დავასვენოო. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს "ბორუსიასთან" არ ითამაშებენ **ლუკას პოდოლსკი, მარსელ იანსენი, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ფილიპ ლამი**. აქედან გამომდინარე, ბილეთების მყიდველთა რაოდენობამ ძალიან იკლო და გუშინ შუადღისას, 80 000-დან მხოლოდ 35 000 გახლდათ გაყიდული.

*"იმედი გვქონდა, რომ სტადიონი გაივსებოდა, როგორც საერთოდ ივსება ხოლმე. კლინსმანს პატივს ვცემ, მაგრამ ასეთი შეცდომა არ უნდა დაეშვა, ეს არ უნდა ეთქვა,"* - აცხადებს კლოპი.

BVB-ს გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** გუშინ მიუნხენელთა ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** დაურეკა და შესჩივლა, რას მიედ-მოედება თქვენი მწვრთნელიო. ყველაზე მეტად გასაკვირია ის ფაქტი, რომ "ბორუსიამ" და "ბაიერნმა" ერთად იბრძოლეს გერმანიის სუპერთასის გათამაშების აღდგენისათვის და მიზანს უდიდესი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ მიაღწიეს, იშოვეს რა არაერთი სპონსორი. ვატცკე: *"დარწმუნებულები გახლდით, რომ ეს თამაში ყველას დააინტერესებდა. ძალიან ბევრი სპონსორი ვიშოვეთ და მიხაროდა, გაისადაც შედგება სუპერთასი-მეთქი. შესაძლოა, იქ ჩვენ აღარ ვითამაშოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მატჩის დაბრუნებას ყოველთვის ჩვენს სახელს დაუკავშირებენ. ახლა კი რა გამოდის, თუ კლინსმანის სიტყვების გამო სტადიონი არ გაივსება, სპონსორები ხელს ჩაიქნევენ და გაისად სუპერთასი აღარ გათამაშდება. ყოველ შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ ასე მოხდეს. მას მერე, რაც "ბაიერნის" ქომაგებმა შეიტყვეს, რომ წამყვანი ფეხბურთელები არ ითამაშებენ, დორტმუნდში აღარ ჩამოდიან."*

კლინსმანს პოლდი, შვაინი, ლამი და იანსენი დორტმუნდში მიჰყავს, მაგრამ ამბობს, არცერთ მათგანს არ ვათამაშებო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: კლინსიმ ეს ფეხბურთელები გასულ კვირას, ფანკლუბ "ნაბურგთან" ათამაშა (11:1), სუპერთასზე კი უნდა, რომ ყველა დაასვენოს. რატომ? დაესვენებინა იმ არაფრისმომცემ ტესტ-მატჩში, ხოლო სუპერთასზე კი ეთამაშა ყველას...

ბაიერნი

# კლინსმანმა, დარჩიო, პოდოლსკიც დარჩა!

## ბოროვსკი დებიუტისთვის ემზადება

დისკუსიები **ლუკას პოდოლსკის** შესახებ დასრულებულია: თავდამსხმელი "ბაიერნის" ახალ დამრიგებელ **იურგენ კლინსმანს** ესაუბრა და შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მიუნხენურ კლუბში რჩება. *"ახლა მხოლოდ მომავალ სეზონზე ვარ კონცენტრირებული. მოუთმენლად ველი ოფიციალური მატჩების დაწყებას,"* - განაცხადა 23 წლის პოლდიმ.

როგორც იცით, პოდოლსკი უკმაყოფილო გახლდათ იმის გამო, რომ გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ათამაშებდნენ. *"რაკი სათადარიგოთა სკამს მახეხინებდნენ, ლოგიკურია, რომ წასვლის სურვილი გამიჩნდა. ენთუზიასტი არ ვარ და ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად ვიქნები, თუკი არ მათამაშებენ,"* - ამბობს პოლდი.

როდესაც ლუკასი წასვლაზე ალაპარაკდა, ბავარიელებმა "შტუტგარტის" ფორვარდ **მარიო გომესს** გაუბეს ფლირტი და ამ დროისათვის ყველას ეგონა, რომ პოდოლსკის რეკორდმაისტერში მომავალი არ ჰქონდა. სიტუაციის გასარკვევად არც "ბაიერნის" შეფების სიტყვები აღმოჩნდა საკმარისი, რომლებმაც ამას წინათ განაცხადეს, პოდოლსკის არსად არ ვუშვებთ, ჩვენს სამომავლო გეგმებში მას უდიდესი როლი აქვსო. მოკლედ, საჭირო იყო პოლდისა და კლინსმანის შეხვედრა და აი, ამ შეხვედრამ ყველა კითხვის ნიშანი გააქრო.

*"კლინსმანთან ძალიან კარგი, ნაყოფიერი საუბარი მქონდა. შესაბამისად, 15 აგვისტოს, როდესაც "ბაიერნი" ბუნდესლიგის პირველ ტურში "ჰამბურგს" დაუპირისპირდება, მეც აუცილებლად რეკორდმაისტერის ფორმაში ვიქნები გამოწყობილი. ჩემი მიზანია, რომ მომავალ სეზონში სკამზე აღარ ვიჯდე,"* - აცხადებს "პრინცი პოლდი", რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგად იასპარეზა. ის, რომ კლინსმანი მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ აძლევს, ლუკასისთვის ნაკლებად პრობლემურია. პოლდი: *"ასეთ გარანტიას არავინ არავის აძლევს ხოლმე!"*



ტიმ ბოროვსკი (მარცხნივ) დებიუტისთვის ემზადება, ლუკას პოდოლსკი ბაიერნში რჩება.

დღეს, "ბაიერნის" რიგებში გერმანიის სუპერთასზე (დორტმუნდის "ბორუსიის" წინააღმდეგ) დებიუტი ექნება ახალწვეულ **ტიმ ბოროვსკის**, რომელმაც რეკორდმაისტერს ბრემენის "ვერდერიდან" (უფასოდ) მიაშურა. კლინსმანს, სხვა წამყვანი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, ბოროვსკის ძირითად შემადგენლობაში გამწესება გადაწყვეტილი აქვს.

შტუტგარტი

# მეირა მიდის, ბულარუზი მოდის!

## შვაბები ჭირვეულ პორტუგალიელს უშვებენ და კანიბალი მოჰყავთ...



ხალიდ ბულარუზი შტუტგარტელი ხდება

**ფერნანდო მეირას** "შტუტგარტიდან" წასვლა უნდა და მის დაკავებას არც შვაბური კლუბის ხელმძღვანელები აპირებენ - VFB-ს გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელცტმა** 30 წლის ექსკაპიტანს, რომელსაც საპატიო სამკლაური მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ჩამოართვა, უთხრა, შეგიძლია, ახალი გუნდი მოძებნოო. მეირას "შტუტგარტთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. ჰელდტი ახლა წინადადებებს ელოდება. შვაბები პორტუგალიელის სანაცვლოდ 6-8 მილიონ ევროს ითხოვენ.

მეირას შეძენით "გალათასარაია" დაინტერესებული, მაგრამ თურქული გრანდი მხოლოდ 3 მილიონს ჩამოდის. საბერძნეთიდან ვრცელდება ინფორმაციები, რომ ფერნანდოს ყიდვა "პანათინაიკოსს" უნდა. ასევე, ცნობილია, რომ დაინტერესებას "ტოტენჰემიც" გამოხატავს. გამოდის, რომ მეირას რამდენიმე ვარიანტი აქვს.

ამასობაში, შვაბებმა მისი შემცვლელი უკვე იპოვეს: გადაწყვეტილია, რომ ჰოლანდიელი მცველი **ხალიდ ბულარუზი**, რომელიც 26 წლისაა და რომელმაც 2004-დან 2006 წლამდე, "ჰამბურგის" რიგებში თამაშისას ბუნდესლიგაში 52 მატჩი ჩაატარა (1 გოლი), მომავალი კვირიდან "შტუტგარტს" შეუერთდება. თავის დროზე, "ჰამბურგიდან" "ჩელსიში" 13 მილიონად გაყიდული მცველი შვაბურ კლუბში დაახლოებით 6 მილიონის სანაცვლოდ გადავა. ლონდონურმა კლუბმა ბულარუზი ტრანსფერზე ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დააყენა და მაშინ ჰოლანდიელის ფასი 4 მილიონი გახლდათ, მაგრამ "კანიბალმა" ევრო 2008-ზე კარგად იასპარეზა, რის გამოც მისი ფასი 2 მილიონით გაიზარდა.

"ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ტრანსფერი უკვე დაადასტურა. ბულარუზი შტუტგარტში მომავალ ორშაბათს ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბუცები ლურსმანზე

# ბარბარესი: ეს იყო და ეს...

## 36 წლის ბოსნიელმა კარიერა დაასრულა, თავზეხელაღებული ფეხბურთი, სახელწოდებით სერგეი, დამთავრებულია!

"ლევერკუზენისა" და ბოსნიის ნაკრების ლეგენდად ქცეულმა თავდამსხმელმა **სერგეი ბარბარესმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი აქტიური სპორტული კარიერა დასრულებულია. ეს ინფორმაცია 36 წლის ფეხბურთელმა "ჰამბურგერ მორგენპოსტს" ამცნო. *"გასულ უქმეებამდე გადაწყვეტილება მიღებული არ მქონდა, მაგრამ მერე უცებ მივხვდი, რომ კარიერა უნდა დამესრულებინა და ბოსნიაში გავფრინდი. ეგ იყო და ეგ, მოვიდა დრო, რომ ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდო,"* - განუცხადა ბარბარესმა ხსენებულ გამოცემას.

სერგეი თავდამსხმელი გახლდათ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ფლეიმეიქერისა და საყრდენი ნახევარმცველების ფუნქციების შესრულებაც ჩინებულად შეეძლო. უფრო მეტიც: ბოლო დროს "ლევერკუზენში" საყრდენის პოზიციაზე უფრო ხშირად ათამაშებდნენ, ვიდრე ფორვარდისა. ამას გარდა, ბარბარესს ცენტრალური მცველის პოზიციაზეც არაერთხელ უთამაშია. მცველობის ნიჭი მასში თავის დროზე **კლაუს ტოპმიოლერმა** "აღმოაჩინა", რომელიც მას "ჰამბურგში" წვრთნიდა.

საერთო ჯამში, ბარბარესმა ბუნდესლიგაში 330 მატჩი ჩაატარა და შემდეგ გუნდებში ითამაშა: როსტოკის "ჰანზა", დორტმუნდის "ბორუსია", "ჰამბურგი" და ლევერკუზენის "ბაიერი". ბოსნიელის ანგარიშზე ბუნდესლიგაში 95 გატანილი გოლია.

გერმანიაში მოღვაწეობა მან "ჰანოვერით" (მეორე ლიგა) დაიწყო, რის შემდეგაც ბერლინის "უნიონში" აღმოჩნდა, საიდანაც როსტოკში წაიყვანეს. 2001 წელს ბარბარესი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ბარბარესი ჰამბურგში გადავა და იქ იცხოვრებს, რადგან ეს მისი საყვარელი ქალაქია. დიდი შანსია, რომ სერგეი HSV-ში დაასაქმონ, რადგან ის იქ ყველას ძალიან უყვარს. როდესაც "ჰამბურგიდან" წავიდა, მაშინაც კი, ამ გუნდის ქომაგები მას ყოველთვის უდიდესი აპლოდისმენტებითა და ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით ხვდებოდნენ: "ჰამბურგი შენი სახლია, სერგეი!" თვითონაც არ მალავს, რომ ჰამბურგი მართლაც მისი სახლია და რომ ყველაზე უკეთ თავს ამ ქალაქში და ამ კლუბში გრძნობდა.

*"მიუხედავად უამრავი შემოთავაზებისა როგორც ბუნდესლიგიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდანაც, კარიერის გაგრძელებაზე უარს ვამბობ. რაკი ერთხელ ვთქვი, გადაწყვეტილებას აღარ შევცვლი. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თავისუფლად და მშვიდად. ასეთი თავისუფალი, ვგონებ, აქამდე არასდროს ვყოფილვარ,"* - ამბობს ბარბარესი.

მისი მომავალი სამწვრთნელო საქმიანობას უკავშირდება. თითქმის გადაწყვეტილი აქვს, რომ მწვრთნელი გახდება. სამაგიეროდ, ჯერ არ იცის, სად აიღებს ლიცენზიას, ბოსნიაში თუ გერმანიაში. ბარბარესი: *"თავიდან აუცილებლად ასისტენტობით დავიწყებ, რათა გამოცდილი ხალხისგან ბევრი რამ ვისწავლო და მხოლოდ წლების შემდეგ გავხდები მთავარი მწვრთნელი. ჩემი ოცნებაა, რომ 2018 წელს ბოსნიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიყვანო."*

ბარბარესის სახით, ბუნდესლიგას კიდევ ერთი, უაღრესად ქარიზმატული ფიგურა დააკლდება. ზუსტად ისეთი, მერე რომ ვიტყვით, ამისთანები აღარ არსებობენ და ფეხბურთი როგორღაც ულიმღამო გახდაო...



330 მატჩი ბუნდესლიგაში. ლეგენდის დასასრული

ხელბურთი. ევროთასი

# თბილისს ისრაელი ერგო

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გუშინ ევროთასების 2008-2009 წლების სეზონის წილისყრა ჩაატარა. როგორც იცით, წლეულს ევროპაში საქართველოს ერთადერთი კლუბი - "თბილისი" წარმოადგენს, რომელიც ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებს.

ჩვენი გუნდი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, სადაც მის გარდა 5 გუნდი მოხვდა. "თბილისის" სავარაუდო მეტოქეები იყვნენ "შუმენი" (ბულგარეთი), "ნეისტინი" (ფარერები), "მაკაბი" (ისრაელი), "ლოვჩენი" (ჩერნოგორია) და "ვოლენდამი" (ჰოლანდია).

საბოლოოდ, წილისყრამ "მაკაბი" გვარგუნა. ებრაული კლუბი ზედიზედ მესამედ წლის განმავლობაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე თამაშობს. შარშანწინ მაკაბელებმა პირველი ეტაპი გადალახეს. შარშან კი მათ ორი წრე გაიარეს - ჯერ კოსოვოს "ბესა ფამილია" დაამარცხეს, მერე იტალიის "ფორტ ბრიქსენი" დააჩოქეს, ხოლო მესამე წრეში გერმანულ "ლემგოს" ვერაფერი მოუხერხეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება. ჯერ სამი საკვალიფიკაციო ეტაპია, რასაც მერვედფინალები მოჰყვება. სხვათა შორის, მაღალი რეიტინგის გამო, პირდაპირ მესამე ეტაპზეა დაშვებული სერგო დათუკაშვილის სლოვენიური "გორენიე".

"თბილისისა" და "მაკაბის" პირველი მატჩი 6 ან 7 სექტემბერს, რიშონშია დაგეგმილი, განმეორებითი კი 13 ან 14 სექტემბერს საქართველოში. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ "თბილისმა" წინა წლების მსგავსად, ორივე შეხვედრა სტუმრად საკუთარი სურვილით ჩაატაროს. მეორე რაუნდში გასვლის შემთხვევაში. ჩვენი გუნდი რუმინეთის "სტიაუასა" და ბელგიის "სასჯას" შორის გამარჯვებულს ეთამაშება.

ახლა კი "თბილისის" შეფ **მამუკა მჟავანაძეს** მოვუსმინოთ, რომელიც გუშინ ურეკში იმყოფებოდა და პირველად ჩვენგან გაიგო, რომ მის გუნდს "მაკაბი" ერგო.

- "მაკაბი" ურიგო ვარიანტი არ არის, უარესიც შეიძლებოდა. ჯერჯერობით, მეტოქის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. ამ დღეებში მოვიძიებთ ინფორმაციებს, გავიგებთ რა ძალის გუნდია და მერე შეიძლება შანსებზე ლაპარაკი.

**- ორივე მატჩს ძველებურად სტუმრად ჩაატარებთ თუ ერთს სახლში?**

- ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რა დონის გუნდთან გვაქვს საქმე. თუკი მისი დამარცხება ჩვენს ძალებს არ აღემატება, მაშინ საშინაო მატჩს აქ ჩავატარებთ. მით უმეტეს, რომ პირველი შეხვედრა ისრაელშია და თანაც ბოლო ხანს საქართველოში რამდენიმე კარგი ხელბურთის დარბაზი აშენდა.

**- შემადგენლობის გაძლიერებას არ აპირებთ?**

- ჯერჯერობით, არც არავინ გაგვიშვია და არც დაგვიმატებია. რამდენიმე ხელბურთელი წასვლას აპირებს, შევსებაზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით. ფინანსურად დიდად დალხენილები არ ვართ. შესაბამისად, ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეების დამატება ალბათ გაგვიჭირდება და ისევ ახალგაზრდების აყვანას დავჯერდებით.

**- მოსამზადებელი ეტაპი ჯერ არ დაგიწყიათ?**

- ორშაბათიდან თბილისში დავიწყებთ სამზადისს.

**კობა ხატისაშვილი**

რაგბი. შვიდკაცა. მსოფლიო სერია

# კალენდარი დადგენილია

IRB-მ გამოაქვეყნა შვიდკაცა რაგბის მომავალი მსოფლიო სერიის ეტაპების გამართვის თარიღები. საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც წლეულს, ჰანოვერში ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურთან ერთად მსოფლიო სერიის მინიმუმ ხუთ ეტაპზე ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა.

სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე, რომელიც დუბაიში მომავალი წლის 5-7 მარტს გაიმართება, საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიო სერიის ორ ეტაპზე ისპარეზებს: დუბაიში 28-29 ნოემბერს და ჯორჯში (ს.აფრიკა) 5-6 დეკემბერს.

დანარჩენი სამი ეტაპი კი სადაც შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა უნდა ითამაშონ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გაიმართება. ჩვენი მორაგბეები ძალებს ჰონ კონგში (27-29 მარტი), ლონდონში (23-24 მაისი) და ედინბურგში (30-31 მაისი) მოსინჯავენ.

**2008-09 წლების მსოფლიო სერიის განრიგი:**

**28-29 ნოემბერი-დუბაი (აგე)**
**5-6 დეკემბერი- ჯორჯი (ს.აფრიკა)**
**6-7 თებერვალი- ველიგტონი (ზელანდია)**
**14-15 თებერვალი- სან დიეგო (აშშ)**
**27-29 მარტი-ჰონ კონგი**
**4-5 აპრილი- ადელაიდა (ავსტრალია)**
**23-24 მაისი- ლონდონი(ინგლისი)**
**30-31 მაისი- ედინბურგი (შოტლანდია)**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# სამი ქართველი მეორე წრეში




ლაზარე კუხალაშვილი

"კოკა-კოლას" თასის გათამაშებაზე, რომელიც **ლეილა მესხის** სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე იმართება, გუშინ პირველი წრის მატჩები დასრულდა. ერთი დღით ადრე **ბექა ბუჩუკურმა** შეძლო და გაიმარჯვა. მეორე წრისთვის მისი მეტოქე ფრანგ **შარლ როშესა** და რუს **ალექსეი ფილენკოვს** შორის უნდა გარკვეულიყო. ფრანგმა იმარჯვა და ვნახოთ, შეძლებს თუ არა ბექა სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს მეშვიდე ნომრად განთესილს.

გუშინ საქმეში **ლაზარე კუხალაშვილი** და **ნოდარ ითონიშვილიც** ჩაებნენ. ლაზარეს ცენტრალურ კორტზე პირველს, ათ საათზე მოუწია გასვლა. მეტოქედ უკრაინელი **ივან ანიკანოვი** ჰყავდა. ლაზარე რეიტინგით 1274-ეა, ივანი კი - 1125-ე. ფავორიტად სტუმარი ითვლებოდა, მაგრამ17 წლის ქართველმა, რომელიც ალმავლობით თამაშობს ბოლო დროს, შესანიშნავად გაართვა თავი მეტოქის შემოტევებს და გაიმარჯვა. სიხარული იოლად არ მოსულა: პირველი სეტი ლაზარემ 6:2 კი მოიგო, მაგრამ მეორეში 5:7 დამარცხდა და მატჩის ნაგების საშიშროებაც გამოჩნდა. საბედნიეროდ, ქართველმა სულის სიმტკიცე გამოამჟღავნა და გადამწყვეტი სეტი სათავისოდ - 6:4 დაამთავრა.

ლაზარეს დიდი შანსი აქვს, კიდევ ერთხელ გაცდეს მეორე წრეს. ხვალ მას არცთუ ძლიერი მეტოქე ეყოლება სომეხი **ჰარუთინ სოფიანის** სახით. თუმცა გულარხეინობა ლაზარეს არ, არგებს - სო... პირველ წრეში მეხუთე ნომრად განთესილ ფრანგ **პეტერ პოპოვიჩს** მოუგო - 7:5, 6:3.

კუხალაშვილი-ანიკანოვის მატჩის დასრულების შემდეგ ცენტრალურ კორტზე ნოდარ ითონიშვილი და **აშოტ გევორგიანი** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ითონიშვილი სომეხ ჩოგბურთელს რეიტინგში გვარიანად უსწრებს - ნოდარი 1166-ეა, აშოტი კი - 1602. გევორგიანმა ძირითად ბადეში თამაშის უფლება საკვალიფიკაციოს გავლით მოპოვა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მეტის უნარი აღარ შესწევდა, უფრო სწორად ითონიშვილი ორი თავით მაღლა იყო მასზე და აკი იმარჯვა კიდეც ძალზე იოლად - 6:1, 6:2.

ნოდარს დღეს ბევრად რთული თამაში ელის. მეტოქედ უკრაინელი **მოლჩანოვი** ჰყავს, რომელიც რეიტინგით 510-ეა. ამ ტურნირზე კი ასეთი რეიტინის მქონე ჩოგბურთელები უმთავრეს ფავორიტებად ითვლებიან. არის კიდეც მოლჩანოვი ერთ-ერთი ფავორიტი - მეოთხეა განთესვით.

პარალელურად წყვილთა ტურნირიც იმართება. სულ 16 წყვილი შეიკრიბა, აქედან 4 ქართულია, ორიც - შერეული: ბექა ბუჩუკური რუს **ლევან ფერონიანს** შეუამხანაგდა, **თემურ ძაგნიძე** - რუს **ვიგენ მანუკიანს**. ქართულ-რუსულმა კავშირმა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაძლო და დამარცხდნენ. მეორე წრეში კი მხოლოდ ლაზარე კუხალაშვილისა და **ნიკოლოზ ქურდაძის** წყვილი გავიდა, რომლებმაც **გიორგი რევაზიშვილისა** და **დემეტრე თაქთაქიშვილის** ტანდემი დაამარცხეს - 6:4, 6:4. კუხალაშვილი-ქურდაძე დღეს საღამოს მეოთხე ნომრად განთესილ რუსულ-უზბეკურ წყვილს დაუპირისპირდება - **ვიქტორ კოზინი** და **ვაჟა უზაკოვი** ეცდებიან ჩვენებურების ძლევას.

**ზვიად შათირიშვილი**

ჰოკეი

# ქართველი ჰოკეისტების წარმატება და გეგმები

ქართველმა ბალახის ჰოკეისტებმა 15-17ივლისს მინიჰოკეიში ერევნის საერთაშორისო ტურნირზე ისპარეზეს და 1979 წლის შემდეგ პირველად გახდნენ საზღვარგარეთული ტურნეს გამარჯვებულები. იყოჩაღეს, როგორც ვაჟებმა ასევე გოგონებმაც. მათ სომხურ კლუბებს შანსი არ დაუტოვეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. აღნიშნული ტურნირისა და სხვა საინტერესო სიახლეების შესახებ საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ავთო თევდორაძე გვესაუბრა. „ერევნის ტურნირს საერთაშორისო სტატუსი ქართველების სტუმრობამ მიანიჭა. სომხეთში ჩავიყვანეთ ქუთაისის „უქიმერიონის" გოგონათა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონები არიან. მათ სომხეთში კარგი თამაში აჩვენეს და სომხების სამ-სამ გუნდთან პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავეს. ამ ტურნირის დროს თვალი დავადგით ერევნის ქალთა გუნდის ორ მოთამაშეს და მათი „უქიმერიონში" გადმოყვანის თაობაზე სომხურ მხარესთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. გვინდა, რომ ეს მოთამაშეები ევროთასებამდე დავიმატოთ."

აქამდე ქართველი ბალახის ჰოკეისტების ერთ-ერთი თავსატკივარი მოძველებული და უვარგისი სათამაშო ინვენტარი იყო, თუმცა ამ მხრივ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. ახლახან ქართულმა მხარემ ევროპის ჰოკეის ფედერაციისგან საჩუქრად მიიღო 10000 ევროს ღირებულების ინვენტარი, რომელიც რეგიონებში გადანაწილდა. მათ შორის ბათუმში, სადაც ახლახან შეიქმნა აჭარის ფედერაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვეტერანი ჰოკეისტი და ბიზნესმენი **ლევან ფუტკარაძე**.

ავთო თევდორაძე: „ევროპის ჰოკეის ფედერაციის გენერალური მდივანი დევიდ ბალბინი ყოველმხრივ გვერდით გვიდგას. მისი შემწეობით ცოტა ხნის წინათ 10000 ევროს ღირებულების ინვენტარი მივიღეთ. 25-26 სექტემბერს საქართველოში დაგეგმილია ევროპის ჰოკეის ფედერაციის გასვლითი სხდომა, რაც უკვე ქართული ჰოკეის აღიარებას ნიშნავს. სიახლეა ისიც, რომ საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები დაშვებულნი არიან ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე და თუ ფინანსები იქნება ამ ტურნირში აუცილებლად გამოვალთ. 12-14 სექტემბერს კიევში ევროპის ფედერაციის სხდომა იმართება, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლები მივიღებთ მონაწილეობას. ნოემბერში კი ლოს ანჯელესში მსოფლიო ფედერაციის ყრილობაზე მივემგზავრებით. ამ მივლინებებიდან სასიკეთო ძვრებს ველოდებით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ 2009 წლისთვის ევროპის ჰოკეის ფედერაცია ხელოვნურსაფარიან მოედანს გაგვაკეთებინებს ქუთაისში."

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, მასში 4-4 გუნდი გამოვა. პირველი წრე ბათუმში ჩატარდა და ქალებსა და ვაჟებშიც ქუთაისის „უქიმერიონი" ლიდერობს. II წრე ოქტომბერში ქუთაისში გაიმართება. გამარჯვებული გუნდები კი მონაწილეობას მიიღებენ 2009 წლის ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, ვაჟები - ანკარაში, ქალები კი პორტუგალიაში. გარდა ამისა, ნოემბერში ქუთაისში ჩატარდება საქართველოს ღია პირველობა, სადაც ერევნის ქალთა და ვაჟთა გუნდიც ისპარეზებენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

კრივი

# ირლანდიელთა ქართველი მწვრთნელი ოლიმპიადაზე

ირლანდიის მოკრივეთა ეროვნული ნაკრები პეკინში გაემგზავრა, რათა გუნდი უკეთ მოემზადოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის და დროულად გაიაროს აკლიმატიზაცია. ნაკრებში ხუთი მოკრივეა: **კენ ეგანი, დარენ საზერლენდი, ჯონ ჯოისი, ჯონ ნევინი** და **პედი ბარნსი**. ჩვენ, ალბათ, არ დავინტერესდებოდით კელტების მზადებით, რომ არა ერთი ადამიანი – ირლანდიის ნაკრების თავკაცი **ზაურ ანთია**. ქართველი მწვრთნელი, ყოფილი მოკრივე, კარგა ხანია კუნძულზე მოღვაწეობს და ახლა უკვე ირლანდიის ნაკრების მწვრთნელია **ბილი უოლშთან** ერთად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ივლისის ბაშო

# ორი მოგებაც და კაჩი-კოშია

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ მოგებით გაგვახარა დასავლეთის მე-14 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა**, იმავე **ლევან გორგაძემ**, რომელმაც 171-კილოგრამიანი ყოფილი კომუსუბი **ივაკიამა** გაიყვანა წრიდან. ტოჩინოშინს ათი დღის შემდეგ 6-4 ბალანსი აქვს და დარჩენილ ხუთ ბრძოლაში ორი მოგებაც ჰყოფნის ელიტაში კარიერის პირველი კაჩი-კოშის (დადებითი ბალანსი) მისაღწევად. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე კიდევ ერთი ყოფილი კომუსუბია – პატარა ტანკის აღნაგობის **ტაკეკაძე** (171 სმ, 143 კგ).

ქართველი ყოფილი კომუსუბი **ლევან ცაგურია (კოკაი)** კი კვლავ დაამარცხა მისთვის უხერხულმა მეტოქემ, 23 წლის მონღოლმა **კაკურიუმ**. ლევანს საგანგაშოდ აქვს საქმე, მისი ბალანსია 4-6 და ბაშოზე მხოლოდ ერთი წაგების უფლება რჩება. დღეს კოკაის მეტოქე ელიტის ყოჩაღი დებიუტანტი **მასაცუკასაა** (6-4).

ბაშოს ორი მესამედი მიილია, დარჩა გადამწყვეტი ტურები, თუმცა იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში მონღოლი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** აშკარა ლიდერია. ჰაკუჰო 10-0 ბალანსით პირველია, მას რეალურად მხოლოდ ერთი მეტოქე ჰყავს, აიჩის პრეფექტურის მკვიდრი ჩემპიონი **კოტომიცუკი**, რომელსაც ნაგოიაში მხარდაჭერა ყოველთვის გარანტირებული აქვს. ჰაკუჰოს კარიერაში ექვსჯერ აქვს მოგებული იმპერატორის თასი, კოტომიცუკის – ერთხელ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**
(ივლისის სუპერტურნირი)
13-27 ივლისი. აიჩის პრეფექტურა

X დღე: მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 10)-კაკურიუ (მ 7) 0:1 (შიტატედაშინაგე); ტოჩინოშინი (მ 14)-ივაკიამა (მ 9) 1:0 (იორიკირი); ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0; კოტომიცუკი (ო)-ამა (ს) 1:0; კაიო (ო)-ფუტენო (მ 3) 1:0; ტოჩინონადა (მ 3)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; კოტოოშუ (ო)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-ამინიშიკი (მ 1) 1:0; ვაკანოჰო (მ 1)-კისენოსატო (კ) 1:0; ბარუტო (მ 5)-ჰოკუტორიკი (მ 2) 1:0; ასასეკირიუ (მ 2)-ტოკიტენკუ (მ 6) 1:0; გოეიდო (მ 4)-მიაბიამა (მ 5) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა) 8-2: კოტომიცუკი (ოძეკი) 7-3: კოტოოშუ (ოძეკი); ჩიოტაიკაი (ოძეკი); ამა (სეკივაკე); კიოკუტენჰო (მაეგაშირა 9); ტოიოჰიბიკი (მ 13).. 6-4: ტოჩინოშინი (მ 14).. 4-6: კოკაი (მ 10)**

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 10)-მასაცუკასა (მ 16); ტოჩინოშინი (მ 14)-ტაკეკაძე (მ 12); ჰაკუჰო (ი)-ამა (ს); კაიო (ო)-ტოჩინონადა (მ 3); კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო); კოტოოშუ (ო)-მიაბიამა (მ 5); კოტოშოგიკუ (ს)-ამინიშიკი (მ 1); კისენოსატო (კ)-ასასეკირიუ (მ 2); ტოიონოშიმა (კ)-ფუტენო (მ 3); ვაკანოჰო (მ 1)-ჰოკუტორიკი (მ 2); ვაკანოსატო (მ 4)-კაკურიუ (მ 7); გოეიდო (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 8).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ

## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

### ატლანტა. XXVI ოლიმპიადა

# პირველად დამოუკიდებლად...


სოსო ლიპარტელიანი (მარცხნივ)


ელდარ კურტანიძე






შეხმიანება ისევ ქუთაისიდან. ამჯერად ცნობილი ვეტერანი ფალავანი, **თეიმურაზ აფხაზავა** დაგვიკავშირდა ტელეფონით. თემურმა განგვიმარტა, რომ როცა ლაპარაკია 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ბოიკოტზე, რაც საპასუხო ნაბიჯი იყო ოთხი წლით ადრე მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის გამო, ალტერნატიული კომპლექსური ასპარეზობაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც სსრ კავშირის მონადინებით "დრუჟბას" სახელწოდებით ჩატარდა ბუდაპეშტში. ამ საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშებში მონაწილეობდნენ ის ქვეყნები, ვინც თავის სპორტსმენები არ მიავლინა ლოს-ანჯელესში. საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში, ბუნებრივია, იყვნენ საქართველოდან რჩეული ათლეტები. მათგან სამმა - თეიმურაზ აფხაზავამ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ვლადიმერ აფციაურმა** (ფარიკაობა) და **გურამ ბიგანიშვილმა** (აფროსნობა) ჩემპიონობა მოიპოვა. ეს ინფორმაციათ. აფხაზავამ მოგვაწოდა, თორემ რაზედაც ხელი მიგვიწვდა, შემდგომი წლების სპორტულ ლიტერატურაში, მეგობრული თამაშები არსად ფიგურირებს. როგორც ჩანს, დავიწყება სურდათ, რადგან ასეთი დაპირისპირებები ღირსებას ნამდვილად არავის მატებდა.

დავუბრუნდეთ ოლიმპიურ თამაშებს. ჩვენი რუბრიკის წინა გამოშვებაში ბარსელონაში გამართულ XXV ოლიმპიადაზე გიამბეთ. ზაფხულის შემდეგი ოლიმპიადა, რომელიც პირველი იყო დამოუკიდებელი საქართველოსთვის, გაიმართა ატლანტაში, 1996 წელს. სწორედ აქ მოხდა უპრეცედენტო ამბავი - ვერ მოვიპოვეთ ოქროს მედალი. მიუხედავად იმისა, რომ თამაშებში ჩვენი 36 წარმომადგენელი სპორტის 13 სახეობაში მონაწილეობდა, ბრინჯაოს მედალზე უფრო ძვირფას ჯილდოს ვერ შევწვდით. ის ათლეტი კი, ვინც დამოუკიდებელი საქართველოდან პირველი ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა იყო ძიუდოისტი **სოსო ლიპარტელიანი.** ასევე მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა თავისუფალ ჭიდაობაში **ელდარ კურტანიძე.** სულ ეს იყო. დანარჩენების მონაპოვარი ასეთია: **კობა გულიაშვილი** (ბ/რ ჭიდაობა) - IV; **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) - V, VII; **გელა პაპაშვილი** (ბ/რ ჭიდაობა) - VI; **გიორგი ვაზაგაშვილი** (ძიუდო) - VII; **გიორგი რევაზიშვილი** (ძიუდო) - VII; **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა) IX; **ბიძინა მიქიაშვილი** (ძალოსნობა) - IX; **ვლადიმერ დგებუაძე** (ძიუდო) - X; **ავთანდილ გოგოლაშვილი** (თავ. ჭიდაობა) - X; **ზაზა თურმანიძე** (თავ. ჭიდაობა) - X; **ზაზა ტყეშელაშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XIII; **ბაკურ გოგიტიძე** (ბ/რ ჭიდაობა) - XIV; გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა) - XVI; **ვლადიმერ გრუზდევი** (აფროსნობა) - XVI; **მევლუდ ლობჟანიძე** (ძიუდო) - XVI; **კობა გოგოლაძე** (კრივი) - III წრე; **გიორგი კანდელაკი** (კრივი) - III წრე; **ვახტანგ იაგორაშვილი** (თან. ხუთჭიდი) - XX; **ტარიელ მელელაშვილი** (ბ/რ ჭიდაობა) - XX; **აკაკი კაკაურიძე** (კრივი) - II წრე; **ბესიკ ვარძელაშვილი** (კრივი) - I წრე; **თენგიზ მესხაძე** (კრივი) - I წრე; **ეკა აბრამია** (მხ. ტანვარჯიში) - XXV; **ილია გიორგაძე** (სპ. ტანვარჯიში) - XXV, **მაია აზარაშვილი** (მძლეოსნობა) - კვალიფიკაცია; **ნინო უჩაძე** (ტყვიის სროლა) - XXVII, XXXVI; **ნანა ყაზარაშვილი** (წყალში ხტომა) - XXVIII; **არჩილ ლორთქიფანიძე** (ფარიკაობა) - I წრე; **გიორგი წმინდაშვილი** (ძიუდო) - XXXII; **გოჩა გახარია** (წყალში ხტომა) - XXXIV; **ელმირა ურუსოვა** (მძლეოსნობა) - კვალიფიკაცია; **ხათუნა ქვრივიშვილი** (მშვილდოსნობა) - 1/32; **მუხრან გოგია** (ძალოსნობა) მიიღო ტრავმა, **დავით ხახალეიშვილი** (ძიუდო) - დააგვიანა აწონვაზე და ტურნირიდან მოიხსნა.

როგორც ხედავთ, რაოდენობამ ვერ განაპირობა ხარისხი. მიზეზი გასაგებია, საქართველომ გამოიარა სამოქალაქო ომი, ჩამორჩა ეკონომიკა, არამდგრადი იყო პოლიტიკური ვითარება. ყოველივე ამან და სხვა ფაქტორებმა, შეაფერხა საქართველოში სპორტის განვითარება, რაც მკაფიოდ აისახა ატლანტაში გამართულ XXVI თამაშებში. მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის აღორძინების 100 წლისთვს ზეიმობდა და შედეგებს აჯამებდა, ჩვენ ამ საუკუნოვან იუბილეს უკან გადადგმული ნაბიჯით შევხვდით. "ლელოს" პუბლიკაციებიდან ალბათ გახსოვთ, რა ადგილს ვიკავებდით (პირობითად) საბჭოთა დელეგაციაში მიღწეული წარმატებებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის. ახლა კი... ატლანტა, მხოლოდ ბრინჯაოს 2 მედალი და 69-ე ადგილი, - და არა პირობითად, არამედ უკვე ოფიციალურად. სულ ამ თამაშებში79-მა ქვეყანამ დაიმსახურა ამა თუ იმ ხარისხის ოლიმპიური მედალი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თითქმის ყველამ გაგვისწრო, გარდა ლიტვისა, რომელსაც ბრინჯაოს 1 მედლით 73-ე ადგილი ერგო. რუსეთი მე-2 იყო, უკრაინა - მე-9, ყაზახეთი - 34-ე, ბელარუსი - 37-ე, სომხეთი - 45-ე, მოლდოვა - 59-ე, უზბეკეთი - მე-60, აზერბაიჯანი - 61-ე, ლატვია - 64-ე.

ტრადიციულად გადავხედოთ პირველ სამეულს.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 44 | 32 | 25 | 101 |
| რუსეთი | 26 | 21 | 16 | 63 |
| გერმანია | 20 | 18 | 27 | 65 |

დავძენთ, რომ რუსეთმა მეორე ადგილი ოქროს მედლების მეტი რაოდენობით დაიკავა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ოლიმპიური ვიქტორინა

### ეძღვნება XXVII ოლიმპიურ თამაშებს

1. რომელ ქალაქში და რომელ წელს ჩატარდა 27-ე ოლიმპიური თამაშები?

ა - მელბურნში 1998 წელს
ბ - სიდნეიში 2000 წელს
გ - ათენში 2004 წელს

2. ზაფხულის მერამდენე ოლიმპიადა იყო ეს თამაშები დამოუკიდებელი საქართველოსთვის?

ა - პირველი
ბ - მეორე
გ - მესამე

3. რამდენი მონაწილე გვყავდა 27-ე თამაშებში?

ა - 35
ბ - 36
გ - 42

4. რამდენი ჩემპიონი გვყავდა 27-ე ოლიმპიადაზე?

ა - ერთი
ბ - ორი
გ - არც ერთი

5. სულ რამდენი მედალი მოვიპოვეთ 27-ე თამაშებში?

ა - სამი
ბ - ექვსი
გ - რვა

*პასუხებს გაეცნობით რუბრიკის მორიგი გამოშვების მასალებში.*

### პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. არსენ კასაბიევი, ძალოსნობა

# მაგარი კაცი


არსენ კასაბიევი

ათენის ოლიმპიადაზე, როცა მეორე ოქროს მედალიც ჩავიჩხრიალეთ ყულაბაში და უზომოდ ბედნიერები ვიყავით, საჩემპიონო მოლოდინი აღარ გვქონდა და დარჩენილ ათლეტებს ინტერესითღა თუ შევხედავდით, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მავანს კი სპორტული სიბერის გამო ოლიმპიადაზე გასვლა აღარ მოუწევდა და მადლობას გადავუხდიდით ვაჟკაცური შემართებისთვის... **გიორგი ასანიძემ** ოქრო 21 აგვისტოს მოიპოვა 85 კგ. წონით კატეგორიაში. 94 კგ-ში კი ახალბედა, 17 წლის **არსენ კასაბიევი** უნდა გამოსულიყო. ცხადია, მისგან მედალს არავინ ითხოვდა, მაგრამ არსენს საკუთარი თავისთვის და სხვებისთვისაც უნდა დაემტკიცებინა, რომ დიდი სპორტსმენობა შეეძლო და მასზე დახარჯული შრომა ფუჭად არ ჩაივლიდა.

94 კგ-ში ფინალური ბრძოლები 23 აგვისტოს გაიმართა. არსენმა ატაცში მესამე ცდაზე 155 კგ. დაძლია, რაც ბევრი არ იყო, მაგრამ ცოტაც არ ეთქმოდა. მთელი მისი უნარი აკვრას უნდა გამოეჩინა, ამ მოძრაობაში უფრო ძლიერია. საწყის წონად 195 კგ. შეუკვეთა. ფიცარნაგზე დინჯად გავიდა და ციმციმ აკრა. აშკარა იყო, მეტი შეეძლო.მერე მთელი ათი კილოგრამით დაამძიმა შტანგა, მაგრამ სიმძიმე ვერ დაძლია.

რეპორტაჟს რედაქციაში ვადევნებდით თვალს. ეკრანზე 207 კგ. დაიწერა. წონა გაუზრდია, ნეტავ რატომ? ვითომ შეძლებს? არსენი ისევ თავდაჯერებული მივიდა ფიცარნაგთან; ორიოდ ნაბიჯით შტანგას მიუახლოვდა და მცირე ყოყმანის შემდეგ მოძრაობა დაიწყო: შტანგა მკერდზეა, ახლა ადგომაა საჭირო, რაც რთულად, მაგრამ მაინც მოახერხა. მთავარი კი აწი უნდა მოხდეს - აკვრა და თავს ზემოთ შეჩერებაა საჭირო. კასაბიევმა ოდნავ მოხარა მუხლები და წონა თავს ზემოთ აიგდო... - ე, ბიჭო, მიდი! არ გაუშვა! ხელი გამართე! ცოტაც რა, შევძახით აქედან და... აუ, რა კაცი გვყავს, ძმებო! ნახეთ, რა ქნა?! აყვირდა ერთი ჩვენი მეგობარი და სამიოდ წამში, გახარებულები, თითქოს ოლიმპიური ოქრო მოგვეგოს, ერთმანეთს ვეხუტებოდით. არსენმა მართლაც დიდი კაცივით, ვაჟკაცურად იბრძოლა და თითქმის შეუძლებელი შეძლო - მისთვის მძიმე ტვირთი აზიდა. ოლიმპიადა მალევე დასრულდა და არსენის გამოსვლაც საამაყოდ დაგვირჩა. ცხადია, იმედიც მოგვეცა, რომ პეკინისთვის უმაღლესი შედეგებისთვის მებრძოლი გვეყოლებოდა.

მზადების ახალ ოთხწლიან ციკლში არსენმა ავანსების გამართლება დაიწყო. ახალგაზრდულ ტურნირებში ლამის ყველაფერი მოიგო, გვირგვინად კი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სამი ოქროს მედალი იქცა. მერე ტრავმებმა დარიეს ხელი და მაგრადაც შეაჩერეს მისი ზრდა-დაოსტატება. ბოლო დროს ჩვენში ხომ დიდ ჩემპიონებს **ვანო გრიქუროვი** ძერწავს და არსენიც მის ფრთებქვეშ არის გაზრდილი. ცხინვალში დაბადებულ ბიჭს იქაურმა მეგობრებმა ბატონ ვანოსთან გაუწიეს რეკომენდაცია, რომელიც უკვე პოლონეთში ცხოვრობდა. ცნობილმა ოსტატმა ახალგაზრდა თავისთან დაიტოვა და, როგორც თავად ამბობს, მესამედ წავიდა დიდ წრეზე - ანუ არსენის ოლიმპიურ ჩემპიონობამდე მიყვანა განიზრახა. "არსენი ჩემთან, პოლონეთში, პირველად 2001 წლის სექტემბერში, წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ჩამოვიდა, - იხსენებს გრიქუროვი. - შევამჩნიე, რომ ამ ბიჭისგან რაღაც გამოვიდოდა და გულიანად შევუდექით ვარჯიშს. მცირე პაუზებს თუ არ ჩავთვლით, სულ პოლონეთში ვემზადებოდით. პირველ სამ წელიწადში საოცარი პროგრესი განიცადა: ჩემთან რომ ჩამოვიდა, 87 კგ-ს იტაცებდა და 117 კგ-ს კრავდა. ოთხი წლის შემდეგ კი 172 აიტაცა და220 აკრა. ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში არასდროს ყოფილა. მართალია, არსენმა წონაშიც მოიმატა და 64 კგ-დან 94-მდე "გაიზარდა", მაგრამ პროგრესი მაინც არნახული იყო. მიზეზად ბევრი რამ შეიძლება დავასახელოთ, -კარგი სავარჯიშო

» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 «

პირობები, სრულყოფილი კვება, აღდგენითი საშუალებები... ცხადია, ცხინვალში და მთლიანად საქართველოშიც ასეთი პირობების შექმნა შეუძლებელი იყო იმ დროს. გარდა ამისა, სწორი ვარჯიშია უმთავრესი, რომელიც შეგირდის მონდომებაზე, ნებისყოფაზე და ტალანტზეა დაფუძნებული. ეს თვისებები კი არსენს მოჭარბებულად აქვს. ძალიან ბრძოლისუნარიანია და თავის დაზოგვა არ იცის. ჩემს სამწვრთნელო კარიერაში უამრავ სპორტსმენთან მქონია ურთიერთობა და მათ შორის დიდ ჩემპიონებთან. **გიორგი ასანიძეს, შიმონ კოლეცკის** და არსენ კასებიევს ერთ რიგში ჩავაყენებდი: ისინი ემოციური, ფეთქებადნი არიან და დღენიადაგ დიდ წონებზე მიიწევენ; სურთ, რაც შეიძლება სწრაფად დაიპყრონ სიმაღლე. **კახი კახიაშვილი** კი სულ სხვა ტიპის გახლდათ - ის ფრთხილობდა, დიდ წონებს ერიდებოდა და თითქოს თავს ზოგავდა. კახი რომ დიდ წონებზე მიმეშვა, განსაკუთრებული ხერხი უნდა მეხმარა, რათა ანთებულიყო შინაგანად; არსენს, შიმონს და გიას კი პირიქით, დაწყნარება სჭირდებათ და ხშირად ვკამათობდით - ისინი ზღვარს ვერ გრძნობდნენ. ასეთი შემართება, ერთი მხრივ კარგია, მაგრამ გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს - ტრავმების მიღების დიდი შანსია. არსენსაც ასე დაემართა, თუმცა მისი ტრავმიანობის მთავარი მიზეზი მაინც ადრეულ წლებში ცუდ პირობებში არასწორი ვარჯიშებია; ტანიც რომ სწრაფად აიყარა, ამანაც დააზარალა, - სახსრებმა ვერ გაუძლეს, კერძოდ - მუხლებმა; შემდეგ კი ხერხემალიც დაუზიანდა."

საბედნიეროდ, ბოლო დროს არსენმა ყურად იღო ბატონი ვანოს შეგონებანი და უფრო ფრთხილი გახდა. შესაბამისად, შედეგებმაც იმატა და ტკივილებიც უკან იხევს. თუმცა ოლიმპიადის შემდეგ ხერხემალზე ოპერაცია აუცილებლად უნდა გაიკეთოს. მწვრთნელს და შეგირდს ჰქონდათ ჩანაფიქრი, ერთი წლის წინათ მისულიყვნენ დასტაქართან, მაგრამ არსენმა არ ისურვა - ოლიმპიადამდე გავძლებ და მერე იყოსო. არადა, ხერხემალთან ხუმრობა ნამდვილად არ შეიძლება. არსენი მაინც არ ეპუება სიმძიმეს და პეკინში ძვირფასი ლითონის საძიებლად მიდის. ღვთის მადლით, კარგ ფორმაშია, ისეთში, პროგნოზებში თავშეკავებულ გრიქუროვსაც რომ ათქმევინებს - პოტენციალით სამეულისთვის იბრძოლებსო. ცხადია, სპორტული იღბალიც საჭიროა, მაგრამ იქ, სადაც ვანო გრიქუროვი სამეულზე ფიქრობს, გულის გულში ოქროსაც არ გამორიცხავს და ეგებ ის იღბალიც ისე შემოგვიტრიალდეს, კვლავ უმაღლეს საფეხურზე შეგვაყენოს.

მწვრთნელის აზრი ერთია და თავად სპორტსმენი რას ფიქრობსო, დაინტერესდებით. ვკითხეთ და ბევრიც არაფერი გვიპასუხა, ანუ ის გვითხრა, რაც ბატონმა ვანომ, მაგრამ ერთი კი აღსანიშნავია: "საერთოდ არ ვნერვიულობ შეჯიბრების წინ. არც იმაზე ფიქრით ვიკლავ თავს, რომელ ადგილზე გავალ. ზედმეტი ნერვიულობა ხელის შემშლელია და საკუთარ თავს პრობლემები რატომ შევუქმნა?! მთელ ენერგიას მზადებას ვახმარ და მჯერა, რომ პეკინში წარმატებას მივაღწევ." ამ სიტყვებში რომ მართლაც მტკიცე ხასიათი ჩანს, თქმა არ უნდა. მასთან საუბრის დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მეტოქედ არავინ ჰყავს, საკუთარი თავის გარდა - ტრავმები ერთია, ფიქრები კიდევ - სხვა. ცხადია, არსენს პეკინის ფიცარნაგი ყოველდღიურად უფრო და უფრო უფორიაქებს სულს, მაგრამ არ იმჩნევს კაცი და გარწმუნებს, რომ შენც ნუ ინერვიულებ ზედმეტად - ხომ მიცნობ, რა შემიძლია, ჰოდა, გპირდები, რომ არ შეგარცხვენო. მე იმედი მართლაც გამიჩნდა, არსენზე ნაკლებად ვინერვიულებ და თუკი სანადელს ვერ მიაღწია, ვიცი, ისე დატოვებს პეკინს, როგორც კაცს, ნამდვილ ვაჟკაცს შეუძლია. მის გამოსვლას ალბათ რედაქციაშიც ისევ მივადევნებთ თვალს; ის მეგობარიც ისევ ჩვენთან იქნება და ვინძლო კიდევ ერთხელ წამოახტუნოს არსენმა ფეხზე და ხმის ჩახლეჩამდე აძახებინოს - "ეს, რა მაგარი კაცი გვყოლია!"

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ერევანში ცივაძემ იპირველა

## ავსტრიის ავიახაზებიდან ევროპის ჩემპიონატამდე

თბილისში გამართული ორი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს (14 და 16 წლამდელებს) ერევანმა უმასპინძლა, სადაც უკვე ტრადიციად ქცეული „ავსტრიის ავიახაზების თასი" გაიმართა. ამ ტურნირში დაახლოებით იმ შემადგენლობამ მოიყარა თავი, რომელმაც თბილისში ითამაშა.

16-წლამდელ ბიჭების ტურნირში პირველ სამ ნომრად ქართველები იყვნენ განთესილები, **ალექსანდრე მეტრეველი უმცროსი, დავით ხუციშვილი** და **გიორგი ცივაძე**. მეოთხედფინალამდე სამივე მათგანმა მიაღწია, ისევე როგორც მე-8 ნომრად განთესილმა **ნიკა დოლიძემ**. დიდი ქართველი ჩოგბურთელის შვილიშვილმა ალექსანდრე მეტრეველმა მეოთხედფინალში მე-7 ნომრად განთესილ **კონსტანტინ ლიახს** მოუგო – 6:3, 6:3. გიორგი ცივაძემ ნიკა დოლიძეს აჯობა – 6:2, 6:3. ნახევარფინალში იოლად გავიდა დავით ხუციშვილიც, რომელმაც რუსი **არმან გაბრიელიანი** (მე-5 ნომერი) დაამარცხა – 6:1, 6:1.

ნახევარფინალში დიდ ინტერესს იწვევდა მეტრეველისა და ცივაძის ორთაბრძოლა. სამწუხაროდ, 14 წლის მეტრეველმა პირველ სეტში, 2:2-ის მერე ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. ფინალში ვერ გავიდა დავით ხუციშვილი, მან მე-6 ნომრად განთესილ **კარენ ვოსკანიანთან** (სომხეთი) წააგო – 6:7 (4), 4:6. ფინალში გიორგი ცივაძემ პირველი სეტი დათმო, თუმცა შემდეგ სომეხ მეტოქეს აშკარად აჯობა და თასსაც დაეუფლა – 4:6, 6:4, 6:0.

16-წლამდელ გოგონებში მე-2 ნომრად **ნინო სუჯაშვილი** იყო განთესილი, ხოლო **თამარ კომახიძე** – მე-3 ნომრად. ნახევარფინალში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, დაძაბულ, სამსეტიან ბრძოლაში კომახიძემ იმარჯვა – 6:3, 4:6, 7:5. ქართველი ფინალში უკრაინელ **ვლადისლავა ზანოსიენკოს** შეხვდა და დამარცხდა – 6:1, 2:6, 2:6.

14-წლამდელ ბიჭებში ჩვენებურებმა ძალიან ცუდად ისპარეზეს, მხოლოდ **ალექსანდრე დავლიანიძემ** და **მიხეილ ხმიადაშვილმა** გააღწიეს მერვედფინალში. 14-წლამდელ გოგონებში მეოთხედფინალში ორი გავიდა საქართველოდან, მე-2 ნომრად განთესილი **ანი გოგვაძე** და მე-3 ნომრად განთესილი **ბარბარე ერისთავი**. გოგვაძემ რუს **მარია მაკაროვასთან** წააგო – 4:6, 5:7. ხოლო ერისთავმა რუს **ელენა მალცევას** აჯობა – 6:2, 5:7, 6:3. ბარბარემ ნახევარფინალში დათმო, ტურნირის პირველ ჩოგან **ვიქტორია მუნთან** (ბელარუსი) – 6:7 (5), 6:7 (7). ასე რომ, საერთო ჯამში ჩვენმა უმცროსმა ჩოგბურთელებმა ორი წლით უფროსებზე ცუდი შედეგები აჩვენეს.

ამ ტურნირის მერე გამოქვეყნებულ ევროპის რეიტინგში 16-წლამდელ ბიჭებში ალექსანდრე მეტრეველი 39-ე პოზიციაზეა, ტურნირის გამარჯვებული გიორგი ცივაძე – 45-ზე. დავით ხუციშვილი 75-ე პოზიციაზეა. გოგონებში **ნინო მებუკე** 44-ე ჩოგანია, **სალომე კვიტაიშვილი** – 55-ე. თამარ კომახიძე 58-ე პოზიციამდე დაწინაურდა, ნინო სუჯაშვილი 70-ეა.

14-წლამდელთა რეიტინგში ბიჭებში მხოლოდ ნიკა დოლიძის გამოყოფა შეიძლება რომელიც კონტინენტის 101-ე ჩოგანია. გოგონებში ქართველთაგან ყველაზე წინ ბარბარე ერისთავია – 115-ე.

ერევნის ტურნირი გენერალური რეპეტიცია გამოდგა ჩვენი ახალგაზრდა ჩოგბურთელებისთვის, ისინი ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებზე გაემგზავრნენ. მოსკოვი 16-წლამდელებს, სლოვაკური პილზენი კი – 14-წლამდელებს მასპინძლობს.

რუსეთში ალექსანდრე მეტრეველი, დავით ხუციშვილი, სალომე კვიტაიშვილი და ნინო მებუკე გაემგზავრნენ. ჩვენმა ბიჭებმა ერთეულებში წარუმატებლად ითამაშეს. ალექსანდრე მეტრეველი პირწმინდად დამარცხდა იტალიელ **ალესანდრო კოლელასთან** – 0:6, 0:6. ხოლო დავით ხუციშვილმა სამსეტიანი ორთაბრძოლა წააგო ისრაელის წარმომადგენელ **დანიელ სკრიპნიკთან** – 6:2, 2:6, 3:6. ახლა მხოლოდ წყვილთა ბადის იმედი გვაქვს, სადაც ხუციშვილისა და მეტრეველის დუეტი მე-12 ნომრად განთესილ ბელარუსებს (**პაველ პილინი, იაროსლავ შოლა**) ხვდება. გოგონებში სალომე კვიტაიშვილი ლატვიელ **ლინა ლილეკიტესთან** დამარცხდა – 3:6, 2:6. ნინო მებუკემ კი მასპინძელ **რენატა ბაკიევასთან** წააგო – 2:6, 2:6. მებუკე-კვიტაიშვილის დუეტი სლოვაკურ წყვილს (**იანა ჩეპელოვა, პეტრა იუროვა**) შეხვდება.

პილზენში 14-წლამდელ ბიჭებში ალექსანდრე დავლიანიძემ უკვე წააგო (თურქ **ალპ ჰოროზთან** – 1:6, 6:7 (5)), ხოლო **ლუკა ფილფანი** სლოვენიელ **რიჰარდ როზაკს** ხვდება. ფილფანისა და დავლიანიძის დუეტი წყვილთა თანრიგში პირველ ნომრად განთესილ ბელგიურ გუნდს (**ჟულიენ განინა, ჟერონ კანესტე**) ეთამაშება. გოგონებში მხოლოდ თამარ კომახიძე გამოდის, ის მე-9 ნომრადაა განთესილი (ერთადერთი ქართველი) და პირველი წრისგან თავისუფალია.



გიორგი ცივაძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაშნიკოვა ისევ წყვილებში ყოჩაღობს

25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (197) ლუქსემბურგშია, სადაც პეტანჟის საერთაშორისო ტურნირში (75 ათასი დოლარი) ასპარეზობს. ძირითადი ბადის პირველ წრეში მაკას კენჭისყრამ მე-2 ნომრად განთესილი ფრანგი **სტეფანი ფორეცი** (102) შეახვედრა. 27 წლის ფრანგს ჩახნაშვილი შარშან შეხვდა ფრანგული კონტრექსვილის მეოთხედფინალში და სამ სეტში მოუგო. იმედია, მაკა დღესაც გამარჯვებული გამოვა ამ დუელიდან. წყვილთა ბადეში ჩახნაშვილი ესტონელ **მარგიტ რუუტელს** შეუწყვილდა.

ხარკოვში (უკრაინა) 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ბრძოლით გასული **ოქსანა კალაშნიკოვა** პირველ წრეში დამარცხდა სერბ **ანა ტიმოტიჩთან** (470) – 3:6, 4:6. მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** ბელარუს **ვიქტორია ემიალიანოვას** (835) ხვდება. წყვილთა ბადეში ჩვენებურები სხვადასხვა დუეტში დაწყვილდნენ – სოფიო შაფათავა და რუსი **მარია ჟირკოვა** მე-4 ნომრად განთესეს, მათ უკვე წააგეს უკრაინელ ტყუპ დებთან, **ლუდმილა** და **ნადია კიჩენოკებთან** – 4:6, 3:6. ოქსანა კალაშნიკოვა წყვილებში უკეთ თამაშობს, ვიდრე ერთეულებში, ის და **მიხაელა ბუზარნესკუ** (რუმინეთი) მე-2 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ რუსული დუეტი (**ვარვარა გალანინა, ელენა ჩალოვა**) დაამარცხეს – 7:6 (1), 6:3.

20 წლის **სოფიო მელიქიშვილი** ამერიკის ქალაქ ევანსვილში 10-ათასიან ტურნირში თამაშობს. პირველ წრეში მისი მეტოქე 15 წლის ამერიკელი **ემილი გელბერია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პრეზენტაცია

# წარმატების საიდუმლო




ყველაფერი ძალიან უბრალოდ დაიწყო. საქართველოს საბრძოლო სახეობათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** გადაწყვიტა თავისი მოწაფეებისთვის სახელმძღვანელო შეექმნა. ნაშრომი თითოეული მათგანის ოჯახში მოხვდა, მას მათი მშობლებიც გაეცნენ, მერე ის მეზობლების, ნათესავების ხელშიც მოხვდა და...

კახა ბასილია: "გავკადნიერდი და ის ცოდნა, გამოცდილება, რაც წლების განმავლობაში დამიგროვდა, წიგნად გამოვეცი. ეს არ არის ლიტერატურული ნაწარმოები, ესაა სახელმძღვანელო, როგორ მიაღწიო წარმატებას. ვფიქრობ, ჩემი ნააზრევი არა მარტო უბრალო ადამიანებს, არამედ პოლიტიკოსებსაც და ბიზნესმენებსაც წაადგებათ.

მინდა მადლობა გადავუხადო "ტაოპრივატბანკის" ხელმძღვანელს, **კახა უგულავას,** რომელიც წიგნის გამოცემაში დამეხმარა. აქვე გეტყვით, რომ მომავალ წელს ვაპირებ ამ წიგნის მეორე ტომი გამოვცე."

პრეზენტაციაზე, რომელიც კაფე "მსოფლიო სპორტში" გაიმართა, "ტაოპრივატბანკის" წარმომადგენელმა კახა ბასილიას საჩუქრად პლასტიკური ბარათი გადასცა.

**ლალი მოროშკინა:** "შესანიშნავი წიგნია. მირჩევნია ჭკუა კახა ბასილიამ მასწავლოს, ვიდრე კარნეგიმ. რადგან ვიცი კახამ რა გზა განვლო, როგორ მოაღწია დღემდე. წიგნში ნათქვამია, რომ ცხოვრებაში წარმატებას შეიძლება მიაღწიო ყოველგვარი წუწუნის, მუხლებზე დგომის გარეშე. კახა გვეუბნება, რომ ოპტიმიზმი ეს ის ძალაა, რომელსაც ბედნიერებისკენ მივყავართ. რაც ყველაზე მთავარია, ის თანამედროვეობასთან ადაპტირებული ენით ელაპარაკება მკითხველს."

**თენგიზ გაჩეჩილაძე:** "როდესაც კახამ თავისი წიგნი მაჩუქა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მომეწონებოდა, რადგან კარგად ვიცნობ ამ ადამიანს, მისი ცხოვრების წესს. თითოეული ადამიანი თავისებური წიგნია, ზოგი საინტერესო, ზოგიც უინტერესო. კახა ბასილია ჩემთვის საინტერესო წიგნია. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არ ვიცნობდი ბოლომდე. ახლა, ამ წიგნით გავიცანი."

**დავით თევზაძე:** "კარატეს სათავეები საქართველოში სამოცდაათიანი წლებიდან მოდის. მიხარია, რომ სწორედ ამ პლეადის ადამიანი პოულობს თავის თავში ენერგიას იმისთვის, რათა თავისი გამოცდილება წიგნად შექმნას და სხვებსაც გაუზიაროს. მეომარი, მებრძოლი თავისი ცხოვრების რაღაც ეტაპს რომ გაივლის, ცდილობს მიღებული ცოდნა ქაღალდზე გადაიტანოს და ამით სხვებს ნაკლები ენერგიის დახარჯვაში დაეხმაროს.

იდეალური მეომარი მარტო გადის თავის გასავლელ გზას. კახა ბასილია სწორედ ასეთია, ის იდეალურია. ის მარტო იმყოფებოდა იაპონიაში და მარტომ ჩამოიტანა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

წიგნი არ წამიკითხავს, დარწმუნებული ვარ, იქ მეომრის ოცდაათწლიანი ნაღვაწი იქნება ასახული."

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# არც მორესმო, არც პირსი... პარმენტიე



პოლინ პარმენტიე

საფრანგეთის ქალთა ნაკრები პეკინის თამაშებზე შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრება. ტრავმის გამო, ძირითადი ბადიდან ამოვარდა ვეტერანი **მარი პირსი**. გუშინ, ფრანგულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის ნაცვლად ოლიმპიადაზე უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი, **ამელი მორესმო** ითამაშებდა, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამელიმ იუარა ჩინეთში გამგზავრება. მორესმომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისთვის უფრო პრიორიტეტული აშშ-ის ღია პირველობაა. სხვათა შორის, ფრანგი ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, როცა ფინალში ბელგიელ **ჟუსტინ ანენთან** დამარცხდა.

საბოლოოდ, პეკინში გამგზავრების უფლება მიიღო კიდევ ერთმა ფრანგმა, 22 წლის **პოლინ პარმენტიემ**, რომელმაც გასულ კვირას, ავსტრიის ქალაქ ბად-გაშტაინში, კარიერაში WTA-ს მეორე ტურნირი მოიგო. ჩინეთში პარმენტიე ერთეულთა თანრიგშიც ითამაშებს და წყვილებშიც.

სხვათა შორის, ეს არ იყო ოლიმპიადის მონაწილეთა შორის ერთადერთი ცვლილება. საბოლოოდ დადასტურდა, რომ პეკინში არ მიდის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი, **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. მის ნაცვლად ერთეულებში **მიშელ ლოდრა** ითამაშებს, წყვილებში - **ჟილ სიმონი** (ორივე ფრანგია). ოლიმპიადის მიღმა დარჩნენ ჰოლანდიელი ჩოგბურთელებიც. მამაკაცებში **რობინ ჰაასეს** ადგილი ავსტრიელმა **იურგენ მელცერმა** დაიკავა, ქალებში **მიხაელა კრაიჩეკი** უკრაინელმა **ეკატერინა ბონდარენკომ** შეცვალა.

# ბეკერი: ჩოგბურთს ახალი მეფე ჰყავს







ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **ბორის ბეკერი** დარწმუნებულია, რომ მამაკაცთა პროფესიულ ჩოგბურთში **როჯერ ფედერერის** ეპოქა დასრულდა და ATP-ის ახალი ლიდერი ჰყავს.

*"პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია, კვლავინდებურად პირველ ნომრად როჯერ ფედერერს თვლის, მაგრამ ნებისმიერი სპეციალისტი გეტყვით, რომ დღეს, მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერი, ესპანელი რაფაელ ნადალია, რომელმაც როლან გაროსიც მოიგო და უიმბლდონიც. საჩოგბურთო მეფის შეცვლის დრო მოვიდა. ნადალმა იმდენად გააუმჯობესა თავისი თამაში, რომ ამას მისგან არავინ ელოდა. ყველამ იცოდა, რომ ის თიხნარის კორტების დიდოსტატია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, რაფამ ბალახზეც ბრწყინვალე თამაში აჩვენა. მისთვის პრობლემურ ჰარდზეც კი, შესამჩნევი პროგრესი აქვს. რაფაელს ძალიან ეხმარება კარგი მოწოდება. შესანიშნავად აქვს დამუშავებული თამაშის ეს კომპონენტი და მას კარგად უხამებს კორტზე პოზიციის შერჩევის არაჩვეულებრივ უნარს"*, - ამბობს უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი.

*"ფედერერი, როგორც ყოველთვის, თითქმის უნაკლოდ თამაშობს. უიმბლდონის ფინალამდე ისე მივიდა, სეტიც არ ჰქონდა წაგებული. მას ვერ დავძრახავთ, მაგრამ როჯერი ვერაფერს გააწყობს იმის წინააღმდეგ, რომ ნადალმა მკვეთრად მოუმატა და სრულიად ახალ დონეზე გავიდა"*, - დაამატა გერმანელმა.

ამ კვირას, შესაძლოა, კიდევ ერთხელ ვიხილოთ ფედერერისა და ნადალის დაპირისპირება. ტორონტოში მასტერსის სერიის მორიგი ტურნირი დაიწყო, მანამდე კი, მსოფლიოს პირველმა და მეორე ჩოგნებმა პრესკონფერენციები გამართეს.

"ლელო" წერდა იმის შესახებ, რომ თუ ნადალი ტორონტოს და ცინცინატის (მომავალ კვირას დაიწყება) მასტერსებს მოიგებს, რეიტინგში პირველ ადგილს ჩამოართმევს ფედერერს. თუმცა ესპანელი ამბობს, რომ ამ ეტაპზე, ეს საკითხი მას ყველაზე ნაკლებად აღელვებს.

*"ნებისმიერ საფარზე შემიძლია საკუთარი თამაშის გაუმჯობესება - თიხნარზე, ბალახზე, ჰარდზე ან ხალიჩაზე. ყველაზე აქტუალურად ჰარდზე თამაში ითვლება, სადაც უკვე 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული ჩემს წარმატებაში. ახლა მთავარია, თამაშის ის დონე შევინარჩუნო, რასაც ბოლო რამდენიმე თვე ვაჩვენებდი"*, - აცხადებს ესპანელი ჩოგბურთელი.

საკუთარ პრიორიტეტებზე ისაუბრა ფედერერმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიური ოქროს მედალია.

*"მე რომ "დიდი სლემის" 12 ტიტული არ მქონდეს მოგებული, ამ ტურნირებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ახლა, მთავარი მომავალი ოლიმპიდაა. შესაძლოა, შვეიცარიის ნაკრების მედროშეც ვიყო გახსნის ცერემონიაზე. ეს უდიდესი პატივი იქნება ჩემთვის, მით უმეტეს, რომ პეკინის თამაშების გახსნა, ჩემს დაბადების დღეს ემთხვევა"*, - განაცხადა ფედერერმა, რომელსაც ტორონტოს მასტერსი 2004 და 2006 წლებში აქვს მოგებული, ნადალს კი, აქ 2005 წელს გაუმარჯვია. აქვე გეტყვით, რომ ამ ტურნირის მოქმედი ჩემპიონი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გახლავთ.

# ფსონების კეთება აკრძალულია



ფრანტიშეკ ჩერმაკი

მამაკაცთა ჩოგბურთში ახალი სკანდალი აგორდა, რომელიც ისევ ტოტალიზატორის საკითხს უკავშირდება. ATP-მ დისკვალიფიკაციით დასაჯა ორი ჩოგბურთელი - ჩეხი **ფრანტიშეკ ჩერმაკი** და სლოვაკი **მიხალ მერტინაკი**. ისინი ტოტალიზატორში თამაშზე გამოიჭირეს და ორი კვირა აუკრძალეს კორტზე გასვლა.

ეს ჩოგბურთელები წყვილთა თანრიგში თამაშით არიან ცნობილნი. გასულ კვირას, ჩერმაკმა **როჯიე ვასენთან** ერთად ჰოლანდიის ღია პირველობა მოიგო წყვილებში. ასევე გასულ კვირას, ხორვატიის ღიაზე იმარჯვა მერტინაკმა. მისი პარტნიორი **პეტრ პალა** იყო.

***"როგორც ჩვენმა გამოძიებამ აჩვენა, ჩერმაკი 2006 წლის ბოლოს და 2007*** *წლის დასაწყისში აკეთებდა ფსონებს, მერტინაკი კი, საბუკმეიკერო კანტორებში 2006 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თამაშობდა. ATP-ის ანტიკორუფციულ პროგრამას თავისი წესები და ამოცანები აქვს. ერთ-ერთი გახლავთ ტოტალიზატორზე ნებისმიერი ფორმით თამაშის აღმოფხვრა"*, - განაცხადა ATP-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **დევიდ ბრედშოუმ**.

როგორც ირკვევა, ჩერმაკსა და მერტინაკს საკუთარ მატჩებზე ფსონები არ გაუკეთებიათ. ის თამაშები, რომლებზეც ჩეხმა და სლოვაკმა ფული დადეს, სხვა ქვეყანაში და სხვა ტურნირებზე იმართებოდა.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიზმი

# რეკლამა 900 მილიონად




ამერიკულმა ტელეკომპანია NBC-მ, 2008 წლის ოლიმპიადის მსვლელობისას სარეკლამო დრო 900 მილიონ დოლარად გაყიდა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ პეკინის თამაშებამდე დარჩენილ დღეებში, სარეკლამო დროის რეალიზაციის წყალობით კიდევ მინიმუმ 100 მილიონს მიიღებს. ასე რომ, NBC უკვე მოგებაშია. თავის დროზე, ამ ტელევიზიამ პეკინის ოლიმპიადის ამერიკის ტერიტორიაზე ტრანსლირების უფლებაში 894 მილიონი გადაიხადა.

8 აგვისტოდან 24 აგვისტომდე, NBC თავისი ეთერის დაახლოებით 4 ათას საათს დაუთმობს ოლიმპიადას. ამ დროში იგულისხმება პირდაპირი ეთერიც და ჩანაწერებიც. ადრე, ამერიკულ ტელეარხებს ოლიმპიური თამაშებისთვის ამდენი დრო არასოდეს მიუციათ.

ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ პეკინის თამაშები ამერიკის მოსახლეობაში დიდი წარმატებით ისარგებლებს. *"დღეს არც ისე მხიარული დრო დგას - საწვავი გაძვირდა, რის გამოც ბევრი უარს ამბობს არდადეგებზე, სურსათის ფასი იზრდება. სწორედ ასეთ მომენტში სურთ ადამიანებს რაიმე სასიხარულოს და საინტერესოს ნახვა"*, - განაცხადა ტელეკომპანიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

აქვე შევახსენებთ, რომ NBC-ის მხრიდან პეკინის თამაშებისადმი დაინტერესების გათვალისწინებით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო - ცურვის ტურნირის გრაფიკი შეცვალა იმისთვის, რომ ამერიკელებს ფინალური სტარტები მათთვის ნორმალურ დროს, პირდაპირ ეთერში ეხილათ (ფინალები ჩინეთის დროით, დილით გაიმართება).

მაშინ, ოლიმპიური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ სოკ-ის ხელმძღვანელობამ ყველას შეახსენა - თამაშების ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი შემოსავალი, ტრანსლიაციების უფლებების გაყიდვა გახლავთ.

ტრიატლონი

# ტრაგედია ნიუ იორკში

ტრაგიკულად დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ტრიატლონში, რომელსაც ნიუ იორკმა უმასპინძლა. შეჯიბრების პირველ ეტაპზე - ცურვის დროს, ერთი მონაწილე დაიღუპა და ოთხი საავადმყოფოში მოხვდა.

დაღუპული გახლავთ 32 წლის არგენტინელი **ესტებან ნეივა**. ცნობილია, რომ ტრიატლონი სპორტსმენებისგან უდიდეს ამტანობას მოითხოვს, რადგან აქ სამ სახეობაში ეჯიბრებიან ერთამნეთს. არგენტინელი სპორტსმენი ცურვის ეტაპისას დაიღუპა, სადაც საერთო დისტანცია 1.5 კილომეტრი იყო. ამის შემდეგ, მონაწილეებს 40 კილომეტრი ველოსიპედით უნდა გაევლოთ და ბოლოს, 10 კილომეტრი სირბილით უნდა დაეფარათ. ფინიში ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში იყო დანიშნული.

ნეივას დაღუპვის მიზეზი უცნობია. თუმცა გაცურვის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ წყალში ძალიან მტკივნეულად იკბინებოდნენ მედუზები, რის შესახებაც, წინასწარ ისინი არავის გაუფრთხილებია. ექიმები ვარაუდობენ, რომ ალერგიული ადამიანისთვის, ასეთმა კონტაქტმა შეიძლება შოკური რეაქცია გამოიწვიოს. გასულ წელს, სპორტსმენებს მსგავსი პრობლემები არ ჰქონიათ.

აღსანიშნავია, რომ მაისში, ტრიატლონის სეზონის გახსნის შემდეგ, ეს უკვე მეოთხე მსხვერპლია ამერიკაში. მანამდე, ტრაგიკული აღმოჩნდა ტურნირები ფლორიდაში, აიოვასა და ორეგონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# შლეკმა ლიდერობა შეინარჩუნა

ყველაზე პრესტიჟული ველომარათონი გადამწყვეტ ფაზაშია. იტალიაში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ, ველომრბოლები ისევ საფრანგეთის გზას დაუბრუნდნენ და ურთულესი მე-16 ეტაპი განვლეს, რომელზეც მათ წინაშე ორი უკატეგორიო მთა აღიმართა. რბოლა ფრანგმა **სირილ დესელმა** მოიგო, საერთო ჩათვლაში კი ლიდერი არ შეცვლილა – ყვითელი მაისურა კვლავ ლუქსემბურგელმა **ფრანკ შლეკმა** შეინარჩუნა.

შლეკმა გამარჯვებულთან წუთი და 28 წამი წააგო, თუმცა ფრანგი ველომრბოლი მის ლიდერობას არავითარ საფრთხეს არ უქმნის – ის მასთან 32 წუთზე მეტს აგებს და ბუნებრივია, არც ლუქსემბურგელს და არც მის მეტოქეებს, ყურიც არ გაუბერტყავთ, როცა დესელმა და კიდევ სამმა ველომრბოლმა დაწინაურება შეძლეს. ერთადერთი ცვლილება, რომელიც ლიდერთა შორის გუშინდელი ეტაპის შემდეგ მოხდა ისაა, რომ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა შლეკის ესპანელმა თანაგუნდელმა **კარლოს სასტრემ**, ვინც უკან რუსი **დენის მენშოვი** ჩამოიტოვა.



*"ძალიან ძნელი დღე იყო. არაფრის თავი არ მქონდა. ვინმეს რომ შეეტია, ალბათ პასუხს ვერ გავცემდი. მაგრამ როგორც ჩანს, მეტოქეებიც ჩემსავით ფიქრობდნენ, რადგან მათაც ძალიან უჭირდათ"*, - ნაფინიშევს განაცხადა შლეკმა, ვინც გუშინდელი ეტაპი მე-12 ადგილზე დაასრულა.

რამდენადაც, ლიდერთა შორის, დროზე რბოლაში საუკეთესოდ მენშოვი მიიჩნევა, ამიტომ შლეკის და ავსტრალიელი **კეიდელ ევანსის** ყველაზე საშიშ მეტოქედ სწორედ ის ითვლებოდა. მაგრამ გუშინ რუსმა, ვისაც ვუელტა ორჯერ აქვს მოგებული, ვერ შეძლო ლიდერთა ჯგუფში დარჩენა და თუ ეტაპის სტარტამდე ლუქსემბურგელთან მხოლოდ 38 წამს აგებდა, ახლა მასვე წუთზე მეტით ჩამორჩება. უფრო მეტი წააგო ამერიკელმა **კრისტიან ვანდე ველდემ**, ვისაც ყვითელ მაისურასთან უკვე სამ წუთზე მეტი აშორებს.

გუშინვე, ერთი სახიფათო ინციდენტიც მოხდა - მეორე მაღალი მთის, "ბონეტ რესტეფონდ პიკიდან" დაშვებისას, მოსახვევში ვერ ჩაეტია და გზიდან, მთის ფერდობზე გადავარდა სამხრეთაფრიკელი **ჯონ-ლი აუგუსტინი**, რომელიც საბედნიეროდ, სერიოზულ დაზიანებას გადაურჩა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მაყურებლის დახმარებით, გზამდე ამოვიდა და გზაც განაგრძო, თუმცა დესელთან ხუთ წუთზე მეტი წააგო. აღსანიშნავია, რომ აუგუსტინი რომ გავარდნილიყო, "ბარლოუორლდს" რბოლის მიტოვება მოუხდებოდა, რადგან მისი რიგები მინიმალურ დასაშვებ ხუთ ველომრბოლამდეა შემცირებული.

დღეს კი ტურზე გადამწყვეტი ეტაპია, რომელზეც რბოლის მონაწილეებს ლეგენდარული ალპ დ'უზის აღმართი ელით. სულ კი გასავლელი სამი უკატეგორიო მთაა, რომელთაგან ბოლო, ალპ დ'უზზე ფინიშია განლაგებული.

**მე-16 ეტაპი. კუნეოდან (იტალია) ჟოსიერამდე (საფრანგეთი, 157 კმ)**

1. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R ლა მონდიალი) 4:31.27 (34.70 კმ/სთ); 2. სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) იგივე დროში; 3. დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) იგივე დროში; 4. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, სილენს-ლოტო) 0.03; 5. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, კოლუმბია) 0.24; 6. ნიკოლა პორტალი (საფრანგეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.24; 7. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, AG2R ლა მონდიალი) 0.24; 8. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 1.03; 9. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC-საქსო ბანკი) 1.28; 10. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.28; 11. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 1.28; 12. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.28; 13. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.28; 14. დამიან კუნგო (იტალია, ლამპრე) 1.28; 15. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.28...

**კლასიფიკაცია 16 ეტაპის შემდეგ**

1. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 68:30.16; 2. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 0.07; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.08; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.49; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.13; 6. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 3.15; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 3.23; 8. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.11; 9. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.38; 10. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, AG2R ლა მონდიალი) 5.23...

# რიკო ეჭვობს

ჯირო დ'იტალიას ვიცე-ჩემპიონი, იტალიელი ველომრბოლი **რიკარდო რიკო** დოპინგის გამოყენებას უარყოფს და ეჭვი შეაქვს იმ მეთოდის უტყუარობაში, რომლითაც პარიზის ლაბორატორიამ მისი სინჯი შეამოწმა და მასში EPO-ს (ერითროპოიეტინის – სისხლის დოპინგი, რომელიც სისხლში წითელი ბურთულების მომრავლებას უწყობს ხელს) კვალი აღმოაჩინა.

რიკომ მიმდინარე ტურზე ორი ეტაპი მოიგო, მაგრამ მეოთხე ეტაპის, დროზე ინდივიდუალური რბოლის შემდეგ აღებულ სინჯში დოპინგის კვალი უპოვნეს, რის გამოც, მისმა გუნდმა, ესპანურმა "სონიე დუვალმა" ასპარეზობა შეწყვიტა, რიკო კი თავისი რიგებიდან დაითხოვა.

*"როგორც წესი, პირველადი ანალიზის შემდეგ, შედეგის მიუხედავად, აუცილებელია, რომ სანამ მის შედეგს გამოაქვეყნებენ, განმეორებითი ანალიზის პასუხს დაელოდონ. ჩემს შემთხვევაში, ასე არ მომხდარა. მე კი ეჭვი შემაქვს ტესტის მეთოდის უტყუარობაში"*, - გაზეთ "გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას განაცხადა 24 წლის რიკომ, ვისაც ერთი ღამის გისოსებს მიღმა გატარება მოუწია, თუმცა საფრანგეთის პოლიციის მიერ დაკითხვის შემდეგ, იტალიაში დაბრუნდა.

ცნობისათვის, საფრანგეთის კანონმდებლობით, ადამიანი, ვინც სპორტში აკრძალულ პრეპარატებს იყენებს, სისხლის სამართლის კოდექსით იდევნება.

*"ძალლსაც კი არ ვუსურვებ იმის განცდას, რაც მე ამ ერთ დღეში განვიცადე. ჩემს თავზე ყველაფერმა ცუდმა გადაიარა. ციხეში გატარებული ეს ერთი ღამე ყველაზე ავადგასახსენებელია ჩემს ცხოვრებაში. ორიოდ დღით ადრე, სიხარულით ცას ვეწიე, მერე კი, ვილაცის ნებით, უეცრად მიწაზე დავენარცხე"*, - ამბობს რიკო, ვინც მიმდინარე ტურზე, დოპინგის გამოყენებაში გამოჭერილი მესამე ველომრბოლია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




# უმწეო მაკქუეიდი

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** ფრანგული ველომარათონის ორგანიზატორებს გუნდებზე ზეწოლაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სწორედ ტურის ორგანიზატორთა აქტიურობის შედეგია ის, რომ პრო ტურის გუნდებმა ამ სერიის ლიცენზიის გაგრძელება აღარ ისურვეს.

ახლანდელი პრო ტურის 17 გუნდის ხელმძღვანელობა პრო ტურის საქმიანობით უკმაყოფილოა და ამის გამო, ცალკე ლიგის შექმნას ცდილობს, რაშიც მათ სამივე ველომარათონის ორგანიზატორები გვერდში უდგანან.

მაკქუეიდის თქმით, ფრანგული ტურის ორგანიზატორმა, "ამორი სპორტ ორგანიზასიონმა" ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ გუნდები თავის მხარეს გადაებირებინა. *"პრო ტურის დაარსებამდე, "ამორი სპორტი" ამ სტრუქტურის წინააღმდეგი იყო. ამ ორგანიზაციამ ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლო გუნდების გადაბირება და ახლა მათი მეშვეობით ცდილობს ჩვენზე გავლენის მოხდენას. მათ პრო ტურის და საერთოდ, პროფესიული სპორტის გაჩანაგება სურთ და ამას თანდათან ახერხებენ კიდეც"*, - წუხს პრეზიდენტი.

ოთხი წელია, რაც პრო ტურის სერია დაარსდა და მისი ეგიდით, 15 რბოლაში 18 რჩეული გუნდი მონაწილეობს. მაგრამ ტურის, ჯიროსა და ვუელტის ორგანიზატორებს სურთ, რომ თავიანთი რბოლების სრული ბატონ-პატრონები იყვნენ და არ გაითვალისწინონ პრო ტურის ინტერესები.

მაკქუეიდმა ყველა გუნდს წერილობით მიმართა და შეახსენა, რომ შესაძლოა, იმ რბოლების ორგანიზატორებმა, რომლებსაც არ სურთ პრო ტურის სერიის დატოვება, მოჯანყე გუნდებისგან, მათ რბოლებში მონაწილეობაზე უარის სანაცვლოდ, კომპენსაციები მოითხოვონ. ასეთ რბოლებს შორისაა ტურისწინა "დოფინ ლიბერე", რომელსაც ხშირად ტურის პრელუდიადაც მოიხსენიებენ და ავსტრალიური ტური "დაუნ ანდერი".

მაკქუეიდი გუნდებს ახსენებს, რომ ამ რბოლების ორგანიზატორები კომპენსაციას არამხოლოდ იმისათვის მოითხოვენ, რომ ესა თუ ის გუნდი მათ შეჯიბრზე არ გამოვა, არამედ იმისთვისაც, რომ რბოლების ჩაშლის შემთხვევაში, დაიკარგება კონტრაქტები სპონსორებთან და ტელეკომპანიებთან.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

**23 ივლისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საერთაშორისო ტურნირი - VODACOM CHALLENGE. ორლანდო პაირეტსი (სამხრეთი აფრიკა)-მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი). სამხრეთ აფრიკა.
14:10 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ესპანეთი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
16:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:50 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ლოკომოტივი (LIVE).
21:00 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. საბერძნეთი-რუსეთი.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
08:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:05 ფეხბურთი. ევრო 2008. გერმანია-პოლონეთი.
10:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ტორონტო. კანადა.
14:55 ფეხბურთი.
15:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. ფინალი. უმაგი. ხორვატია.
17:25 სპორტდოსიე.
17:50 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-იტალია.
19:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
20:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი.
20:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ტორონტო. კანადა.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-იტალია.
02:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ხორვატიის ღია პირველობა. ფინალი. უმაგი. ხორვატია.
04:45 სპორტდოსიე.
05:10 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
10:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
12:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ეტაპის წინ (LIVE).
16:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
21:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
00:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
01:00 მულტისპორტი.
01:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. როლექსის თასი. იტალია.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:55 მულტისპორტი.
02:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
02:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჩეხეთი-იტალია. ჩეხეთი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. მარსელი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). გერმანია-უნგრეთი. ჩეხეთი.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. მარსელი. საფრანგეთი.
19:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-იაპონია. მარსელი. საფრანგეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინალი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
01:45 სკეიტბორდი. შვედეთი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არმინია-ჰანზა | 0:2 |
| ნიურნბერგი-სტოკი | 1:0 |
| აინტრახტი-ვიგანი | 2:0 |
| სოშო-მეცი | 1:1 |
| ფალკენბერგი-ნორვიჩი | 0:3 |
| ფეიენოორდი-მალიორკა | 0:2 |
| ჰამე-ლოკერენი | 0:4 |
| ვეენდამი-ტვენტე | 0:3 |
| ლიუბეკი-ჰამბურგი | 0:5 |
| შაფჰაუზენი-სტ. პაული | 2:2 |
| ჰერტა-ლივერპული | 0:0 |
| ბარტონი-ნოტინგემი | 1:3 |
| გიმარაეში-კარდიფი | 1:2 |
| კლაიდი-რეინჯერსი | 0:1 |
| საუთპორტი-ტრანმერი | 1:4 |
| იორკი-ბარნსლი | 2:2 |
| ჩესტერი-კარლაილი | 1:3 |
| დანფერმლაინი-დანდი იუნ | 2:3 |
| ჰერეფორდი-ბრისტოლი | 2:2 |
| ლუტონი-ლესტერი | 1:1 |
| პრესტონი-ევერტონი | 0:1 |
| შრიუსბერი-ვესტ ბრომვიჩი | 2:2 |
| უოლსოლი-ასტონ ვილა | 2:3 |
| ორლანდო-მანჩესტერ იუნ | 0:1 |
| სელტიკი-მიდლსბრო | გვ. დასრულდა |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰამეენლინა-გრიფკ | 3:0 |

**პლაჟის ფეხბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-საემიროები | 5:0 |
| არგენტინა-კამერუნი | 3:0 |
| ესპანეთი-იაპონია | 6:1 |
| ბრაზილია-მექსიკა | 7:1 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-არგენტინა | 90:88 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ტორონტო (მასტერსი)**

| | |
|---|---|
| სიმონი-იანგი | 6:1, 6:3 |
| ჰაასი-მოია | 6:3, 6:2 |
| ჩილიჩი-დლუჰი | 6:3, 4:6, 6:3 |
| ტ. იოჰანსონი-გოლუბევი | 7:6, 6:1 |
| ბერდიხი-ნიემინენი | 6:3, 6:1 |
| ლევინე-პოლანსკი | 6:2, 6:4 |
| როდიკი-მაუ | 6:1, 6:7, 6:3 |
| სიოდერლინგი-კანიასი | 7:5, 6:1 |
| კლემანი-ბიორკმანი | 3:6, 6:3, 0:6 |
| მონფილსი-ანდრეევი | 6:7, 6:7 |

**WTA. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| ვესნინა-კულიკოვა | 4:6, 6:4, 2:6 |
| პენგი-დიტი | 6:4, 6:2 |
| პეტროვა-ჟიდკოვა | 6:0, 6:4 |
| ამანმურადოვა-ჯექსონი | 6:2, 6:2 |

**WTA. პორტოროჟი**

| | |
|---|---|
| ერანი-კამერინი | 6:7, 6:2, 6:1 |
| პერებიინისი-ბოვინა | 3:6, 4:6 |
| როდინა-სპრემი | 6:4, 3:6, 3:6 |
| ერაკოვიჩი-პინი | 5:7, 7:5, 3:6 |
| ვიკმაიერი-სანტანჯელო | 6:4, 6:7, 4:6 |
| სრებოტნიკი-მამიჩი | 6:2, 6:2 |
| კირილენკო-ოჟეგოვიჩი | 6:1, 6:1 |
| ვინჩი-ბრიანტი | 6:1, 6:3 |
| ბიჩკოვა-გორგესი | 4:6, 3:6 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**I საკვ. ეტაპი. საპასუხო მატჩები**

| | |
|---|---|
| რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ინტერი (აზერბაიჯანი) | 1:1 (0:0) |
| ვენტსპილსი (ლატვია)-ლანელი (უელსი) | 4:0 (0:1) |
| კაუნასი (ლიტვა)-სანტა კოლომა (ანდორა) | 3:1 (4:1) |
| შერიფი (მოლდოვა)-აქტობე (ყაზახეთი) | 4:0 (0:1) |

ფორმულა 1. ინტერვიუ ლუის ჰემილტონთან

# მილოცავდნენ და თან ბოდიშს მიხდიდნენ

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი



**კვირას, გერმანულ "ჰოკენჰაიმზე" გამართული რბოლის შემდეგ, ფორმულა 1-ის წლევანდელ ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ბრწყინვალე სტილში მოგებული ზედიზედ ორი რბოლის შემდეგ, "მაკლარენის" პილოტი ლუის ჰემილტონი, 58 ქულით სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას. ბრიტანელი ავტომრბოლი გერმანულ ეტაპზე მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.**

**- გერმანიაში წინა რბოლის გამარჯვებულის რანგში ჩახვედით. დაგეხმარათ თუ არა ახალი ტრიუმფის მოპოვებაში წინა წარმატება? ან იქნებ, თავისი როლი ითამაშა კრიტიკამ, რომელიც თქვენ მიმართ "სილვერსტოუნის" რბოლამდე ისმოდა?**

- რა თქმა უნდა, გარედან ზეწოლა ყოველთვის არის, მაგრამ რბოლებს კრიტიკის გავლენით არ იგებენ. უბრალოდ, თითოეულ ჩვენთაგანს სურს თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენა. როგორც წესი, ფორმულა 1-ში შენს შესახებ, უკანასკნელი რბოლის შედეგების მიხედვით საუბრობენ, ამიტომაც ბრიტანეთის გრანპრიზე გამარჯვებამ, საკუთარ ძალებში თვითდაჯერების მხრივ, უდიდესი სამსახური გამიწია. მაგრამ ამავდროულად, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამჯერად იღბალიც ჩემს მხარეს იქნებოდა.

**- რბოლის დროს სრულებითაც არ შეიმჩნეოდა, რომ ეს თქვენი დებიუტი იყო "ჰოკენჰაიმზე"...**

- დებიუტი ხმამაღალი ნათქვამია. საქმე ისაა, რომ ამ ადგილებში ადრეც ხშირად ვყოფილვარ. მაგალითად, 2005 წელს, როცა ფორმულა 2-ის ევროსერია მოვიგე, აგრეთვე 2006 წელს, GP-ის რბოლებში გამოსვლისას, სადაც მეორე და მესამე ადგილები დავიკავე. ჰოკენჰაიმის ტრასა იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ მას უფრო იოლად ავუღე ალღო. მომწონს, როცა რამდენიმე მოსახვევში ძალიან მაღალი სიჩქარის განვითარება შემიძლია. მით უმეტეს, რომ ჩვენმა ბოლიდებმა შესაძლებლობების პიკს მიაღწიეს და პირდაპირ უნდა ვთქვა - ისინი შიშის ზარს სცემენ მეტოქეებს.

**- ამბობენ, რომ ჰოკენჰაიმში ჩასვლამდე, სამშობლოში ერთობოდით. რამდენიმე საინტერესო ფესტივალსაც დაესწარით...**

- ეს მართალია. მომწონს ძველი მანქანებით რბოლების ყურება, აგრეთვე სხვადასხვა ავტოშოუ. ასეთ შეხვედრებზე, საშუალება მაქვს ტექნიკის მოყვარულებს გავესაუბრო, რომელთა რიცხვში მეც შევდივარ. სხვათა შორის, იქ სხვა პილოტებიც ვნახე. ისინი ჩემსავით ასეთი უჩვეულო ფორმით გადიოდნენ უმნიშვნელოვანესი რბოლების წინ რელაქსაციას.

**- უშუალოდ გერმანიის გრანპრის წინ როგორ განეწყვეთ ბრძოლისთვის?**

- თქვენ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ რბოლის დროს, ტრიბუნებზე "მერსედესის" უამრავი ფანატი იმყოფებოდა. სტარტამდე ცოტა ხნით ადრე, მათ შევხვდი და უამრავ შეკითხვას გავეცი პასუხი. ასეთი საუბრები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია - ეს მოტივაციას ერთიორად ამაღლებს.

**- გადავიდეთ კვალიფიკაციის განხილვაზე. მართალია, პოული მოიპოვეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ბოლო წამებზე მოხდა...**

- სამაგიეროდ, შთამბეჭდავი სანახაობა გამოვიდა! მანამდეც შემეძლო საუკეთესო დრო მეჩვენებინა, მაგრამ პირველი წრის დროს, 12-ე მოსახვევში ვიღაცამ დროშა გამოფინა. მეგონა, ჩემს წინ მიმავალ ჰეიკი კოვალაინენს რაღაც დაემართა. შემქმნილ სიტუაციაში ფრთხილად უნდა მემოქმედა, რათა არაფრისგან დისკვალიფიკაცია არ მიმეღო. ამიტომაც, ინსტინქტურად სიჩქარე დავაგდე. თუმცა მაინც კარგად ვიცოდი, რომ მანქანა იდეალურ მდგომარეობაში იყო და აუცილებლად მივაღწევდი მაღალ შედეგს.

**- რბოლის დროს, ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო: ტიმო გლოკის ავარია და ტრასაზე პეისკარის გამოსვლა. ამ დროს ბოქსებში რატომ არ შეხვედით?**

- როცა ჩვენი გუნდის მართვის ცენტრს დავუკავშირდი, იქიდან მაცნობეს, რომ სავსებით კმაყოფილები იყვნენ ჩემი პოზიციით და არაფრის შეცვლა არ იყო საჭირო. მე კი, ცოტათი ვნერვიულობდი: გიგანტურ ტელეეკრანზე დავინახე, რაც ტრასაზე ხდებოდა, მაგრამ ვერ მივხვდი - ეს გამეორება იყო თუ პირდაპირი ტრანსლიაცია. ეკრანზე ჩანდა, რომ ჩემი კონკურენტები პიტ-სტოპებზე იყვნენ შესულები. ისევ დავუკავშირდი მართვის ცენტრს იმის გასაგებად, როგორ მემოქმედა შექმნილ სიტუაციაში. გუნდის ბოსებმა მითხრეს, რომ მეტოქეების ბოლიდები დამძიმდებოდნენ, ამიტომაც, მათ საჭირო მანძილზე ჩამოვიტოვებდი და შემდეგ შევიდოდი ბოქსებში. მე შევეცადე ამის გაკეთება, მაგრამ სამწუხაროდ, ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე. მოკლედ, მე ჩემს ხელმძღვანელებს მივენდე, რადგან სტრატეგიის შერჩევა მათი საქმეა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ისე ვერ მოხდა, როგორც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

**- რბოლის დასრულების შემდეგ, თქვენი შტაბი რაციით რატომ გიხდიდათ ბოდიშს?**

- გუნდმა მიზნად დამისახა შვიდი წრის განმავლობაში 23-წამიანი უპირატესობის მოპოვება. ვიცოდი, რომ ამის მისაღწევად საკუთარი შესაძლებლობებისთვის უნდა გადამეჭარბებინა. ბევრს ვეცადე, რადგან ვალდებული ვიყავი, ბრძანებას დავმორჩილებოდი.

**- საიდან გაჩნდა ყოველ წრეზე დროში დაუჯერებელი სხვაობა, რომელიც სამ წამს უდრიდა. ეს ბოლიდისგან მოდის თუ პილოტისგან?**

- ვიცოდი, რომ იმ დღეს საუკეთესო მანქანა მყავდა, ამიტომაც შეტევისას, თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი. რაც შეეხება რბოლის დასკვნით ნაწილს, სიმართლე გითხრათ, გამარჯვების მოსაპოვებლად სერიოზული სამუშაოს ჩატარება დამჭირდა.

**- და თანაგუნდელიც ძალიან დაგეხმარათ. შარშან, ფერნანდო ალონსოსგან ასეთ რამეს ვერ ელირსებოდით.**

- დიდი მადლობა კოვალაინენს, რომელმაც მომენტალურად იგრძნო, რომ უფრო სწრაფი ვიყავი.

**- შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

- როცა მასას ვედექი კვალში, ვგრძნობდი, რომ შევძლებდი მის გასწრებას. ასეც მოხდა, რის შემდეგაც მეგონა, თავს ოდნავი მოდუნების საშუალებას მივცემდი. და უცებ აღმოჩნდა, რომ სიხარული ნაადრევი იყო - იმავე მანევრის ჩატარება პიკეს წინააღმდეგაც მომიხდა.

**- ისტორიაში შეხვედით იმით, რომ 1998 წლის შემდეგ, "მაკლარენს" ამ ტრასაზე პირველად გაამარჯვებინეთ. უკანასკნელად, "ჰოკენჰაიმზე" პირველი ადგილი მიკა ჰაკინენმა დაიკავა, რომელიც სხვათა შორის, თქვენს ბოქსებში შენიშნეს. ამ გამარჯვებაში მისი წვლილიც არის?**

- ვინმეს გამოყოფა არ მინდა. ჩვენს გუნდში ყველა ბევრს შრომობდა მთავარი მიზნის მისაღწევად.

**- "ფერარისთან" ბრძოლისას, რაში ხედავთ "მაკლარენის" უპირატესობას?**

- უბრალოდ, ბოლო კვირების განმავლობაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ. ლიდერებს შორის სხვაობა ძალიან უმნიშვნელოა. ხანდახან ერთმანეთს წამის მეათედები გვაშორებენ. თუმცა სისწრაფეს ნამდვილად მოვუმატეთ.

**- პრესა თქვენი "ფერარიში" გადასვლის შესახებ ჭორაობს. ამბობენ, რომ ერთ-ერთ სალამოზე, მამათქვენი დიდხანს ესაუბრა იტალიური საჯინიბოს ბოსებს.**

- საკუთარ თავზე ჭორებს არ ვკითხულობ.

**- იმიტომ ხომ არა, რომ "მაკლარენთან" მრავალწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ?**

- ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს იქ, სადაც ვარ.

კალათბურთი

# NBA ევროპელებს კარგავს

ევროპული სატრანსფერო ბაზრის მიმოხილვა ისრაელის გამოცემა ONE-ის ინფორმაციით დავიწყოთ. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 8-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ევროპაში ბრუნდება ფორვარდი **ბოსტიან ნახბარი**. 28 წლის კალათბურთელს NBA-ის რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ ის მოსკოვის "დინამოს" შეთავაზებული პირობებით მოიხიბლა და მომდევნო სამი წელი რუსეთის სუპერლიგაში ითამაშებს. კარიერის ამ ახალ ეტაპზე, ნახბარი ჯამში 9 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში, სლოვენიელი თავდამსხმელი "ნიუ ჯერსი ნეტსის" ღირსებას იცავდა და საშუალოდ 9.8 ქულა და 3.5 მოხსნა მოჰქონდა თავისი გუნდისთვის.

■ ■ ■

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს Sports.Yahoo საბერძნეთშია ჩასული და "ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს "ატლანტის" მცველი **ჯოშ ჩილდრესი**, რომელიც ამჟამად შეზღუდული თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

ბერძნები 25 წლის კალათბურთელს ზღაპრულ კონტრაქტს სთავაზობენ. თუ ჩილდრესი "ოლიმპიაკოსში" თამაშს დათანხმდება, სამწლიანი კონტრაქტისთვის 20 მილიონ დოლარს მიიღებს.

როგორც ვარაუდობენ, კონტრაქტის გაფორმების ალბათობა 50 პროცენტი გახლავთ, რადგან "ატლანტა ჰოქსს" ჯერ არ გამოუთქვამს ჩილდრესის შენარჩუნების სურვილი. გასულ სეზონში ამერიკელი მცველი 11.8 ქულასა და 4.9 მოხსნას აგროვებდა.



ბოსტიან ნახბარი

■ ■ ■

კვლავინდებურად უკლუბოდ არის დარჩენილი "ტორონტოდან" გაშვებული ესპანელი **ხორხე გარბახოსა**. ფორვარდს რამდენიმე ვარიანტი აქვს, მაგრამ ყველაზე აქტიური მაინც ესპანური "უნიკახაა". ამ კვირას, გარბახოსა კიდევ ერთხელ გამართავს მოლაპარაკებებს კლუბის ხელმძღვანელებთან.

გარიგების განხორციელებას ხელს უშლის ის, რომ ესპანელმა "უნიკახას" ისეთი თანხა მოსთხოვა, რომელიც კლუბის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. ამიტომაც, ისე ჩანს, რომ მოლაპარაკებები რამდენიმე კვირას გაიწელება და შესაძლოა, ამ საკითხს წერტილი ოლიმპიადის შემდეგ დაესვას.

■ ■ ■

იტალიური გაზეთი Corriere della Sera იტყობინება, რომ უახლოეს დღეებში, ცნობილი სლოვენიელი ცენტრი **პრიმოჟ ბრეჟეცი** რომის "ლოტომატიკას" რიგებში ჩაირიცხება. 28 წლის კალათბურთელი თავის ახალ კლუბთან "1+1" სისტემით გააფორმებს კონტრაქტს. სლოვენიელის წლიური ხელფასი, დაახლოებით 3 მილიონი დოლარი იქნება.

ბრეჟეცმა ბოლო შვიდი სეზონი NBA-ში გაატარა და იქ "ინდიანას", "შარლოტის", "დეტროიტისა" და "ტორონტოს" რიგებში ითამაშა. იტალიური გაზეთის აზრით, ამ ტრანსფერის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა "რომას" სპორტულმა დირექტორმა **დეიან ბოდიროგამ** - სწორედ ამ დაიყოლია სლოვენიელი იტალიაში გადასვლაზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფოტო-ინფო



ეს **ზინედინ ზიდანი** და მისი მეუღლე **ვერონიკ ფერნანდესია**. ისინი საათის მწარმოებელი ერთ-ერთი შვეიცარიული ფირმის დაბადების დღეს დაესწრნენ. ზიზუს ისე იშვიათად გამოჰყავს თავისი მეუღლე ხალხში, რომ ამ ფოტოს დაბეჭდვა აუცილებლობად ჩავთვალეთ